პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— იოშიზავას საპატივცემო ბანკეტი ნანკინში.
— პილსუდსკი შვებულებაში გაემგზავრა დრუზკენიკში.
— ანა შჩეპკინას დაკითხვა.
— გაიხსნა კოოპერატიული პრესის საერთაშორისო გამოფენა.
— წყალდიდობა ინდოეთში.
— გემ „ამხანაგის" დაბრუნება.
— ანენკოვს და დენისოვს მიუსაჯეს დახვრეტა

შაბათი, 13 აგვისტო 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 183 (1928)

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი პლენუმზე

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ამ დღეებში დასრულებულმა პლენუმმა სხვათა შორის განიხილა საბჭოთა აპარატის შემდგომი გაჯანსაღების საკითხი და დასახა ამ მხრივ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, რომელიც ჩვენს წინაშე დგას უმთავრესად როგორც ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებიდანვე მუდამ ძველ და მუდამ ახალ ამოცანას წარმოადგენს. პირველად ეს საკითხი მთელი თავისი მნიშვნელობით დასვა პარტიის წინაშე ლენინმა.

თუ ჩვენი სახელმწიფოებრივი მექანიზმი მოიკოჭლებს, შეუძლებელია სოციალისტური აღმშენებლობის სწორი გზით წარმართვა. პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების პოლიტიკა ასეთ შემთხვევაში დაზღვეული არ იქნება ბიუროკრატიულ დამახინჯებასა და სხვა შეცდომებისაგან. ლენინის ფიგურალური გამოთქმით საბჭოთა აპარატის მუშაკი შოფერია, რომელიც მართავს პარტიის მითითებით მანქანას, მაგრამ რომელსაც ხშირად იმ გზით არ მიჰყავართ, რომლითაც ეს საჭიროა.

როგორც ამას გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუციაც აღნიშნავს, ლენინის მიერ წამოყენებულ საკითხებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი სიმწვავე. ჩვენი აპარატის მთავარი ტკივილები, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, მართველობის სიძვირე და მოუქნელობა დღესაც მთელი თავისი მნიშვნელობით დგანან პარტიის წინაშე. ისინი დღეს მით უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებენ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად, იზრდება ქვეყნის ანტიპროლეტარულ ელემენტების აქტივობაც, რაიც თავის უარყოფით გავლენას ახდენს აპარატის გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ბრძოლაზე. ოპოზიცია, როგორც ვიცით, დემაგოგიურად სარგებლობდა ამ ფაქტით, რომელსაც ყველაზე ადრე აღიარებს თვით პარტია და რომლის წინააღმდეგაც ის აწარმოებს მტკიცე და შეუსუსტებელ ბრძოლას. ოპოზიციამ აქაც გამოიჩინა თავისი „წინასწარმეტყველური ნიჭი" და გვიქადდა საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიული გადაგვარების აუცილებლობა. სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. პარტიის მიერ წარმოებულმა მუშაობამ აპარატის გაუმჯობესების დარგში უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი მიღწევები. საბჭოების გამოცოცხლება, აპარატის ხელმძღვანელ ორგანოების კომუნისტურ შემადგენლობის გაძლიერება, მუშებისა და გლეხების დაწინაურება, საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უფრო ფართე ნიადაგზე დაყენება, აი ის საშუალებები, რომლითაც აწარმოებდა და აწარმოებს პარტია საბჭოთა აპარატის გამაუმჯობესებელ მუშაობას.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი საჭიროდ სცნობს ამ მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ზრდასთან ერთად აუცილებლად უნდა ხდებოდეს აპარატის შესაფერისი ტემპით გაუმჯობესება, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სოციალისტური აღმშენებლობის და სოციალისტური საზოგადოებრიობის წარმატებითი წინსვლა.

აპარატის გაუმჯობესების ერთ მთავარ პირობას შეადგენს მისი გაიაფება. საბჭოთა მართველობის სისტემა უაღრესად ხალხური მართველობის სისტემაა.

ჩვენი მართველობის ამ თავისთავად დადებითმა ბუნებამ, ბევრ შემთხვევაში უარყოფითი შედეგიც გამოიღო, რაიც მდგომარეობს აპარატის არაბუნებრივად გადიდებასა და მის ფუნქციების არარაციონალურად დაქსაქსვა-დანაწილებაში. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აპარატის გაიაფებას მისი გამარტივების და მოსახლეობასთან კიდევ უფრო დაახლოების გზით. პლენუმმა ამ მხრივ მოგვცა კონკრეტული და კატეგორიული დირექტივა, 1927—28 სამეურნეო წლის განმავლობაში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები უნდა შემცირებულ იქნას 20 პროცენტით 1926—27 წელთან შედარებით.

ამასთან ერთად უნდა გაღრმავებულ იქნას საწარმოო თათბირების მუშაობა. უნდა გავაფართოვოთ მუშათა დაწინაურების პრაქტიკა, აპარატის კომუნისტური შემადგენლობით გაძლიერება და რაციონალიზაციის მეცნიერულ საფუძველზე დაყენება. განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლაში შესრულების შემოწმებას და კონტროლს. ეს უკანასკნელი ღონისძიება არ უნდა ატარებდეს მარტო გარეშე კონტროლის ხასიათს. შესრულების შემოწმება უნდა გადაიქცეს თვითეულ სამეურნეო ადმინისტრატიულ ორგანოს პრაქტიკული მუშაობის დამახასიათებელ თვისებათ. ის უნდა გადაიქცეს თვითშემოწმებათ. რაც შეეხება შესრულების კონტროლს გარედან სათანადო სახელმწიფოებრივ ორგანოების მხრივ, ასეთი მომავალში უფრო სისტემატიურ ხასიათს უნდა ატარებდეს.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს პრესას. მუშკორთა და გლეხკორთა უკვე ფართო მასიური მოძრაობა, რომლის მოწმეც ჩვენ დღეს ვართ, უმთავრესად გაიზარდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. ამ მხრივ მუშა და გლეხ კორესპონდენტს დიდი დამსახურება მიუძღვის პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. ბრძოლა „ბოროტების კონკრეტულ მატარებელის" წინააღმდეგ, რომლისაკენაც მოუწოდებდა ლენინი პრესას, ყველაზე დიდ ადგილს პოულობს მუშა და გლეხ კორესპონდენტების მასალებში. პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებს ბიუროკრატიულ დამახინჯებათა ცალკე შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლას. რეზოლიუციაში ამის შესახებ ნათქვამია: „მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობამ სათანადოთ უნდა შეუწყოს ხელი იმ მუშასა და გლეხს, რომელიც ებრძვის ამა თუ იმ კონკრეტულ ბოროტმოქმედებას. ამასთან ერთად ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და საკონტროლო კომისიას გადაჭრით ებრძოლონ და დასაჯონ ის პირები (როგორც პარტიული, ისე საბჭოთა), რომლებიც რეპრესიულ ზომებს მიმართავენ იმის წინააღმდეგ, ვინც აკრიტიკებს ბიუროკრატიულ დამახინჯებას, მიუხედავათ იმისა, როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს ეს კრიტიკა".

ამასთან ერთად საჭიროა რეპრესიული ზომების გაძლიერება ბიუროკრატიულ დანაშაულობის ჩადენისა, უმოქმედობის და მფლანგველობის წინააღმდეგ. ჩვენმა სასამართლომ მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს ასეთ დამნაშავეთადმი მიუხედავათ მათი სოციალური მდგომარეობისა და რევოლიუციონური დამსახურებისა. ყოველგვარი შეღავათები ამ მხრივ, რომელსაც წარსულში ხშირად ანიჭებდა ჩვენი ადმინისტრატიული და სასამართლოს ორგანოები დამნაშავეებს, მხოლოდ ხელს უწყობს ბიუროკრატიზმის გაძლიერებას, მხოლოდ ამრავლებს ამ სენის „კონკრეტულ მატარებელთა" რიცხვს.

პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა მტკიცედ და უკლებლივ გატარება იმის საუკეთესო თავდები იქნება, რომ ჩვენი აპარატი სწრაფი ნაბიჯით წავა წინ გაჯანსაღების გზით, რომ „შოფერი" უფრო სწორად წაიყვანს მანქანას იმ მიმართულებით, საითაც ეს სურს საბჭოთა სახელმწიფოს.

პარტიული აქტივის ხმა

გუშინ მოსკოვსა და ლენინგრადში შესდგა პარტიული აქტივის კრებები, რომლებშიც მონაწილეობდენ ათასობით ბოლშევიკები და წარმოდგენილი იყვნენ ჩვენი პარტიის ორი მნიშვნელოვანი ორგანიზაციის ყველა ხელმძღვანელნი და წინამძღოლნი. ამ კრებებზე ჩვენი ქვეყნის უდიდესი პროლეტარული ცენტრების კომუნისტური აქტივი მთლიანად შეუერთდა ცეკას უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებს. ეს ნამდვილი და საიმედო საწინდარია იმის, რომ ამ გადაწყვეტილებებს მთელი პარტია შეუერთდება.

მოსკოვსა და ლენინგრადში ოპოზიციის წარმომადგენელნი შეეცადნენ თავის ხაზის დაპირდაპირებას პარტიის ხაზისათვის. რასაკვირველია, ოპოზიციის ეს ცდები აბსოლიუტურად და სამარცხვინოდ ჩაიფუშა. როდესაც მოსკოვის აქტივის კრებაზე სმირნოვი შეეცადა საქმის ისე დასურათებას, რომ ვითომ პარტიას ემუქრება „მგლის ორმოში" ჩავარდნის საფრთხე, რომლისგანაც ვითომ აფრთხილებს პარტიას ოპოზიცია, სმირნოვის ამ განცხადებამ სიცილისა და აღშფოთების მეტი არა გამოიწვია რა. ოპოზიციურმა დემაგოგიამ ვერავითარი გამოხმაურება ვერ ჰპოვა. გუშინდელი კრებები იყო ოპოზიციის საბოლოო და სრული იზოლიაციის ბრწყინვალე დემონსტრაცია.

გუშინდელი კრებები—ეს უდიდესი გაკვეთილია. თუ თავაშვებულ და თავაბნეულ ოპოზიციურ ბელადებს ცოტათი მაინც კიდევ შერჩენიათ მასების გაგების, მათი გულისთქმის მიხვედრის უნარი, თუ მათ რამოდენიმედ მაინც შერჩენიათ პარტიული ცხოვრების ძარღვის ცემის შეგრძნობის უნარი, ისინი უნდა მიხვდენ, რომ საბოლოოდ ჩაიფუშა და გამოეცალა ნიადაგი მათ სპეკულიაციას სიძნელეებით და მათ ცდას, რომ საერთაშორისო გამწვავებული მდგომარეობის, ჩინეთის რევოლიუციის დროებითი დამარცხების და შინა-სამეურნეო სიძნელეების გამოყენებით დააგროვონ თავისი პოლიტიკური კაპიტალი. მიუხედავათ იმისა, რომ ნაწილობრივ დამარცხდა ჩინეთის რევოლიუცია, რომ გაიზარდა შინა-სამეურნეო სიძნელეები, რომ გვემუქრება ომის საფრთხე, პარტია მაინც აბსოლიუტურად მთლიანი, აბსოლიუტურად შემჭიდროებულია, მთლიანი და შემჭიდროებული ისე, როგორც არასოდეს.

მასებისაგან მოწყვეტილმა ოპოზიციონერებმა, რომლებიც ბევრს გაჰყვიროდენ შევიწროების შესახებ აპარატის მხრივ, თავის გამოსვლებში, თავის ლოზუნგებში და თავის ტაქტიკაში მაინც ვერ გაითვალისწინეს ერთი გადამწყვეტი გარემოება: სახელდობრ ის, რომ უკანასკნელ წლებში პარტია გაიზარდა, რომ ფართე პარტიული მასები ეხლა შედარებით უკეთესად იცნობენ ლენინს, ვიდრე 4 წლის წინად, რომ ისინი აღჭურვილი არიან ახალი დიდი გამოცდილებით სოციალისტურ მშენებლობასა და საერთაშორისო ბრძოლაში და რომ მათ, ოპოზიციონერებს, თავისი იაფა ტროცკისტული საკენკით შეუძლიათ მოატყუონ მხოლოდ ლა ერთეული გზააბნეული ინტელიგენტები, მეტი არავინ.

აპარატის მხრივ შევიწროების შესახებ საკუთარი ყვირილით გაყრუებულ ოპოზიციას არ სურს ან და არ შეუძლია დაინახოს პარტიის ცოცხალი, რეალური ზრდა, ის სცდილობს სპეკულიაციის გაწევას მასების იდეურ-პოლიტიკური განვითარების სულ სხვა, გაცილებით უფრო დაბალ, უკვე დიდხანს გადაჭარბებულ დონეზე. ოპოზიცია აქაც სამარცხვინოთ მარცხდება.

მოსკოვის აქტივის კრებაზე სმირნოვი ლაპარაკობდა თავის „ღრმა რწმენის" შესახებ იმაში, რომ „პრავდის" ასობით ათასმა მკითხველმა არც კი იცის, ვინ არის კლემანსო". როგორც სჩანს, მისი თანამოაზრე ამხ. ტროცკი სწორედ ამ „ღრმა რწმენიდან" გამოდიოდა, როდესაც წამოაყენა თავისი ცნობილი, უბადრუკი „თეზისი კლემანსოს შესახებ". პარტიამ მშვენივრად იცის, თუ რა პოლიტიკური აზრი უდევს ამ კლემანსისტურ ანალოგიებს, და ის მთლიანად, დაწყებული მის ზედაფენებიდან და გათავებული ქვედაფენებით, ღირსეულად გმობს და ღირსეულად აფასებს ასეთ ანალოგიებზე აგებულ პოლიტიკურ ხაზს.

უკანასკნელ თვეებში ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ჯგუფი ისეთი ტემპით შორდებოდა პარტიას და იმდენად მკაცრი ანტიპარტიული პოზიცია დაიჭირა მან, რომ ბევრი ცეკას პლენუმისაგან ბუნებრივად მოელოდა, სულ ცოტა, ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვას ცეკას შემადგენლობიდან. მიუხედავათ ამისა, ცეკას პლენუმი უკანასკნელად შეეცადა მათ შენარჩუნებას თავის შემადგენლობაში. და მიუხედავათ დემონსტრაციისა იაროსლავის სადგურზე, მიუხედავათ სამარცხვინო, იდეური ბლოკისა რუტ ფიშერ-მასლოვის კომპანიასთან, მიუხედავათ ოპოზიციის უამრავ აშკარა გამთიშველ-დეზორგანიზატორულ აქტების და გამოსვლებისა, ორი დიდი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების აქტივი მაინც შეუერთდა ცეკას ამ გადაწყვეტილებას. პარტია, რომელსაც ამდენ ცილს სწამებდა და სწამებს ოპოზიცია, პარტია, რომელსაც ოპოზიცია აბრალებდა ტერმიდორიანობას და გადაგვარებას, აი ეს პარტია უწვდის ხელს ოპოზიციონერებს და სცდილობს მათ გადარჩენას დაძირვისაგან მენშევიკურ ჭაობში. მაგრამ კარგად დაიხსომოს ოპოზიციამ, რომ ეს იქნება უკანასკნელი ხელის გაწოდება.

უკვე ცეკას პლენუმამდე დაიწყო ზოგიერთ საუკეთესო მუშების ჩამოშორება ოპოზიციისაგან. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ ეს პროცესი ბევრად გაძლიერდება ეხლა. და რომ ახლოვდება დღე, როდესაც ყველაფერი, რაც პროლეტარული და რევოლიუციონურია ოპოზიციაში, ისევ დაუბრუნდება პარტიულ პლატფორმას და შემჭიდროვდება პარტიის რიგებში.

ოპოზიციის ბელადები და უბრალო წევრნი კიდევ და ერთხელ კიდევ უნდა დაუფიქრდენ იმ ფაქტს, რომ თითქმის ორი წლის გამოცდის შემდეგ სოციალისტურ მშენებლობაში, საერთაშორისო ბრძოლის ქარცეცხლში გავლის შემდეგ. არ შერყეულა პარტიის მთლიანობა, რომ ის, პირიქით, კიდევ უფრო მტკიცდება ლენინის იდეურ პლატფორმაზე ცეკას პოლიტიკურ პლატფორმაზე და რომ მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი, უპირისპირდება ოპოზიციონერების უმნიშვნელო ჯგუფს, რომელიც დღითი დღე დნება.

ცეკას პლენუმმა უკანასკნელად გააფრთხილა ოპოზიცია. გუშინ ეს უკანასკნელი გაფრთხილება გაიმეორა მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულმა აქტივმა. შეისმენს თუ არ შეისმენს ოპოზიცია ამ გაფრთხილებას, პარტია მაინც წავა თავისი გზით. მაგრამ მით უფრო უარესი ოპოზიციისათვის. თუ ის არ შეისმენს ან ანგარიშს არ გაუწევს ამ გაფრთხილებას.

„პრავდა"
მოსკოვი, 12 ავგისტო.

აჯანყებული ნანჩანი გამოეყო უხანის მთავრობას

ნანჩანში დაარსდა ახალი მთავრობა სუნ-იატ-სენის ქვრივის სუნ-ცზინ-ლინის მეთაურობით

მუშების სიკვდილით დასჯა უხანში და ხანკოუში

იაპონიის პრესა ჩინეთის საბაჟო ავტონომიის წინააღმდეგ

იმედები არ გამართლდა

შანხაი, 11 ავგისტო. შანხაის ინგლისური გაზეთი „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს" აქვეყნებს წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ **ნანკინის მთავრობამ, რომელიც „აპრილში უდიდესი პოპულიარობით სარგებლობდა", ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები და დაჰკარგა საზოგადოებრივი აზრის ნდობა.**

ამის მიზეზები—სწერს გაზეთი—**მდგომარეობს: კომუნისტების დევნაში, ნანკინის მთავრობის ფინანს. პოლიტიკაში და იმაში, რომ მთავრობამ ვერ გამოიჩინა უნარი შეადგინოს პატიოსანი და კარგად მომუშავე ცენტრალური მთავრობის აპარატი".** (ადს).

სიკვდილით დასჯა ხან-კოუში

ხანკოუ, 11 ავგისტო. 7 ავგისტოს უხანის გარნიზონის უფროსის ლი-ტი-სიანის ბრძანებით **კიდევ დასაჯეს სიკვდილით 4 კაცი: ორი უხანში და ორი ხანკოუში. ოთხივენი მუშებია**, რომელთაც ბრალი დასდეს „შეთქმულობაში მონაწილეობა უხანის მთავრობის მუშაობისათვის დაბრკოლებათა შექმნის მიზნით". მთავრობამ დახურა ყველა მაღაზიები, რომლებიც კომუნისტური ლიტერატურით ვაჭრობდენ. (ადს).

ჩინეთის საბაჟო ავტონომიის წინააღმდეგ

შანხაი, 11 ავგისტო. შანხაის უცხოელთა გაზეთები გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებენ ნანკინის მიერ საბაჟო ავტონომიის გამოცხადების წინააღმდეგ. „ჩაინა პრესს" ესალმება იაპონიის მწარმოებლების გადაწყვეტილებას იაპონიის საფეიქრო ფაბრიკებში მუშაობის შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთში განხორციელებულ იქნა საბაჟო ავტონომია. გაზეთი მოითხოვს უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევას ამ საქმეში.

უხან-ნანკინის შეთანხმება?

შანხაი, 11 ავგისტო. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო იუწყება, რომ, როგორც დანამდვილებით გამოირკვა, **შანდუნის ჯარებს არ დაუჭერიათ პენპუ. ნანკინის ჯარები წარმატებით იგერიებენ შანდუნის ჯარების იერიშს და რამდენიმე სერიოზული დამარცხებაც კი არგუნეს ჩრდილოელებს.** იუწყებიან, აგრეთვე, რომ მოლაპარაკება ნანკინსა და უხანის შეთანხმების შესახებ წარმატებით დასრულდება. მალე სინამდვილედ იქცევა ნანკინსა და უხანის ჩრდილო-დასავლეთის არმიების გაერთიანება გომინდანის დროშის ქვეშ შეთანხმებული გალაშქრებისათვის შანდუნისა და მუკდენის ჯარების წინააღმდეგ.

სუნ-ჩუან-ფანის ცნობები

პეკინი, 11 ავგისტო. სუნ-ჩუან-ფანმა შეატყობინა ჩან-ძო-ლინს, რომ მისმა ჯარებმა დაიკავეს გუ-ჩენი (ან-ხოის პროვინციის ჩრდილოეთით) და დაუბრკოლებლივ მიიწევენ წინ პენპუს მიმართულებით (ადს).

გენერლების აჯანყება

ხანკოუ, 11 ავგისტო. **უხანის პოლიტიკურ წრეებში მეტად სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ აჯანყებას გენერალ ი-ე-ტინისა და ხო-ლუნისას, რომლებმაც დაიპყრეს ნანჩანი და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა უხანის მთავრობისაგან. გომინდანის უხანის ცეკამ აჯანყებულ გენერლებიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც ისინი იტყობინებიან, რომ შეადგინეს ახალი მთავრობა სუნ-ცზინ-ლინის (სუნ-იატ-სენის ქვრივის) თავმჯდომარეობით.**

შექმნილ მდგომარეობაში გადამჭრელ ფაქტორს წარმოადგენს პოზიცია გენ. **ჩან-ფა-გუისა, რომელიც სუცზიანში** იმყოფება და ფორმალურად იმ არმიის მთავარსარდლად ითვლება, რომელსაც დავალებული აქვს ოპერაციები ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. ხო-ლუნისა და ი-ე-ტინის ჩამოშორებით ჩან-ფა-გუი თავისი არმიის საუკეთესო ნაწილს ჰკარგავს. ყველაფერზე უფრო მოსალოდნელია, რომ ჩან-ფა-გუის პოზიციას გამოარკვევს იმ მოლაპარაკების შედეგი, რომელიც ამჟამად სწარმოებს ტან-შენ-ჩისა და ჩან-კაი-შის შორის უხანის და ნანკინს შორის კომპრომისის შესახებ. (ადს).

სუნ - იატ-სენის ქვრივი
სუნ - ცზინ - ლინი

იაპონიის პრესის პროტესტი

ტოკიო, 11 ავგისტო. ნანკინის მთავრობის მიერ საბაჟო ღონისძიებების შემოღების წინააღმდეგ იაპონიის პრესა ისევ აცხადებს პროტესტს; „ტოკიო ასაჰი" სწერს:

„საბაჟო ავტონომიის გამოცხადება საფრთხეში აყენებს ჩინეთის მრეწველობას და დიდ ზარალს აძლევს თვით ჩინელებს. ნანკინის მთავრობა ისევე უგუნურად იქცევა, როგორც უხანის. ამ ორ მთავრობის შორის მტრული განწყობილება კომუნისტებისათვის არის ხელსაყრელი, რომელთა გავლენა მასებზე საკმაოდ დიდია". (ადს).

ბანკეტი იოშიზავას საპატივცემოდ

შანხაი, 11 ავგისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იოშიზავას საპატივცემოთ გამართულ ბანკეტზე ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტროში ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ-ჩუო-უჩუმ წარმოსთქვა სადღეგრძელო „იმ პირველი უცხოელი ელჩის საპატივსაცემოდ, რომელმაც ინახულა ნანკინის მთავრობა". უ-ჩუო-უჩუმ გამოსთქვა რწმენა, რომ იაპონიის წარმომადგენელი თავის მუდმივ სამყოფ ადგილად აირჩევს ნანკინს.

იოშიზავამ უპასუხა, რომ უ-ჩუო-უჩუს სურვილების განხორციელება დამოკიდებულია ამბების შემდეგ განვითარებაზე. ამას გარდა, ნანკინის მთავრობის წევრებისა და იაპონიის მთავრობის წარმომადგენელს შორის მეგობრული საუბარი გაიმართა ნანკინის მთავრობისა და იაპონიის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

იოშიზავამ უარჰყო თავისი წინანდელი განზრახვა ხანკოუში ჩასვლის შესახებ და გაემგზავრა შანხაიში.

ხრიკმა არ გასჭრა

შანხაი, 11 ავგისტო. გაზეთების მიერ გაჩაღებულმა კამპანიამ ლომბარდების შეპატრონეთა კავშირის თავმჯდომარის დაპატიმრების გარშემო, რომელსაც ბრალდებოდა კომპარტიასთან კავშირის დაჭერა, აიძულა სამხედრო ხელისუფლება განთავისუფლებინა იგი. (ადს).

გამოსამშვიდობებელი სადილი.

ტოკიო, 11 ავგისტო. სეი-იუ-კაის პარტიის ბელადები პრემიერ ტანაკას მეთაურობით იმატოს საპატივცემოთ აწყობენ სადღესასწაულო გამოსამშვიდობებელ სადილს, მისი მანჯურიაში გამგზავრების გამო. იმატო დანიშნულია სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის სამმართველოს თავმჯდომარეთ. (ადს).

გომინდანელების დახვრეტა

შანხაი, 12 ავგისტო. ტოხოს სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ცზიელზიანში დახვრიტეს 26 გომინდანელი, რომლებიც მუშაობდენ გომინდანის სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციაში.

პროფკავშირების დევნა

შანხაი, 12 ავგისტო. შანსიდან (ჩუბეის პროვინცია) იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარებმა გარეკეს პროფკავშირები და დაშალეს გომინდანის ორგანიზაციები.

ფინ-იუი-სიანმა აკრძალა

შანხაი, 12 ავგისტო. ჩინური გაზეთები იტყობინებიან, რომ შანსის პროვინციაში, ფინ-იუი-სიანის მიწერილობის თანახმად ჩატარებულია გომინდანის წმენდა.

ფინ-იუი-სიანის მიწერილობაში ნათქვამია: „კომპარტიის არსებობა აკრძალულია. კომუნისტური მიმართულების თანამდებობათა პირნი დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გადაყენებული და გამორიცხული გომინდანის რიგებიდან". (ადს)

საბჭოთა საელჩოზე

თავდასხმის გარშემო

ანა შჩეპკინა აბნეულ ჩვენებას იძლევა

პარიზი, 11 ავგისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ სისხლის სამართლის პოლიციის კომისიამ დაჰკითხა ანა შჩეპკინას, რომელმაც დასჭრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მეკარე პარიზში. შჩეპკინამ განაცხადა, რომ მის მიერ რევოლვერის შეძენის მიზანი იყო ქმრის მოკვლა, რომელმაც ის მიატოვა. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სროლის შემდეგ რევოლვერი გაფუჭდა, თორემ ბოროტმოქმედს, რომელსაც გადადებული ჰქონდა თავი, შეეძლო შეეწირა კიდევ ვინმე საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთაგანი. შჩეპკინამ განაცხადა, რომ მან გადასწყვიტა ბოროტმოქმედების ჩადენა, რადგან ბევრი შევიწროვება განიცადა საბჭოთა რეჟიმისაგან. პატიმარი არ ინანიებს თავის საქციელს და უარს ამბობს შემდეგი ჩვენებების მიცემაზე, რასაც თავის დაღლილობით ხსნის. მან დაწვრილებით ვერ აღნიშნა თავისი საცხოვრებელი ბინა ხოლო განაცხადა, რომ სცხოვრობდა პარიზის გარეთ. სასამართლო ორგანოებმა გაგზავნეს პოლიციის მოხელე პატიმარის თანხლებით, უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის გამოსარკვევად.

პრესა სდუმს

პარიზი, 11 ავგისტო. პრესა თავს იკავებს საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის ამბის კომენტარიებისაგან. თავისი დუმილით ის იჩენს ტენდენციას მიაფუჩეჩონ ბოროტმოქმედების პოლიტიკური მნიშვნელობა და საქმე იმგვარად გააშუქონ, თითქოს ეს იყო სასომიხდილი დედაკაცის მხრივ ინდივიდუალურად ჩადენილი ბოროტმოქმედება.

ზოგიერთ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს ტენდენცია, განსაკუთრებით მერაბიშვილის გამართლებასთან დაკავშირებით, ჰქმნის ისეთი ატმოსფერის წარმოშობის საფრთხეს, როდესაც შესაძლებელი გახდება მსგავს დანაშაულობათა ჩადენა (ადს).

საერთაშორისო კოოპერატიული ყრილობა

სტოკჰოლმი, 11 ავგისტო. საერთაშორისო კოოპერატიულ ყრილობაზე ჩამოვიდა „ცენტროსოიუზის" დელეგაცია ამხ. **ლიუბიმოვის** მეთაურობით. დღეს გაიხსნა კოოპერატიული პრესის და პროპაგანდის საერთაშორისო გამოფენა. გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა განყოფილება გამოფენაზე,—ყველაზე უფრო შინაარსიანი და მდიდარია (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთის აგრედ წოდებულმა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, რომელმაც უღალატა რევოლიუციას, ზურგი აუქცია ჩინეთის მშრომელ მასებს და სასტიკად წინაღუდგა მათ მოთხოვნილებებს, როგორც მოსალოდნელი იყო სრული უძლურება გამოიჩინა ეხლა თვით იმ საქმეში, რომელიც თითქოს მთავარ საგანს წარმოადგენდა მის ახლანდელ მოქმედებაში, სრული უძლურობა გამოიჩინა არა მარტო უცხოელ კაპიტალისტების წინაშე და მათ წინ ქედი მოიხარა, არამედ უძლური გამოდგა შინაურ მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლაშიაც. თითქოს აქ, ამ ბრძოლაში კვლავ იგივე სარდლები და ჯარები მოქმედებენ, რომელნიც წინად ბრწყინვალედ იმარჯვებდენ ჩრდილოელ მილიტარისტებზე. მაგრამ ეხლა კი სამარცხვინოთ მარცხდებიან იმავ მილიტარისტებთან ბრძოლაში.

ჩან-კაი-ში თავის ჯარით პირდაპირ სისტემატიურად მარცხს მარცხზე განიცდის შანდუნის ჯარებთან ბრძოლაში. ჩან-კაი-ში იძულებული იქნა ამ ბოლო ხანებში დაეტოვებინა არა მარტო შანდუნის პროვინცია, არამედ ეხლა სტოვებს ძიან-სუს პროვინციას და დამარცხებული იხევს ნანკინისაკენ. მისი მარცხენა ფრთა უკვე ან - ხოის პროვინციაში გადმოვიდა და მარჯვენა ფრთაც სტოვებს ძიან-სუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილს. შანდუნის ჯარები სუნ-ფუან-ჩანის მეთაურობით, შეუდგრად წინ იწევენ და უკვე ნანკინს უახლოვდებიან. ინგლისური გაზეთები უკვე აღარ მალავენ, რომ ჩან-კაი-შის და ნანკინის მთავრობის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა.

ასეთივე ბედი მოელის, როგორც სჩანს მეორე მოღალატე გენერალს ფინ-იუ-სიანს, რომელმაც გუშინდელი დეპეშის ცნობით იგემა უკვე პირველი დამარცხება ჩრდილოელ მილიტარისტებისაგან.

იგივე ინგლისური გაზეთები დასძენენ, რომ საერთო მდგომარეობა ფრონტებზე საგრძნობლად შეიცვალა ჩრდილოელების სასარგებლოდ.

ცხადია, რომ ის აღფრთოვანება, და გატაცება, რომელიც ასულდგმულებდა სამხრეთელების ჯარებს და დიდს უპირატესობას აძლევდა ჩრდილოელებთან შედარებით, ასეთ უპირატესობას ეხლა ადგილი აღარ აქვს და, რადგანაც ჩრდილოელები სამხედრო ტეხნიკის მხრით უფრო კარგად არიან მოწყობილი და შეიარაღებული, რასაკვირველია, იმარჯვებენ კიდევაც. არც ის არის გასაკვირველი, რომ ჩან-ძო-ლინი არ წავიდა ჩან-კაი-შისთან შეთანხმებაზე. რადგანაც კარგად ხედავს უკანასკნელის უძლურებას.,

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ჩან-კაი-ში ეხლა ხსნას იაპონელებისაგან მოელის, იმ იაპონელებისაგან, რომელთაც გზა გადაუღობეს მას ჩან-კაი-შის პეკინისაკენ და იქით არ გაუშვეს. პირიქით ინგლისელები, რომელნიც აქნამდე თითქოს სწყალობდენ ჩან-კაი-შის და ნანკინის მთავრობას, ეხლა მათზე ხელს იღებენ და საჯაროთ აცხადებენ მათ სრულ უძლურებას. მათი აზრით ნანკინის მთავრობამ ვერ გაამართლა იმედები და დაჰკარგა საზოგადოების ნდობა, რაიც შედეგია კომუნისტების დევნისა და თვით მთავრობის უუნარობისა.

შავი ღრუბლებით მოცულ უხანის ცაზე თითქოს სინათლემ ოდნავ გამოაშუქა. ჩვენ ვიცით, რომ უხანის მთავრობას აუჯანყდა ორი დივიზია ი-ე-ტინის და ხო-ლუნის მეთაურობით. ამ ორ გენერალს აუღიათ ქალაქი ნან-ჩანი (პროვინცია ძიან-სის მთავარი ქალაქი) და გამოუცხადებიათ ახალი მთავრობის დაარსება სუნ-ძინ-ლინის (სუნ-იატ-სენის ქვრივის) თავმჯდომარეობით. ჩვენ გვახსოვს სუი-ძინ-ლინის დეკლარაცია, სადაც იგი ჰგმობდა უხანის მთავრობის უკანასკნელ პოლიტიკას და ბრალსა სდებდა გომინდანს, რომ უკანასკნელმა უღალატა სუნ-იატ-სენის პრინციპებს. აჯანყებული ორი დივიზია უხანის მთავრობის ჯარის საუკეთესო ნაწილებია და ამიტომ ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. უხანის ჯარის საუკეთესო ნაწილებში, როგორც ეტყობა, გამოფხიზლებამ იჩინა თავი. შეიძლება უახლოესი მიზეზი აქ ის მოლაპარაკებაა, რომელიც დაუწყია უხანის ეხლანდელ დიქტატორს ტან-შენ-ჩის ჩან-კაი-შისთან. ჩვენ ვიცით, რომ უხანის მთავრობის სამხედრო წრეებში ბევრი იყო და არის ჩან-კაი-შის წინააღმდეგი და ნანკინთან შეთანხმების მთავარ პირობათ სწორედ ჩან-კაი-შის სრულ ჩამოშორებას მოითხოვდნენ. აშკარაა, რომ ორი დივიზიის აჯანყება და სუნ-ძინ-ლინის სახელი დიდ გავლენას მოახდენენ მემარცხენე გომინდანის წრეებში. რა თქმა უნდა, რევოლიუციონურად განწყობილ ჩინეთის გლეხობაში ეს ფაქტი დიდ გამოძახილს ჰპოვებს ძნელი გამოსაცნობია ამჟამად, თუ როგორ წავა საქმე ახლად დაარსებულ **ნანჩანის მთავრობისა**, მაგრამ თვით მომხდარი ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ჩინეთის წვრილ-ბურჟუაზიაში და გომინდანის მემარცხენე ფრთაში გამოფხიზლებამ იჩინა თავი; აქ თითქოს საძირკველი [illegible] რევოლიუციის ახალ ეტაპს.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა პრესა

სას. - სამ. კრედიტი ღარიბ გლეხობას

სას.-სამ. კრედიტის მნიშვნელობა აშკარაა; გლეხობას მეტად უძნელდება მეურნეობის უფრო მაღალ დონეზე აყვანა სახელმწიფოს საკრედიტო დახმარების გარეშე. ამავე დროს ისიც უდავოა, რომ კრედიტი უმთავრესად და პირველ ყოვლისა უნდა მიეცეს ღარიბ გლეხობას. ამისათვის უკანასკნელი უნდა შევაკავშიროთ საკრედიტო ამხანაგობების გარშემო; უზრუნველვყოთ მისი ხელმძღვანელი მონაწილეობა ამ ამხანაგობათა მმართველ ორგანოებში და შევქმნათ შეღავათიანი პირობები, რათა მას გავუადვილოთ სესხის აღება და დროზე დაბრუნება. რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის აუცილებელია, —წერს „ბედნოტა"-ში ამხ. მ. შეფლერი.

1. „გავაძლიეროთ კოოპერატიული პროპაგანდა ღარიბ გლეხობასა და შუათანა ჯგუფებს შორის და ამ მიზნით გამოვიყენოთ თითეული სასოფლო კრება, თითეული კონფერენცია; 2. ამ პროპაგანდაში ჩავაბათ პარტიული უჯრედები, აგრონომიული ძალები, კომკავშირი, სოფლის მასწავლებლები და ყველა აქტიური საბჭოთა მუშაკები სოფლად; 3. ჩავატაროთ ღარიბთა სპეციალური კრებები, აუხსნათ მათ კოოპერატიული გაერთიანების მნიშვნელობა, მოვაწყოთ და ცხოვრებაში გავატაროთ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებში წევრებად ჩაწერა ღარიბ მეურნეობათა შორის და უზრუნველვყოთ მათთვის საპაიო გამოსაღებების ნაწილ-ნაწილად შეტანა; 4. შევქმნათ სას.-სამ. კრედიტის თითეულ საზოგადოებასთან და მათ ფილიალებთან, აგრეთვე სას.-სამ. საკრედიტო კავშირებთან სპეციალური ფონდები ღარიბ გლეხობის პაების ნაწილის გადასახდელათ. ამ ფონდებში მოვიზიდოთ საშუალებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სას.-სამ. კრედიტის საზოგადოებათა, მათი ფილიალების და საკრედიტო კავშირების მოგების ანარიცხებიდან; 5. სწორად დავაყენოთ სას.-სამ. კრედიტის საზოგადოებათა და მათი ფილიალების საინსტრუქტორო და სარევიზიო მუშაობა და შევათანხმოთ ეს მუშაობა სას.-სამ. კოოპერაციის ადგილობრივ კავშირებთან, სადგილ-მამულო ორგანოებთან და ფინ-განყოფილებებთან; 6. ამხანაგობების რევიზიის დროს სპეციალური ყურადღება მიექცეს ამხანაგობების მიერ დირექტივების განხორციელებას, სას. სამ. კრედ. სოციალურ მიმართულებას. ღარიბთა პაების ნაწილ-ნაწილად შეტანის და საშუალო გლეხობიდან, განსაკუთრებით კი ღარიბ გლეხობიდან ამხანაგობის ახალ წევრებად დაუბრკოლებელ მიღების შესახებ; 7. სწორად დავაყენოთ ამხანაგობათა წევრების და სესხის ამღებთა სოციალური შემადგენლობის აღრიცხვა და ფინანსიურად გავამაგროთ პირველ ყოვლისა ის ამხანაგობები, რომლებიც ნამდვილად ატარებენ ამხანაგობათა წევრების შემადგენლობაში ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა მასიურ მიზიდვას".

კოოპერატიული პროპაგანდა ღარიბ გლეხობის ჩასაბმელად საკრედიტო ამხანაგობაში, პაების ნაწილ-ნაწილად გადახდევინება მისთვის, სპეციალური ფონდების შექმნა ღარიბ გლეხთა პაების შესატანად, სესხის მიცემის დროს ღარიბ გლეხობისათვის უპირატესობის მინიჭება, შემოწმება; თუ რამდენად ასრულებენ საკრ. ამხანაგობანი პარტიის სათანადო დირექტივებს, თვალყურის დევნება, რომ სესხი საწარმოო მიზნით იქნეს გამოყენებული,—აი უმთავრესად ის ღონისძიებანი, რომლენიც უზრუნველყოფენ სას.-სამ. კრედიტის სწორ სოციალურ მიმართულებას და ღარიბ გლეხობის ჩაბმას საკრედიტო ამხანაგობებში.

მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციების პარტაქტივი პლენუმის შესახებ

მოსკოვი, 12 ავგისტო. საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის აქტივის კრებამ, რომელსაც დაესწრო 3.000 კაცი, მიიღო ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის შედეგების შესახებ რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით უერთდება ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც სისწორით გამოხატავენ ლენინიზმის ხაზს საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკაში. აქტივი მთლიანად უერთდება ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუციას ოპოზიციის ფრაქციულ საქმიანობის შესახებ.

„იწონებს რა სავსებით—ნათქვამია რეზოლიუციაში—ც. კ. და ც. ს. კ. გადაწყვეტილებას ზინოვიევისთვის და ტროცკისთვის სასტიკ საყვედურის და გაფრთხილების გამოცხადების შესახებ მათ მიერ პარტდისციპლინის უხეშად დარღვევის გამო, აქტივი სცნობს ამ გადაწყვეტილებას, როგორც უკანასკნელ ცდას შინაპარტიულ ბრძოლის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მოსაგვარებლად, რაც ნაკარნახევია იმ სურვილით, რომ დაცულ იქნას პარტიის მთლიანობა და შენარჩუნებულ იქნენ პარტიისათვის ჩიხში მოქცეული ამხანაგები. მთელი მოსკოვის ორგანიზაციის აქტივი აფრთხილებს ოპოზიციას, რომ თუ დარღვეულ იქნა ეს უკანასკნელი ცდა, რომლის მიზანია მისცეს ოპოზიციას პატიოსნად უკან დახევის და პარტიასთან დაახლოების საშუალება,—ეს უნდა შეფასებულ იქნას, როგორც გამთიშველობა, როგორც სურვილი პარტიიდან ჩამოშორებისა.

დაიახლოებს რა ყველა პატიოსან ბოლშევიკურ ელემენტებს ჩიხში მოქცეულ ოპოზიციონერებიდან, მოსკოვის ორგანიზაცია ამავე დროს ულმობლად გააძევებს თავის რიგებიდან ყველა გაუსწორებლებს, გამორიცხავს პარტიის რიგებიდან იმ ოპოზიციონერებს, რომლებიც განაგრძობენ ფრაქციულ მუშაობას. აქტივი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს ულმობელი წინააღმდეგობა გაუწიონ ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას, შეეცადონ ფრაქციონერთა სავსებით განმარტოებას პოლიტიკურად, როგორც პარტიის შიგნით, ისე მუშათა კლასში.

აქტივი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას საპრონოვის, სმირნოვის და სხვების ეგრედწოდებულ „პლატფორმის" წინააღმდეგ, რომელიც თავის შინაარსით კიდევ უფრო ანტიპარტიულია, ვიდრე „83-ის პლატფორმა" და არსებითად წარმოადგენს მენშევიზმისაკენ აშკარა დაქანებას; აქტივი წინადადებას აძლევს ცენტრ. საკონტროლო კომისიას მიიღოს პარტიულ ზეგავლენის ზომები პარტიიდან გამორიცხვამდე, იმ პირების მიმართ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ აშკარა ანტიპარტიულ პლატფორმას. მოსკოვის ორგანიზაციის აქტივი გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ მთელი პარტიული მასა გადალახავს ოპოზიციონერთა უმნიშვნელო ჯგუფის წინააღმდეგობას და პარტიის მე-15 ყრილობის წინაშე წარსდგება მთლიან ლენინურ რაზმად" (ადს).

ლენინგრადი, 12 ავგისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის პარტაქტივის კრებაზე ბუხარინის მოხსენების შემდეგ მიღებულია რეზოლიუცია ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებების შესახებ. მიღებული რეზოლიუცია მთლიანად და სავსებით ადასტურებს პლენუმის დადგენილებებს საგარეო და საშინაო პოლიტიკის და ოპოზიციის შესახებ.

„აქტივი — ნათქვამია რეზოლიუციაში — ესალმება ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის განცხადებას პარტიის შიგნით ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ და მოუწოდებს იმ ამხანაგებს, რომლებიც ემხრობიან ოპოზიციას, გასწყვიტონ მასთან ყოველგვარი კავშირი და მიემხრონ ჩვენი პარტიის საერთო ლენინურ რიგებს, ვინაიდან ოპოზიციამ გამოააშკარავა თავისი სრული გაკოტრება და დაუშვებელი რყევა ომის საკითხში. გაფრთხილება, რომელიც მისცა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა ოპოზიციის მეთაურთ, ლენინგრადის ორგანიზაციას მიაჩნია უკანასკნელ გაფრთხილებათ, რომელსაც იმ შემთხვევაში თუ ოპოზიციის ბელადებმა დაარღვიეს თავისი დაპირება, უნდა მოჰყვეს გადამწყვეტი ზომები პარტიაში დისციპლინის და მთლიანობის დასაცავად. ლენინგრადის ორგანიზაცია პირდება ცეკას სრულ დახმარებას ოპოზიციური ბლოკის გამთიშველ მოქმედებისაგან პარტიის მთლიანობის დაცვის საქმეში და საჭიროთ სთვლის სასტიკი ბრძოლის წარმოებას ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის და პარტიის წინაშე თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა დარღვევის წინააღმდეგ." (ადს)

საკო და ვანცეტი

საკოს და ვანცეტის დასაცავად

სტოკჰოლმი, 11 ავგისტო. საკოსა და ვანცეტის დამცველმა შვეციის კომიტეტმა წინადადებით მიმართა შვეციის მუშათა ყველა ორგანიზაციებს 18 ავგისტოსათვის მოაწყონ 24 საათიანი საერთო გაფიცვა საკოსა და ვანცეტის საქმეზე განაჩენის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ (ადს).

ოსლო, 11 ავგისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: გერმანიის ერთმა ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა პროფ. ფრიტიოფ ნანსენს შეუერთდეს პროტესტს საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ნანსენმა განაცხადა, რომ ამჟამად მას არ შეუძლია რაიმე აზრი გამოსთქვას ამ რთული საქმის შესახებ, რადგან ამისთვის არ მოეპოება საკმაო მასალები. (ადს).

ვენა, 11 ავგისტო. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ, მიუხედავათ მუშების მასიური მოთხოვნილებისა, **არ მოაწყო არავითარი საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ;** იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ვენის საელჩოში გაგზავნა, დეპეშა, რომელშიაც სთხოვს მას, რათა ხელი შეუშალოს განაჩენის სისრულეში მოყვანას. (ადს).

კანონი უცხოელ მუშების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 11 ავგისტო. შეერთებულ შტატების შრომის მინისტრმა დევისმა აღძრა საკითხი ახალი „სასტიკი" კანონების შესახებ უცხოელ მუშების წინააღმდეგ. მინისტრის ნაბიჯი გამოწვეულია უცხოელ მუშების მასიური მონაწილეობით დემონსტრაციებში საკოს და ვანცეტის სასარგებლოთ. დევისი მოითხოვს, რომ სწარმოებდეს უცხოელ მუშების სავალდებულო რეგისტრაცია, რაც ხელს შეუწყობდა მათთვის თვალყურის დევნებას და მოითხოვს გარდა ამისა ამ მუშების გაძევებას შეერთებულ შტატებიდან, რომლებიც „უკანონოთ მოიქცევიან". (ადს).

„ზუბრები" არ დაუშვებენ

ნიუ-იორკი, 11 ავგისტო. გუბერნატორ ფულერთან არსებულ საბჭოს ერთ-ერთი წევრის განცხადებით საკოს და ვანცეტის დასჯა მოხდება 23 ავგისტოს, „ვინაიდან საბჭო არ დაუშვებს ხელმეორეთ საკოს და ვანცეტის დასჯის გადადებას". (ადს).

სიმშილობა 27 დღე

ნიუ-იორკი, 11 ავგისტო. საკო და ვანცეტი განაგრძობენ სიმშილობას. **საკო სიმშილობს 27 დღე.** (ადს).

ნამდვილი დამნაშავის სიკვდილით დასჯა გადადებულია

ნიუ-იორკი, 11 ავგისტო. საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გადადებასთან ერთად, გადაიდო აგრეთვე მადეიროსის სიკვდილით დასჯაც. მადეიროსმა ჩაიდინა ის ბოროტმოქმედება, რომელსაც აწერენ საკოს და ვანცეტის. (მადეიროს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სხვა საქმეზე, და უყურადღებოთ დასტოვეს მისი განცხადება იმის შესახებ, რომ მან მიიღო მონაწილეობა ბოროტმოქმედებაში, რომელიც მიაწერეს საკოს და ვანცეტის) ფულერმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ მადეიროსის სიკვდილით დასჯა გადადებულია იმისათვის, რომ მიეცეს დამცველებს საშუალება, აღძრან შუამდგომლობა სხვადასხვა ინსტანციებში საქმის ხელახალი განხილვის შესახებ.

დამცველებმა უკვე შეიტანეს სათანადო ინსტანციაში ორი შუამდგომლობა საქმის ხელახალი განხილვის შესახებ და თავის შუამდგომლობას ასაბუთებენ იმით, რომ ტეიერმა განაჩენის გამოტანის დროს ცალმხრივობა გამოიჩინაო. დამცველთა შუამდგომლობა უარყოფილია. მაგრამ დამცველები ახალ ნაბიჯებს სდგამენ იმისათვის, რომ მიაღწიონ საქმის ხელმეორე გარჩევას.

საკოსა და ვანცეტის გადასარჩენად

პარიზი, 11 ავგისტო. საკო და ვანცეტის საქმესთან დაკავშირებით ბრიუსელში შესდგა დიდი მიტინგი, რომელიც შემდეგ გადაიქცა გრანდიოზულ დემონსტრაციათ.

ასეთივე მიტინგები გაიმართა პარიზის მახლობელ უბნებში (ადს).

საოკუპაციო ჯარების შემცირება გერმანიაში

პარიზი, 11 ავგისტო. ოფიციალური ცნობა ადასტურებს, რომ შესაძლებელია რეინის ოლქში საოკუპაციო ჯარების შემცირება, თუმცა შემცირების რაოდენობა ჯერ არაა გამორკვეული. უცხოეთის პრესის ყველა ცნობები დამყარებულია არაოფიციალურ ცნობებზე.

სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით საფრანგეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება საოკუპაციო ჯარების შემცირების შესახებ. გაზეთები ასახელებენ რიცხვს 5000. ამდენად იქნება შემცირებული საოკუპაციო არმია. „ეკო-დე-პარი" იხსენებს საკითხის ისტორიას და სწერს, რომ „მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შედეგია არა ანგარიშიანი მოსაზრებების, არამედ იგი გამოწვეულია ინგლისის გავლენით".

საქართველოს მშრომელთა პროტესტი

მიტინგი ხონში

პროფკავშირების წევრთა გაერთიანებულმა კრებამ ხონში მოისმინა ამხ. **ვ. კენჭერაძის** და **ვ. ნადარეიშვილის** მოხსენება საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის მზადების შესახებ, რაზედაც გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მსოფლიო იმპერიალიზმი გაშმაგებით ებრძვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. იმპერიალიზმს აჩრდილივით თან სდევს და მოსვენებას უკარგავს წითელი საფრთხე. ის გაათკეცებული ენერგიით სდევნის მუშათა კლასს, ის სისხლის მორევში ახრჩობს ჩინელ მუშებს. ამერიკის ბურჟუაზიულმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ამხ. საკოს და ვანცეტის, მაგრამ მუშათა კლასს ვერ შეაშინებს ეს მსხვერპლი. დადგება დრო როდესაც პროლეტარული ხელისუფლება სამაგიეროს გადაუხდის საკოსა და ვანცეტის ჯალათებს. კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი განაჩენის წინააღმდეგ და მოითხოვს ამხ. საკოსა და ვანცეტის განთავისუფლებას.

ჭიათურის მუშების პროტესტი

ჭიათურაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მასიური საპროტესტო მიტინგი საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მიტინგმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ჭიათურის მუშა - მოსამსახურეთა მიტინგმა მოისმინა მოხსენება საკოსა და ვანცეტისათვის ამერიკის ბურჟუაზიულ სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის შესახებ, რაზედაც მიტინგი გამოსთქვამს თავის პროტესტს და უღრმეს აღშფოთებას. ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის ბურჟუაზიულ სასამართლოს ამ განაჩენის გაუქმებას და საკოსა და ვანცეტის განთავისუფლებას".

ადლერი ამართლებს

ამსტერდამის ტაქტიკას

ვენა, 11 ავგისტო. „არბაიტერ ცეიტუნგი" ბეჭდავს ფრიდრიხ ადლერის წერილს ამსტერდამის ინტერნაციონალის შესახებ. ადლერი ცდილობს განმარტოს და გაამართლოს ამსტერდამის ტაქტიკა, განსაკუთრებით მთლიანობის საკითხი, და ამასთან ერთად იმეორებს ჩვეულებრივ ფრაზებს „პროფინტერნის და კომინტერნის გამთიშავი ტაქტიკისა და არაგულწრფელი მანევრების შესახებ მთლიანობის ფრონტის საკითხში". (ადს).

პილსუდსკი შვებულებაში

ვარშავა, 11 ავგისტო. პილსუდსკი გაემგზავრა შვებულებაში—დრუზგენიკში. გამგზავრების წინ პილსუდსკი ეთათბირა **ბარტელსა** და კნოლს (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე) გაზეთების ცნობით თათბირის საგანს შეადგენდა პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობა.

წყალდიდობა

ლონდონი, 11 ავგისტო. ბომბეიდან (ინდოეთი) მიღებული ცნობით, ბროუჩის (ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი) ჩრდილოეთ რაიონში წყალდიდობის გამო განადგურდა ბამბის ნათესების 90 პროც.; თამბაქოს—90 პროც. და ხორბლის მნიშვნელოვანი ნაწილი. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

ცვლილება ლიტვის მთავრობაში

კოვნო, 11 აგვისტო. გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი დაუკანტას დაინიშნა სამხედრო მინისტრად.

პოლონეთის ჰაეროპლანები ლიტვაში

კოვნო, 11 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც პოლონეთის სამხედრო ჰაეროპლანები გადადიან დემარკაციულ ხაზს პოლონეთსა და ლიტვას შორის (ადს).

„შეურაცხმყოფელი დროშა"

პარიზი, 12 აგვისტო. ამერიკის საელჩომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს განუცხადა პროტესტი „ლ-იუმანიტე"-ში მოთავსებულ კარიკატურის გამო, რომელიც „შეურაცხყოფს ამერიკის დროშას". მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ საქმე გადაეცემა სასამართლოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას სპეციალურად მოითხოვს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები.

მფრინავის დაღუპვა

პარიზი, 12 აგვისტო. ავიატორი ფეოლა, რომელიც ემზადებოდა პარიზი - მოსკოვი — პარიზის მარშრუტით გადასაფრენათ გუშინ სასიკვდილოთ დაიმსხვრა ვერსალში.

მზადება „წითელი ფრონტის" დღისათვის

ბერლინი, 12 აგვისტო. საარის ოლქის მთავრობის კომისიამ წითელ ფრონტელების კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციას აუკრძალა მზადება „წითელი ფრონტის" დღისათვის, რომელიც დანიშნულია 8 სექტემბრისათვის. წითელ ფრონტელების კავშირი აცხადებს, რომ მიუხედავათ აკრძალვისა, მომზადება ამ დღისათვის მაინც იწარმოებს (ადს).

რეპრესიები დემონსტრაციებისათვის

ბერლინი, 12 აგვისტო. მუშათა საპროტესტო დემონსტრაციების გამო, რომელიც გამართა საკოხა და ვანცეტის დასაცავად, მრავალი მუშა დაითხოვეს სამსახურიდან.

მასები ხელმძღვანელების წინააღმდეგ

ბერლინი, 12 აგვისტო. მას შემდეგ, რაც იარაღით გარეკეს სამთამადნო მუშების დემონსტრაცია საარ-ბრიუკენში საარის ოლქის მთელ რიგ მაღაროებში და წარმოებებში გამოცხადებულია საპროტესტო გაფიცვა. საარის ოლქის მრავალ ქალაქებში მასიურ მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელშიაც მოითხოვენდნ მემადაროების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ეხლანდელ მთავრობის გადადგომას. მიუხედავად იმისა, რომ კომპარტიის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მუშათა მასებში, პროფკავშირის ხელმძღვანელებმა უარჰყვეს ეს წინადადება. მთავრობის კომისიამ აკრძალა კომპარტიის ორგანო „არბაიტერ ცაიტუნგ"-ი (ადს).

ფრენის დღესასწაული

ბაქო, 12 აგვისტო. ბაქოში შესდგა ფრენის დღესასწაული, რომელიც მიძღვნილი იყო „ურვოზდუხპუტის" ჰაეროპლანებით პირველი ერთი მილიონი კილომეტრის გავლისადმი.

ახლო ხანში, განზრახულია მოეწყოს აეროდრომებზე სინათლის ეფექტები და ღამის შუქურები, რომ შესაძლებელი გახდეს ღამით ჰაეროპლანების მიერ გზის გაგნება. (ადს)

მატყლის შემოზიდვა

ლონდონი, 12 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს მელბურნიდან (ავსტრალიაშია) ატყობინებენ, რომ სააქციო საზ-ბა ტექსტილ იმპორტის წარმომადგენელმა შეიძინა 17.800 მატყლის ბარდანა რუსეთში გასაგზავნად. (ადს)

იაპონელთა გემები რუმინეთში

ვენა, 12 აგვისტო. 7 აგვისტოს კონსტანციაში (რუმინეთის ნავთსადგური) ჩამოვიდა იაპონიის სამი გამანადგურებელი გემი. (ადს)

კიდევ ყუმბარის აფეთქება

ვენა, 12 აგვისტო, სოფიაში ჩ.-ა. შეერთ. შტატების საკონსულოს შენობის საწყობში აფეთქდა ყუმბარა. (ადს)

თავდასხმა მეფე გიორგიზე

ვენა, 11 აგვისტო. სამხრეთ-სლავის რკინის გზების ერთ სადგურზე — „ველიკი"-ზე მოხდა თავდასხმა ყოფილ მეფე გიორგიზე, რომელიც ბუქარესტიდან მიემგზავრებოდა ბელგრადში (სამხრეთ-სლავიის მეფის საზაფხულო რეზიდენცია).

თავდამსხმელებმა მეფეს ესროლეს რამოდენიმეჯერ, თუმცა უშედეგოდ. თავდამსხმელი დაპატიმრებულია და მისი გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა „სახელმძღვანელო" დოკუმენტები. (ადს)

გერმანელი მრეწველები ბაქოში

ბაქო, 12 აგვისტო. ბაქოში ჩამოვიდნენ გერმანული მძიმე ინდუსტრიის „იმინ ნეუერ"-ის წარმომადგენლები. მათ მიერ გადმოცემული ცნობებით სპარსეთში განსაკუთრებული სიმპატიებით და ავტორიტეტით სარგებლობენ საბჭოთა დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლობები.

გერმანელი მრეწველები, ბაქოში შეკვეთების მიღების შემდეგ მიემგზავრებიან მოსკოვში.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ტყის მასალის გაცემის გამარტივებული წესი

მოსკოვი, 12 აგვისტო. რუსეთის მიწათმოქმედების კომისარიატმა გამოსცა ბრძანება, რომელიც ამარტივებს ტყის მასალის გლეხებზე გაცემის წესს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხებისათვის მოსაჭრელი ტყის ნაკვეთების ფაქტიურად გადაცემის დაჩქარებას.

სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის ტყის მასალის მიწოდება უნდა სწარმოებდეს დაუყოვნებლივ. (ადს).

ადგილობრივი კომიტეტების ხელახალი არჩევნები

მოსკოვი, 12 აგვისტო. გლეხკომების ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დაიწყოს ადგილობრივი კომიტეტების ხელახალი არჩევნების კამპანია ადგილებზე 1 ნოემბრიდან (ადს).

მუშგლეხინის დადგენილებათა შესასრულებლად

მოსკოვი, 12 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა ყველა დაწესებულებისა და საწარმოოთათვის სავალდებულოდ სცნო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის იმ დადგენილებათა შესრულება, რომლებიც შეეხება ანგარიშის წარმოების გამარტივებასა და შემცირებას, ზედმეტ ორგანოების და წარმომადგენლობათა ლიკვიდაციას, ზედმეტი შტატებისა და ზედნადებ ფასების შემცირებას, თანამდებობის პირთა დათხოვნას მეურნეობის უყაირათოდ წარმოებისა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებისათვის და სხვ. (ადს).

ხელფასის გასწორების ახალი ფორმა

მოსკოვი, 12 აგვისტო. დღემდი, როგორც ცნობილია მრეწველობაში სჭარბობდა ხელფასის თვიურად გასტუმრების ფორმა. კოლექტიურ ხელშეკრულებების გადასინჯვის გამო, წარმოების ზოგიერთ დარგებში წამოიჭრა შრომის ხელფასის დღიურად და საათებით გასტუმრების საკითხი. საკავშირო ცენტ. პროფ-ქოს სეკრეტარიატმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით წარმოების ყველა დარგები მომავალ წლიდან უნდა გადავიდნენ შრომის ხელფასის საათობით და დღიურად გასტუმრების სისტემაზე. (ადს)

ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა

მოსკოვი, 12 აგვისტო. სამხატვრო - სამეცნიერო აკადემია აწყობს საბჭოთა კავშირის ეროვნულ ხელოვნების ნაწარმოებთა საკავშირო გამოფენას. გამოფენის გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე. გამოფენა წარმოადგენს ეროვნულ ხელოვნების მიღწევათა გრანდიოზულ შემოწმებას. (ადს)

გადაფრენა დასავლეთ ევროპაში

მოსკოვი, 12 აგვისტო. 13 აგვისტოს ცენტრალურ აეროდრომიდან მფრინავი ამხ. ვოიშვიცკი გადაფრინდება დასავლეთ — ევროპაში. (ადს)

წყნარ ოკეანეს პროფმოძრაობა

მოსკოვი, 12 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლოზოვსკის მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის მგზავრობის შესახებ წყნარ ოკეანეს და სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა კონფერენციაზე. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა დელეგაციის მუშაობა კონფერენციებზე. პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს კონფერენციის მიერ შედგენილ წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნოს და აგრეთვე მხურვალე მისალმება გაუგზავნოს ფილიპინის კუნძულების კონგრესს, რომელიც შეუერთდა წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნოს. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შეუერთდა ავსტრალიის პროფკავშირთა წინადადებას წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა მეორე კონფერენციის მოწვევის შესახებ მელბურნში (ავსტრალია); საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველმხრივ დაეხმაროს ჩინეთის მუშათა კლასს და მათ პროფკავშირებს ბრძოლაში უცხოელ იმპერიალისტებისა და შინაური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ .(ადს)

სატირაჟო კომისიის უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 10 აგვისტო. 8 აგვისტოს შესდგა მე-2 საგლეხო მომგებიანი სესხის სატირაჟო კომისიის უკანასკნელი სხდომა. ყველა ათი სერიიდან 5.000 მან. მოგება შეხვდა 0698372 ნომერს. (ადს)

„ამხანაგის" დაბრუნება

ლენინგრადი, 12 აგვისტო. 26 თვის ნაოსნობის შემდეგ დაბრუნდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ხომალდი „ამხანაგი" მისი რაზმი მთლიანად შესდგება საზღვაო ტექნიკუმის უკანასკნელ კურსის მსმენელებისაგან. „ამხანაგის" რეისი რუსეთის ნაოსნობის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა. 1925 წელში „ამხანაგი" ქვით დატვირთული გემართა ლენინგრადიდან შვეციისაკენ; გზაზე ის შეხვდა ძლიერ ქარიშხალს, რომელმაც დაგლიჯა იალქნები და ხომალდი გაიტაცა ჩრდილოეთ სკანდინავიის ნახევარ კუნძულისაკენ. იქიდან ის მურმანში გამოიყვანა საბუქსირო გემმა, საიდანაც ხომალდი წავიდა სამხრეთ - ამერიკისაკენ. გზაზე ინახულა სოუთგემპტონი და მადეირას კუნძული. სამხრეთ ამერიკაში „ამხანაგი" შეჩერდა მონტევიდეოში და როზარიოში, სადაც არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა დროშამ.

ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომმა „ამხანაგს" გადასცა საპატიო დროშა. (ადს)

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს რადიო - კვანძი

ბაქო, 12 აგვისტო. ნოემბრის დასაწყისში ბაქოში ამუშავებული იქნება რადიო - სადგური, რომელის მოქმედების რადიუსი იქნება 3.000 ვერსი.

ამჟამად საექსპლოატაციოდ მზად არის გადამცემი სადგური. (ადს).

სპარსეთ - აზერბეიჯანის რაიონების გამოკვლევა

ბაქო, 12 აგვისტო. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა დაუყოვნებლივ მოახდინოს სპარსეთის აზერბეიჯანის იმ რაიონების გამოკვლევა, საიდანაც სწარმოებს საბჭოთა კავშირში ბამბის შემოზიდვა. გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს იქ ბამბის მავნებელთა არსებობა. (ადს).

ტყავის ნედლეულის დამზადების გეგმა

ბაქო, 12 აგვისტო. ტყავის ნედლეულის დამზადების გეგმა, რომელიც შეადგინა ვაჭრობის სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველომ, ითვალისწინებს აზერბეიჯანში 85.000 მსხვილფეხა და 225.000 წვრილფეხა საქონლის ტყავის დამზადებას. დამზადება უნდა აწარმოონ ტყავის სინდიკატმა, „ბაქხმკოოპ"-მ და „აზგოსტორგ"-მა. (ადს).

სომხეთში

პირველ საექიმო დახმარების კურსები

კარაკლისი, 12 აგვისტო. წითელი ჯვრის სამაზრო გამგეობამ მოაწყო პირველ საექიმო დახმარების ორთვიანი კურსები კარაკლისში, სტეფანავანში და ალავერდში. (ადს).

სასჯელი

ერევანი, 11 აგვისტო. სომხეთის ცაკის პრეზიდიუმმა უარყო გრიგორიანის შუამდგომლობა პატიების შესახებ. გრიგორიანს უზენაეს სასამართლოს მიერ მკვლელობის და გაძარცვისათვის მისჯილი ქონდა უმაღლესი სასჯელი— დახვრეტა. უზენაეს სასამართლოს განაჩენი გრიგორიანის და მუშკოოპის ბუხჰალტერის ხუდავერდიანის მიმართ. რომელმაც მთელ რიგ წლების განმავლობაში მიითვისა კოოპერატივის 5.000 მანეთი, სისრულეში იქნა მოყვანილი (ადს)

საკავშირო ს. მ. უ. ს. პლენუმი

მოსკოვი, 12 აგვისტო. 11 აგვისტოს გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მეორე პლენუმი. პირველ საკითხად პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. რუხიმოვიჩის მოხსენება 1927—28 წლის მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

სანამ მომხსენებელს სიტყვა მიეცემოდა, პლენუმის თავმჯდომარემ ამხ. კუიბიშევმა მოკლე შენიშვნა გააკეთა საკონტროლო ციფრების პლენუმზე წარმოდგენის გამო. მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრები პლენუმზე წარმოდგენილია ჯერ კიდევ მის განხილვამდე და საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში დამტკიცებამდე.

„ამაში, — ამბობს ამხ. კუიბიშევი, — არის უარყოფითი და დადებითი მხარეც. უარყოფითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ პლენუმს საკონტროლო ციფრების განხილვის დროს არ აქვს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმის აზრი ამ ციფრების შესახებ. დადებითი მხარე კი მდგომარეობს იმაში, რომ პლენუმს შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ციფრების შესწორებაში, მაშინ როდესაც შარშან პლენუმზე წარმოდგენილი იქნა საკანონმდებლო ორგანოების მიერ უკვე დამტკიცებული საკონტროლო ციფრები".

ამხ. რუხიმოვიჩმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მრეწველობის საერთო პროდუქცია საკონტროლო ციფრების მიხედვით 17,6 პროცენტით უნდა გაიზარდოს მიმდინარე წელთან შედარებით, ხოლო საქონლის პროდუქცია 12 პროცენტით უნდა გაიზარდოს. 1927—28 წლის პროდუქციის ღირებულება აბსოლიუტურ ციფრებში განისაზღვრება 1.216.000 მან., წინააღმდეგ მიმდინარე წლის 1.101.000.000 მანეთისა. კაპიტალური ხარჯების რაოდენობა, რომელსაც განსაზღვრავს აღმშენებლობის განვითარება მომავალ წლებში, უნდა გამოიხატოს 1.086.000.000 მან.

ამხ. რუხიმოვიჩის აზრით, კაპიტალური სამუშაოები აუცილებელია დანაწილდეს: პირველ რიგში შესრულებულ უნდა იქნას 986.000.000 მან., ხოლო მეორე რიგში 100.000.000 მან. სამუშაოები. შემდეგ, მრეწველობაში მუშაობის გასაადვილებლად მომავალ წელში სასურველია, რომ ადგილობრივი და აგრეთვე რესპუბლიკანური თანხები მიმართულ იქნას მსხვილ სამრეწველო აღმშენებლობაზე, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ.

ანენკოვის საქმე

სემიპალატინსკი, 12 აგვისტო. ანენკოვის პროცესზე 8 საათიანი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი პავლოვსკი. ბრალმდებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოს კვლევა-ძიებამ არამც თუ დაადასტურა საბრალმდებლო დასკვნა, არამედ უფრო ვრცელი მასალები მოგვცა ანენკოვის და დენისოვის დანაშაულის დასამტკიცებლად. ორივე ბრალდებულის მიმართ პროკურორი ითხოვს სასჯელის უმაღლეს ზომას. (ადს)

ანენკოვს მიუსაჯეს დახვრეტა

სემიპალატინსკი, 12 აგვისტო. 11 აგვისტოს ანენკოვის პროცესზე გამოსულ დამცველებმა ბორეცკიმ და ცვეტკოვმა, ბოროტმოქმედების ჩადენის დღიდან დიდი ხნის გასვლის გამო, სთხოვეს სასამართლოს ანენკოვის და დენისოვის მიმართ დახვრეტის შეცვლა მათი საბჭოთა კავშირიდან გაძევებით, ან თავისუფლების აღკვეცით. უკანასკნელ სიტყვაში ანენკოვმა განაცხადა: „როდესაც საბჭოთა კავშირში ვბრუნდებოდი. მე ვფიქრობდი, რომ საბჭოთა მთავრობა მომცემდა საშუალებას პატიოსანი სამსახურით გამომესყიდა ჩემი დანაშაული. ბრალმდებლების სიტყვების შემდეგ მე მივხდი, რომ არ ვარ საბჭოთა მთავრობისათვის საჭირო. არ შეიძლება ჩემი დანაშაულის პატიება. მაგრამ მე უფლება მაქვს ვსთქვა, რომ მე, ანენკოვმა ვაღიარე ჩემი დანაშაული და ვიქონიე გამბედაობა წარმდგარიყავ საბჭოთა სასამართლოს წინაშე. მე მივდივარ ამ ცხოვრებიდან უკვე მონანიებული და ამით ვიხსნი და ჩემი გვარის მიმართ მიღებულ წყევლაკრულვას.

დენისოვის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ სასამართლო გადის სათათბიროდ. 9 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ანენკოვის და დენისოვის მიმართ. სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომის — დახვრეტის შესახებ. მსჯავრდადებულებს უფლება მიეცათ იუშამდგომლონ დანაშაულის პატიების შესახებ.

ინგლისელ პიონერების დეკლარაცია

ინგლისის პიონერთა დელეგაციამ, რომელმაც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოც დაათვალიერა, ბათომიდან გამგზავრების წინ გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია:

ამიერ-კავკასიის კომკავშირელებს და მუშათა ახალგაზრდობას

ამხანაგებო!

გადმოგცემთ ძმურ სალამს დიდი ბრიტანეთის კომკავშირისა და მუშა ახალგაზრდობის სახელით. ჩვენმა დელეგაციამ თქვენი ქვეყანა ინახულა საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის საშიშარ მომენტში. ბრიტანეთის ბურჟუაზია ცდილობს თავი დააღწიოს საკუთარ სიძნელეებს, მას სურს იმ მუშური სახელმწიფოს მოსპობა, რომელიც ასეთი დიდი შრომითაა შექმნილი 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ.

ჩვენი დელეგაცია გამოემგზავრა იმ ქვეყნიდან, რომელიც ცნობილია სხვა ერების მჩაგვრელად. საბჭოთა კავშირის განადგურების სურვილის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ს.ს.რ.კ. წარმოადგენს მაგალითს ბრიტანეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხებისათვის. ამ მაგალითს მიბაძავენ ინგლისის მშრომელები.

თქვენს ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ, რომ წინად დამონებულმა ხალხებმა მიიღეს თავისუფლება და განვითარების სრული შესაძლებლობა. იქ, სადაც ადგილი ქონდა ჩაგვრასა და შევიწროებას, ეხლა ჩვენ ვხედავთ ახალ კულტურას, ჩვენ ვხედავთ ეროვნულ მუზეუმებს თბილისში, ჩვენ დავათვალიერეთ სკოლა ბერძენ ბავშვებისათვის ბათომში. ასეთი სკოლები ინგლისში არაა, თუმცა იქ ბევრია სხვადასხვა ეროვნების ბავშვები.

ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებიც რევოლიუციამდე თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ გმინავდნენ, რომელთა აჯანყებას შიმშილისა და გადასახადების წინააღმდეგ ყაზახების მათრახებით უმასპინძლდებოდნენ — ეხლა ძალაუფლების ხელში გადასვლის შემდეგ შესაძლებლობა აქვთ განავითარონ თავისი კულტურა, ასწიონ თავისი მეურნეობა, ინდუსტრია, გარდაქმნან მთელი საზოგადოებრივობა, — ეს გარემოება აბრაზებს ბრიტანეთის იმპერიალისტებს. ინგლისის მთავრობას ეშინია საბჭოთა კავშირის, რომლის არსებობაც მას ემუქრება თავისი გავლენის დაკარგვით კოლონიებში.

ჩვენი ბაქოში ყოფნის დროს, ჩვენ მემადაროეთა კავშირის სამმართველოში ვნახეთ 1924 წ. ამიერ - კავკასიაში ჩამოსულ ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის წევრების მიერ ხელმოწერილი დეკლარაციები. ტრედიუნიონების ამ ჩინოვნიკებმა გამოსთქვეს იმედი, რომ მათი მოგზაურობა განამტკიცებდა ორთავე ქვეყნის მუშათა კავშირს. ბაქოს მუშებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ მისტერ პერსელმა (დელეგაციის ერთ - ერთმა წევრმა) იგივე განაცხადა მუშათა კრებებზე. ჰერბერტ სმიტმაც, მემადაროეთა ფედერაციის თავმჯდომარემაც, მოაწერა აგრეთვე ხელი დეკლარაციას. მას შემდეგ პერსელმა და დელეგაციის სხვა წევრებმაც დაივიწყეს, თუ რას ლაპარაკობდენ საბჭოთა კავშირის შესახებ. ეხლა ისინი ხელმძღვანელობენ იმ ბრძოლას, რომელიც მიმართულია ინგლის-რუსეთის კომიტეტისა და პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ.

მისტერ ჰერბერტ სმიტმაც დაივიწყა აგრეთვე ყოველივე ის, რაც მან სთქვა 1924 წ. ინგლისის მემადაროეთა უკანასკნელ კონფერენციაზე სმიტმა განაცხადა, რომ მან „დაჰკარგა ყველა თავისი ილიუზიები" საბჭოთა კავშირის მუშების ცხოვრების პირობების შესახებ.

სმიტი ხუცდება და როგორც სჩანს იძენს მოხუცებულობის ყველა თვისებებს. ის ჰკარგავს როგორც მხედველობას, ისე მეხსიერებასაც. 1924 წ. ბრიტანეთის მუშების მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და უარესდებოდა. ბრიტანეთის მემადაროეები, რომელთა „ბელადიც" არის მისტერ სმიტი, 7 თვის მედგარი ბრძოლის შემდეგ, იძულებული გახდენ დასთანხმებოდენ ხელფასის შემცირებაზე და სამუშაო დღის გაგრძელებას, უმუშევრობა თანდათან იზრდება. კანონი ტრედიუნიონების შესახებ უკვე მიღებულია პარლამენტის მიერ და ამ კანონის პირველი შედეგი ისაა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირმა უკვე გასწყვიტა დამოკიდებულება ინგლისის ტრედიუნიონებთან და ინგლისის მუშათა პარტიასთან. ეხლა ბურჟუაზია ცდილობს კიდევ უფრო დააქვეითოს და გააუარესოს მუშათა პირობები.

თქვენს ქვეყანაში ჩვენ დავათვალიერეთ ნავთის სარეწაოები, ჩვენ ვნახეთ ნავთის ამოღების ახალი მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ ნავთის მრეწველობაში მომუშავეთა მუშაობის პირობებს. ჩვენ ვნახეთ მუშათა ახალი სახლები. ეს სახლები საუცხოვოა. ისინი აკმაყოფილებენ ყველა სანიტარულ - ჰიგიენურ მოთხოვნილებებს. ჩვენ განსაკუთრებით გვგვაოცა იმ გარემოებამ, რომ ამ სახლებში მცხოვრებნი — ნავთის სარეწაოების მუშები არ იხდიან ბინის ქირას.

ამა წლის მარტიდან ბრიტანეთის მემადაროეები მათი ეგრედწოდებული ბინებისათვის იხდიან ჩვეულებრივზე ერთნახევარჯერ მეტ ქირას გაფიცვის დროისათვის. საბჭოთა კავშირის ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ჩვენ ვიყავით, მუშები ცხოვრობენ ინგლისთან შედარებით გაცილებით უკეთეს პირობებში. ჰერბერტ სმიტს, „შეუძლია დაჰკარგოს თავისი ილიუზიები" რუს მუშების ცხოვრების პირობების შესახებ, შეუძლია ილაპარაკოს, რომ მუშებს არა აქვთ პოლიტიკური უფლებები, მაგრამ ის ვერ გაბედავს იმის თქმას, რომ ბრიტანეთის მემადაროები უკეთეს პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე საბჭოთა კავშირის მუშები.

ამხანაგებო, დაპირებანი, რომლებიც თქვენ ტრედიუნიონების დელეგაციამ მოგცათ, უკვე დავიწყებულია, მაგრამ მდგომარეობის რეალობა ჩვენთვის ნათელია და ჩვენ მოუთხრობთ თქვენი პირობების შესახებ ინგლისის მუშათა კლასს. ინგლისის ტრედიუნიონების ბელადები ემხრობიან ინგლისის ბურჟუაზიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში. ჩვენი დელეგაციის ანგარიში ხელს შეუწყობს კომკავშირსა და კომპარტიას მოამზადონ მუშები მომავალი ბრძოლისათვის.

გაუმარჯოს კომინტერნს!

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საქალაქო კონფერენცია

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგა გუშინ, საღამოს, კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლ. აბაშიძის მოხსენება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს საქმიანობის შესახებ — 1 იანვრიდან — დღევანდლამდე.

ამხ. ლ. აბაშიძის მოხსენება

რათა უფრო ნათლად დაესურათებია საზოგადოების ეხლანდელი მდგომარეობა, ამხ. აბაშიძე შეეხო მის მუშაობას ავიაქიმის რწმუნებულთა სრულიად საქართველოს ყრილობამდე და მის შემდეგ. როგორც მომხსენებელმა განაცხადა, საზოგადოების მდგომარეობა ყრილობამდე არ იყო სანუგეშო და ეს უმთავრესად გამოიხატა იმაში, რომ არ არსებობდა საჭირო ხელმძღვანელობა ადგილობრივ ორგანოების მხრივ და სათანადო კავშირი თვით საზოგადოების ცენტრსა და ძირითად ორგანიზაციებს შორის. ორგანიზაციის ავტორიტეტიც ძალიან დაბალ დონეზე იდგა. საზოგადოებაში ირიცხებოდა 31000 წევრი. ავიაქიმის რწმუნებულთა საკავშირო ყრილობის შემდეგ მოხდა ორი ერთ და იმავე დანიშნულების ორგანიზაციების — ავიაქიმის და თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოებების გაერთიანება— თავდაცვა - ავიაქიმის სახით.

მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობის გართულების შემდეგ ამ ორგანიზაციის მუშაობას გაცხოველება დაეტყო. სახელდობრ, გაცხოველდა ინტერესი მოსახლეობის გასამხედროებისა და თვით საზოგადოების მიზნების და ამოცანებისადმი. ამრიგად, საზოგადოებამ მიიქცია მმართველ ორგანოების ყურადღება და მათი ხელმძღვანელობა უფრო გაძლიერდა.

ახალ საზოგადოების ფორმალურად ჩამოყალიბების შემდეგ, ჩატარებულ იქნა პირველი საკავშირო ავიალატარია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია; მარტო საქართველოში გასაღდა 27.500 ბილეთი. ჩატარებულ იქნა მუშაობა მაზრებში ჰაეროდრომების და ჰაეროპლანების ჩამოსაფრენ მოედნების მოსაწყობად; ასეთები მოეწყო ათ მაზრაში.

მაისში ჩატარებულ იქნა თავდაცვის კამპანია. როგორც მომხსენებლის სიტყვიდან სჩანს, ეს კამპანია ვერ იქნა ჩატარებული სასურველად, მაგრამ მიუხედავად ამისა კამპანიამ ერთგვარი მატერიალური ნაყოფი მაინც გამოიღო.

მაისის ბოლოდან დაიწყო კამპანია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს" და „თავდაცვის კვირეულის" ჩატარება. ეს კამპანიები საზოგადოების ცხოვრებაში ყველაზე ძვირფას კამპანიებად ითვლებიან, რადგან მათ გამოიხმაურა საბჭოთა ფართო მასა.

მართალია ამ კამპანიის შედეგები ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმატებით დამთავრდა. განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი სროლის სპორტისადმი. ეს იქედანაც სჩანს, რომ ყოველ კლუბთან და წარმოებასთან არსდება სასროლო ტირები. ამასთანავე „თავდაცვის კვირეულის" განმავლობაში აღსანიშნავია თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოების წევრთა რიცხვის ზრდა. წევრების არსებული რიცხვი გადიდებულ იქნა 25—30 პროცენტით.

არ არის აგრეთვე შედეგები იმ მატერიალური სარგებლიანობისა, რომელიც მოჰყვა ამ კამპანიას, რადგან თანხები გროვდება ცალკე უწყებების გზით. მხოლოდ აქამდე აღრიცხულია 50.000 მანეთი და იმედია, რომ იგი მიაღწევს 70.000 მანეთს.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ძირითად ორგანიზაციების და საზ-ბის სექციების საქმიანობას და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. სექციების მუშაობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. არსებობენ უჯრედები, რომლებიც თავისი საქმიანობით სრულიად ამრუდებენ დასახულ გეზს. მომავალში, დასძინა ამხ. აბაშიძე, ამ მხრივ მუშაობა დიდი მუშაობის წარმოება ახლად შექმნილ თბილისის საბჭოს, რომელიც უნდა გახდეს სამაგალითო ორგანიზაციად, რომლისაგანაც შეეძლებათ მაგალითის აღება ყველა დანარჩენ რაიონებს.

რაც შეეხება საზ-ბის მატერიალურ საშუალებებს, იგი ძალიან მცირეა. საზოგადოება არსებობს მხოლოდ საკუთარი საშუალებებით და რაიმე სუბსიდიის იმედი მას არ აქვს. უმთავრესი შემოსავალი საწევრო ანარიცხებია და ამ მხრივაც ვერ არის კარგად საქმე. დავალიანება 8.600 მან. უდრის. მომავალში საჭიროა ყურადღების მიქცევა ამ დავალიანების სალიკვიდაციოთ და საქმის ისე დაყენებისათვის, რომ წარმოება - დაწესებულებებთან არსებული წრეები და ავიაქიმიური რაზმები დახმარებას ღებულობდენ წარმოება-დაწესებულებებისაგან.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო შვიდმა ამხანაგმა.

ყველას მათ ამხ. აბაშიძემ ამომწურავი პასუხი გასცა საბოლოო სიტყვაში.

მორიგი სხდომა გაიმართება სამშაბათს, 16 აგვისტოს საღამოს.

პარტიული ცხოვრება

ნუ შევანელებთ მუშაობას

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა პარტიის ერთ ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სოფლად. ამ საკითხზე საკმაოთ ბევრი დაიწერა და ითქვა, გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯებიც. ბევრგან ღარიბ გლეხების ჯგუფები ჩამოყალიბებულია. მათ დიდი სარგებლობა მოიტანეს საბჭოების, კოოპერატივის გამგეობათა, გლეხკომების და სხვა არჩევნების დროს. მაგრამ ღარიბ გლეხთა ჯგუფებს თან ახლავს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც საყოველთაო სენათ ჩაითვლება და რომელიც აღნიშნულია ბევრ ჩვენს პარტიულ თათბირების და კონფერენციების რეზოლიუციებში.

ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას არა აქვს სისტემატიური ხასიათი. ის დროგამოშვებით სწარმოებს. განსაკუთრებული გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ღარიბთა შორის სხვადასხვა საარჩევნო კამპანიების დროს. ეს ყველაზე უფრო შესამჩნევი იყო საბჭოების გადარჩევის კამპანიაში. არჩევნების დასრულების შემდეგ კი ბევრგან შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ღარიბ გლეხთა ჯგუფები ფაქტიურათ არ არსებობენ. ცხადია, ეს დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. ღარიბთა შორის მუშაობა [illegible] შემთხვევაში არ შეიძლება ამოწურულ იქნას საარჩევნო კამპანიებით. მათი დანიშნულება გაცილებით უფრო დიდია. საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომის და სხვა ადმინისტრატიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში ღარიბ გლეხთა ჯგუფები უნდა ღებულობდენ მჭიდრო და უშუალო მონაწილეობას. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. პარტია არ დაუშვებს ღარიბთა ჯგუფების მუშაობის შეკვეცას საარჩევნო კამპანიებით, ღარიბთა ჯგუფები უნდა გადაიქცენ სოფლად საბჭოთა აღმშენებლობის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ამიტომ საჭიროა მეტი სისტემატიურობა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში, საჭიროა ამ მუშაობის მტკიცე გეგმიან გზაზე დაყენება.

დ. ბ—ძე.

რა გაკეთდა 6 თვის განმავლობაში

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის სამაზრო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმმა, რომელიც შესდგა ივლისში, ჯამი გაუკეთა ჩვენი სამაზრო ორგანიზაციის ექვსი თვის მუშაობას. ქუთაისის ორგანიზაცია, როგორც ვიცით, განირჩეოდა ბევრ სამაზრო ორგანიზაციებისაგან იმ მხრივ, რომ ოპოზიციის უდღეური მიმდევრები აქ ცდილობდენ ერთგვარი აქტივობის გამოჩენას. მაზრის ორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელთა არჩევის შემდეგ დიდათ შეიცვალა პარტიული მუშაობა, რომელიც სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ გაუმჯობესების გზით. უკანასკნელმა პლენუმმა ეს სავსებით ცხადჰყო. ქუთაისის ორგანიზაცია იზრდება რიცხვობრივათ და თვისობრივათ და ჩვენს ორგანიზაციაში დაძლეულია შინაპარტიული უთანხმოება. თითო-ოროლა ჯიუტ „ოპოზიციონერის" გარდა ყველა გულწრფელი და პარტიის ერთგული ამხანაგები, რომლებიც ეზიარებოდენ ოპოზიციის შეხედულებებს, ეხლა მტკიცეთ სდგანან ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და სრული თანხმობით მუშაობენ ორგანიზაციასთან.

არა ნაკლები მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სამაზრო კომიტეტმა ქუთაისის ინტელიგენციის შორის. ამ მხრივ ქუთაისმა ჩვენს ორგანიზაციებს იმის პირველი მაგალითი მისცა, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა ინტელიგენციის შორის და რა კონკრეტულ ფორმებში უნდა მიმდინარეობდეს ეს მუშაობა. აქ არსებობს ინტელიგენციის აქტივი, რომელიც აერთიანებს ქუთაისის მოწინავე და პატიოსან ინტელიგენციას. ამ გაერთიანებას უკვე აქვს მუშაობის ერთგვარი გამოცდილება. მან დიდი სარგებლობა მოიტანა ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლებასთან კიდევ უფრო მჭიდროთ დაახლოვების საქმეში. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა პარტკომის ამ ახალი წამოწყების დიდი სარგებლობა და საჭიროდ ალიარა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება.

ახალმა კურსმა პარტიულ მუშაობაში დიდათ შეუწყო ხელი აგრეთვე ორგანიზაციაში ანტიკომუნისტურ შემთხვევების აღმოფხვრას. მნიშვნელოვნად შემცირდა ლოთობა, უდისციპლინობა, „ძმა-ბიჭური" დაჯგუფება პარტიის რიგებში და სხვა. პლენუმს არც ეს მიღწევა გამოპარვია მხედველობიდან. ამასთან ერთად ახალმა სამაზრო კომიტეტმა მტკიცე ნაბიჯები გადასდგა შინპარტიული დემოკრატიის გამაგრების საქმეში, რამაც თავის მხრივ განავითარა პარტიული მასის აქტივობა. ამან კი მეტი შესაძლებლობა შექმნა მუშებისა და ღარიბ გლეხთა დაწინაურების ჩატარებისათვის.

ამ მიღწევებთან ერთად ქუთაისის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უნდა გაძლიერებულ იქნას ხელმძღვანელობა კომკავშირზე და პიონერორგანიზაციაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის გაჯანსაღება-გაფართოებას. აღსანიშნავია, რომ როგორც საზოგადო მოვლენა, ჩვენს მაზრაშიაც საბჭოთა არჩევნების დასრულების შემდეგ საგრძნობლად მოდუნდა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა. პლენუმმა აღნიშნა ეს ნაკლულევანებანიც და დავალება მისცა სამაზრო კომიტეტს, რათა გაძლიერებულ იქნას მუშაობა მათ აღმოსაფხვრელად.

ვ. გ—ძე.

უპარტიო აქტივი და პარტუჯრედები

მუშურ მასების პოლიტიკური და კულტურული დონე არ არის ყველგან თანაბარი. მუშათა ზოგიერთი ფენები შედარებით ადვილად ითვისებენ პარტიისა და ხელისუფლების ამოცანებს და უფრო მეტი ენერგიით ცდილობენ განახორციელონ ეს ამოცანები ამგვარი ფენები იკრიბებიან ჩვენი საბჭოთა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გარშემო და ჰქმნიან ეგრეთ-წოდებულ უპარტიო აქტივს.

უპარტიო აქტივის შექმნასა და მისი მუშაობის წარმართვას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ უპარტიო აქტივის შექმნის მიზანი მრავალ ამხანაგებს და ძირის უჯრედებს ვერ აქვთ სისწორით გაგებული. ზოგიერთს ჰგონიათ: „უპარტიო აქტივთან მუშაობა ჩვენ მხოლოდ იმისთვის გვჭირდება, რომ ფაბ-ქარხ-კომების გარშემო შევქმნათ მუშათა ჯგუფები, რომლებთანაც ადვილად შეიძლება შეთანხმდეთ ქარხნის მართვა გაკეთების საქმეში", ცხადია ასეთი გაგება სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენი პარტიის მიზანია თავის გავლენის სფეროში მოაქციოს მუშათა კლასის რაც შეიძლება უფრო ფართო ფენები, აღზარდოს ისინი პოლიტიკურად და მხურვალე მონაწილეობა მიაღებინოს პარტიის ძირიგ ამოცანების განხორციელებაში. სწორედ ამ საქმისათვის გვჭირდება ჩვენ მუშათა უპარტიო აქტივი და ჩვენი უჯრედებიც ამ თვალსაზრისით უნდა მიუდგეს მას.

უჯრედებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისთვის, რომ წარმოებებში შექმნან ახალი კადრები აქტივისტ უპარტიო მუშებისა და ამ რიგად გააფართოვონ უპარტიო აქტივის შემადგენლობა. მაგრამ ამ საკითხებში ხშირად ვხვდებით ერთგვარ გაურკვევლობას, სახელდობრ: კარგად არ არის განსაზღვრული ის, თუ ვინ ითვლება უპარტიო აქტივისტად. ხშირია შემთხვევა, როცა აქტივისტად სთვლიან ყველა იმას, ვინც ხელი ასწია პარტიის ამა თუ იმ დირექტივის გატარების სასარგებლოდ ან შეიძლება ორიოდე სიტყვა სთქვა ამ საკითხზე. მარტო ეს ხაზიკი საკმარისი არ არის აქტივისტთა რიცხვში მოსახვედრად. საჭიროა არა მარტო ხელის აწევა ან ერთი სიტყვის თქმა, არამედ საჭიროა მუდმივი განუწყვეტელი მუშაობა დანარჩენ მუშებს შორის პარტიის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისა და განხორციელებისათვის ხელის შესაწყობად.

ასეთი მუშაობისათვის უპარტიო აქტივისტს ყოველთვის შეუძლია იშოვოს სათანადო დრო და ადგილი. პირადი საუბარი, საერთო კრებები, სასადილო დრო—აი რა უნდა გამოიყენოს მან ამ საქმისათვის.

ძირითად ორგანიზაციებს კი, რომლებშიაც უმთავრესად უნდა მიმდინარეობდეს უპარტიო აქტივისტთა საქმიანობა წარმოადგენენ ქვედა პროფორგანოები, კოოპერაცია; ნებაყოფლობითი საზოგადოებები და სხვა. აქ მათ საშუალება უნდა მიეცეთ ფართოდ გამოიჩინონ თავისი აქტივობა.

ჩვენმა უჯრედებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშებში ავტორიტეტის მქონე უპარტიო აქტივისტთა დაწინაურებას. მუშათა მასა, ცხადია ასეთი დაწინაურების წინააღმდეგი არ იქნება. ვინაიდან მას ეცოდინება, რომ დასაწინაურებელი ამხანაგი თავისი მუშაობის გამო ძართლაც ღირსია ასეთი დაწინაურებისა.

დასასრულ, უპარტიო მუშათა აქტივი უნდა გამოვიყენოთ როგორც პარტიის რეზერვი. ახალი წევრების მიღება უნდა სწარმოებდეს უმთავრესად ამ აქტივისტების ხარჯზედ, რაც უზრუნველყოფს ჩვენი რიგების შევსებას გამოცდილ და შემოწმებულ მუშებით.

კანდიდ.

პარტიული მუშაობა განძის თემში

განძის თემის ორგანიზაციაში ირიცხება 30-მდე წევრი და კანდიდატები. თემში არსებობს სამი უჯრედი, თვითეულ უჯრედზე მიმაგრებულია მომზადებული ამხანაგები. მუშაობა მიმდინარეობს წინდაწინ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით. ორგანიზაციაში დისციპლინა და მთლიანობა დაცულია. ორგანიზაცია სათანადო ხელმძღვანელობას უწევს თემში არსებულ ყველა დაწესებულებებს. ორგანიზაციის თვითეული წევრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თემის მიმდინარე საალმშენებლო საქმიანობაში. სამკომთან გვაქვს, როგორც ცოცხალი, ისე წერილობითი კავშირი.

ი. დარციმელია.

საერთაშორისო მდგომარეობა და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა

ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენება ქართველი ინტელიგენციის კრებაზე *)

(დასასრული)

ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა საქართველოში

ეხლა ორიოდე სიტყვა, ამხანაგებო, თვით საქართველოს მდგომარეობის შესახებ: საქართველოს მდგომარეობა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მოქმედების მხრივ განირჩევა ჩვენი კავშირის სხვა რესპუბლიკათა მდგომარეობისაგან. „სოციალისტური" ანტისაბჭოთა ძალები, როგორიც იყვნენ რუსეთსა და უკრაინაში მენშევიკები, ესერები და სხვა. სრულებით მოისპო, როგორც მასიური პარტიები. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიდ საბჭოთა კავშირში არც ერთი მენშევიკი და ესერი არ მოიპოვებოდეს. მე ვამბობ მხოლოდ იმას, რომ ამ პარტიებს არავითარი სერიოზული გავლენა აღარა აქვთ და თუ კი ამ პარტიის წევრები სადმე არსებობენ, არსებობენ როგორც სრულიად უმნიშვნელო და ინტელიგენტური წრეები.

ერთად-ერთი თვალსაჩინო ანტისაბჭოთა ძალას რუსეთში წარმოადგენს მონარქისტები, რომელნიც საზრდოობენ საზღვარგარეთიდან შემოპარულ ემისრების მიერ წამოღებულ ფულებით, რომელსაც ესა თუ ის ფაშისტური შტაბი გადმოუგდებს მათ, როგორც მოწყალებას. ამიტომ ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ თუ ბურჟუაზიის იმედები გამართლდა და საბჭოთა კავშირი მართლაც დამარცხდა, ამას მოჰყვება არა დანის, აბრამოვიჩის, ირაკლი წერეთელის, ან ნოე ჟორდანიას მთავრობათა გამარჯვება, არამედ უსაშინლესი მონარქისტული რეაქცია, რომელიც არავითარ სიკეთეს არ უქადის საქართველოს არც პოლიტიკურად, არც ნაციონალურად, არც ეკონომიურად.

დღეს საქართველოში არსებობს ყოფ. მენშევიკური პარტიის ნამტვრევები. მათ ბლოკი აქვთ საქართველოს იმ ელემენტებთან, რომელთა „მოღვაწეობა" თავის დროზე სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა თვით მენშევიკების მხრივ. მენშევიკები დღესაც არ სტოვებენ აზრს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების შესახებ.

მე არ შევჩერდები იმ წერილებზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენს პრესაში. მოვაქცევ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ გარემოებას: არა ერთხელ გამოცხადა, რომ ეს წერილები კარგია, ვინაიდან ჟორდანია პირდაპირ სწერს—არ გაგიწყრეთ ღმერთი, არ გაიმეოროთ 24 წლის ამბები, აჯანყება არ მოაწყოთ. პირიქით—ირიდეთ ფაშისტებს, გაუფრთხილდით, რომ ბოლშევიკებმა არ მოგიწყონ პროვოკაცია და სისხლში არ ჩაახრჩონ ქართველი ხალხი, რომელიც ასე სძულს მათ. მაგრამ საჭირო დროს ელოდე ჩემს განკარგულებას, ჩემის ხელის მოწერითო.

სამწუხაროდ ზოგიერთებს ამ წერილებიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ჟორდანია წინააღმდეგია აჯანყების. მე კი ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამნაირად აზროვნება და ამნაირად წერილების დაფასება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც სინამდვილეს განზრახულად მალავს, ანდა სირაქლემას პოლიტიკას აწარმოებს. ამ უკანასკნელებს შეიძლება მართლაც უნდოდეს, რომ საქართველოში მშვიდობიანობა იყოს, და ამიტომ არ უნდათ დაიჯერონ, რომ ჟორდანია, რამიშვილი მოწადინებული არიან გართულება შემოიტანონ ჩვენს მშვიდობიან მუშაობაში.

მოგახსენებთ, თუ რა არის სინამდვილეში ეს წერილები და რა არის ამ წერილებში ყველაზე უფრო საყურადღებო:

საყურადღებოა ის, რომ მენშევიკებმა ნაციონალ-დემოკრატების ერთ ფრთასთან ერთად დასვეს აჯანყების საკითხი და დადებითად გადასწყვიტეს იგი. ამ წერილებზე მე აღარ შევჩერდები დიდხანს, რადგან ყველა თქვენგანი მას გაეცნო პრესის საშუალებით. მივაქცევ კი თქვენს ყურადღებას, რომ ამ წერილებში ლაპარაკია არა აჯანყების მიღება-უარყოფაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აჯანყების ტაქტიკაზე: თუ როდის და რა პირობებში უნდა მოხდეს იგი.

ჩვენ რასაკვირველია გვაინტერესებს საკითხის არსებითი მხარე—ის რომ მენშევიკებმა გადასწყვიტეს აჯანყების მოწყობა, რაც შეეხება მათი ტაქტიკის განმარტებას, მე ვაცხადებ, რომ ჩვენი მუშაობა უნდა მიმართული იყოს იმ მხრივ, რომ აჯანყება არ მოხდეს და აგვისტოს ამბები არ განმეორდეს. მე პირადათ, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მენშევიკები აგვისტოს ვერ გაიმეორებენ. ჩვენ ისინი დღეს აჯანყებას ვეღარ მოგვიწყობენ, მათ, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებიან მუშები, ისევე როგორც არ გაჰყვენ 1924 წ. არ გაჰყვება მათ არც გლეხობის თუნდაც პატარა ნაწილი, ვინაიდან გლეხობას ჩვენი წყობილების პირობებში არ აქვს არავითარი მიზეზი უკმაყოფილებისათვის და, მეტადრე ისეთი უკმაყოფილებისათვის, რომ აჯანყებას გაჰყვეს. მე აგრეთვე გამოვსთქვამ იმედს, რომ მენშევიკებს არ გაჰყვება აჯანყებაში ინტელიგენციის ის ნაწილიც კი, რომელიც მათ ერთ დროს თანაუგრძნობდა. დღეს არავისთვისაა საიდუმლო რომ 1924 წ. ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი თუ იარაღით ხელში არ იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში თანაუგრძნობდა მენშევიკებს და ეს თანაგრძნობა ქმნიდა იმ ატმოსფეროს, რომელმაც გაუადვილა მენშევიკებს მოეწყოთ ეს ავანტიურა. მე ვიცნობდი ისეთ არა მენშევიკ ინტელიგენტებს, რომელნიც თურმე მაშინ მზათ ყოფილან პატარა ბრაუნინგებით გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ; მე ვიცი, რომ დღეს, იგივე ინტელიგენტები, თუ ყველა არა, მათ შორის უდიდესი ნაწილი მაინც გულწრფელად სწუხან ამაზე და ნანობენ იმ სხვერპლს, რომელიც ასე უმიზნოთ შეიწირა მენშევიკების გაიძვერობამ.

მე ვფიქრობ, რომ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ატმოსფერა დღეს სავსებით შეცვლილია და მენშევიკები ქართველ ინტელიგენციაში თავის დასაყრდნობ ძალას ვერ ჰპოვებენ.

ის პასუხი, რომელიც ჟორდანია-რამიშვილმა მიიღეს ქართველი ინტელიგენციისაგან (ქართველი პროფესურის, მწერალთა კავშირის, ექიმების, ყოფილ ქართველ ემიგრანტებისაგან, კერძოდ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, პროვინციის ინტელიგენც. კრებებიდან და სხვ.) მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველი ინტელიგენციის დღევანდელი სულისკვეთება საბჭოთა მხარეზეა.

მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა და ჩვენ ცუდი პოლიტიკოსები ვიქნებოდით, თუ ასეთ პირობებშიაც არ მივიღებდით ყველა იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა სახელმწიფოს თავდაცვისათვის. ერთი გაკვეთილი ჩვენ უკვე მივიღეთ სწორედ წარსულ აჯანყების დროს; ჩვენ არ გვჯეროდა მაშინ, რომ მენშევიკები გამოვიდოდნენ ასეთი საშინელი ავანტიურის მოწყობით. ამ გარემოებას მე ვთვლი ჩვენს დანაშაულად ქართული მშრომელი მასების წინაშე—რადგან ამ რწმენით დაიმედებულნი, არ ვღებდით ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ წინასწარ ზომებს.

დღეს ასეთი ამბავი, რასაკვირველია აღარ მოხდება; სათანადო ზომები მიღებულია და ყოველ წუთში მზათ ვართ სასტიკი პასუხი გავცეთ ყველას, ვინც ასეთი პროვოკაციის გამეორებას მოისურვებს; **ჩვენ ვალდებულნი ვართ ზომები მივიღოთ არა აჯანყების ჩასაქრობად, არამედ იმისათვის, რომ აჯანყება არ მოხდეს.** საქართველოში უნდა შეიქნეს ისეთი პირობები, რომ ვერც ერთი არამზადა ასეთ ავანტიურაზე ფიქრს ვეღარ ჰბედავდეს. **ამაზედ ზრუნვა უნდა შეადგენდეს არა მარტო ჩვენი პარტიის ინტერესს და მოვალეობას, არამედ ეს არის მოვალეობა მშრომელი მასის, და ყოველი პატიოსანი მოქალაქის, თუ გნებავთ მარტო პატრიოტული მოსაზრებითაც.**

მენშევიკების ტაქტიკა თვით საქართველოში, აშენებულია—ერთის მხრივ ყოველგვარ პოლიტიკურ პროვოკაციულ ხმების გავრცელებაზე, ასე, მაგალითად: სოფლად ისინი ავრცელებენ ხმებს, რომ უკვე ევროპიდან გამოყარეს ყველა ჩვენი წარმომადგენლები და რომ ბოლშევიკები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ბურჟუაზიასთან შერიგებისა და ხელისუფლების დათმობის შესახებ. შემდეგ, რომ წელს რუსეთში არავითარი მოსავალი არ არის და აუცილებელია შიმშილობა. ავრცელებენ აგრეთვე ხმებს გლეხობაში, განსაკუთრებით გურიაში, რომ მთელი ევროპა მზად არის დაეხმაროს ყოფილ მთავრობას მენშევიკურ წყობილების აღდგენაში, ოღონდ კი საქართველო მზათ იყოს ჟორდანია-რამიშვილის შესახვედრად; მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს მარტო სოფლის ამბები იყოს. ნოე ჟორდანიაც კი აჰყვა ამ სოფლის პროპაგანდისტებს. მე აქ მინდა მოვიყვანო მოწმეთ თვით კაკი წერეთელი, რომელიც ეკამათება ნოე ჟორდანიას სწორედ ამ საკითხის შესახებ; სამწუხაროდ, მე შეცდომით წამომიღია ამ წერილის მხოლოდ რუსული თარგმანი. ეს წერილები შეიცავენ დისკუსიას კაკი წერეთელის და საზღვარგარეთელ ბიუროს შორის, მათი პარტიის ტაქტიკის შესახებ.

„....მას. (ჟორდანიას ლ. ღ.) შემდეგი საბუთი მოჰყავს: „პარიტეტმა რასაკვირველია ცუდი საქმე დაგვმართა, რომ ბრძოლა წააგო, მაგრამ ეს წაგებული ბრძოლაც დიდი პლიუსია ჩვენთვის, ვინაიდან ამ დღიდან საქართველოს საკითხი ევროპის საზოგადოებრივ აზრში სერიოზულად ისმება". პირველ წერილში ამ საგანზე ის კიდევ უფრო გადაჭრით ლაპარაკობს: „გაკვრით უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყება გამართლებულია პოლიტიკურად და ისტორიულად და მის დადებით შედეგებს აქ ყოველ დღე ვხედავთ"-ო. მე ვფიქრობ, რომ გადამეტებულმა წარმოდგენამ საზღვარგარეთის ყურადღებაზე წარსულში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ცუდი როლი ითამაშა, ეხლაც აჯანყების დადებითი შედეგების ნამეტანი ოპტიმისტური შეფასება კეთილს არ გვიქადის"...

ეხლა მოვიყვანოთ კიდევ მეორე ადგილი იმავე წერილიდან, საიდანაც სჩანს, რომ ევროპის ბურჟუაზია სრულებით არ არის დაინტერესებული საქართველოს ბედ-იღბალით.

„რაში გამოიხატა ევროპაში აჯანყების დადებითი შედეგები? ოფიციალურ სფეროში მხოლოდ ერთში: როდესაც მოვიდა აჯანყების და მასზე მოყოლებულ საშინელ რეპრესიების ამბავი, ერთა ლიგამ, ჩვენი მეგობარი სოციალისტების მეცადინეობით, თანაგრძნობის რეზოლიუცია მიიღო. ამ რეზოლიუციას, რასაკვირველია, ჩვენთვის დიდი მორალური მნიშვნელობა ქონდა; მაგრამ მისი პოლიტიკური გავლენა არ უნდა გადავამეტოთ... მას იმდენად პლატონიური ხასიათი აქვს, რომ მასში საქართველოს დამოუკიდებლობა განზრახ ნახსენებიც კი არ არის. ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა კი აჯანყების შემდეგ—თუ შეიცვალა, ეს სამწუხაროდ უფრო უარყოფით ფაქტში გამოიხატა, ვიდრე დადებითში. სახეში მყავს ინგლისი"...

თქვენ ხედავთ, რას ამბობს მენშევიკების ერთი ბელადთაგანი, მათი წარმომადგენელი მეორე ინტერნაციონალში, ხოლო ამავე დროს ჟორდანია-რამიშვილი კი თავის აგენტებს საქართველოში აშკარად ატყუებენ, რომ ევროპის თანაგრძნობა მათს მხარეზეა და ყველაფერი მზათ არის იმისათვის, რომ ხელსაყრელ მომენტში ეს თანაგრძნობა რეალურ დახმარებათ იქცეს. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ თუ ვინმე სტყუის ამ ორ ლიდერთა შორის, სტყუიან ჟორდანია-რამიშვილი და არა კაკი წერეთელი. მაგრამ, მოქალაქენო, ტყუილი უკვე ბუნებათ იქცა ქართველ მენშიკებისათვის; ჩვენს ხელთ არის მთელი რიგი წერილებისა, რომელსაც აგზავნიან ეს პირები და აგრეთვე ის პასუხებიც, რომელსაც ისინი აქედან იღებენ და უნდა გითხრათ, რომ აქედან გადაგზავნილ მოხსენებაშიაც ასევე უტიფრათ ატყუებენ მათ; მე აღარ ვიცი, ამ ტყუილებში ვინ ვის სჯობნის? მაგალითად, თუ იქიდან რამიშვილი აიმედებს აქაურებს, რომ მას ყველაფერი დამზადებული აქვს, აქაური მისი ამხანაგებიც არ უტეხენ მათ იმედს და, აცნობებენ, რომ მთელი ქართველი ხალხი დარაზმულია და მხოლოდ მის განკარგულებას ელის, რომ თავი დასდოს მენშევიკური ხელისუფლების აღდგენისათვის".

ახლა არ იკითხავთ რისთვის არის საჭირო ეს ტყუილები?—მხოლოდ იმიტომ, რომ იმედდაკარგულ მენშევიკებს და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიებს სჭირდებათ თუნდაც ასეთი ტყუილებით როგორმე შეინარჩუნონ ისე მცირე-რიცხოვანი მიმდევრები მაინც, რომლებსაც სავსებით ჯერ კიდევ მათი იმედი არ დაკარგვიათ. საერთოდ კი, მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს და „მთავრობის" მთელი მუშაობა მიმართული მხოლოდ იმისაკენაა, რომ როგორმე იშოვონ ფული და ამისათვის არავითარ კომბინაციებს არ ერიდებიან. ორიოდე გროშის შოვნისათვის, მათ „ელჩის" მანდატი მისცეს ცნობილ ავანტიურისტს და ყალბი ფულების სპეციალისტს ვასო დუმბაძეს და ამერიკაში გაგზავნეს. მეტი სიმაგრისათვის თობჩიბაშევსა და ჩერმოევსაც კი ხელი მოაწერიეს ამ მანდატზე. ასე გახადეს ეს ჟულიკი „კავკასიის ელჩათ". ზოგიერთ თქვენგანს ეცოდინება ალბათ ამ „ელჩის" ვინაობა,—იგი ნამდვილი „კვაჭი კვანტალიანის" ტიპია; ერთ დროს ყალბ ფულებს სჭრიდა, შემდეგ ომის დროს გერმანიის ჯაშუში იყო და რუსეთის სამხედრო სამინისტროს „პოდრიადჩიკი", შემდეგ ყუმბარების მიმღები კომისიის წარმომადგენელი და გენ. სუხომლინოვის დაახლოებული პირი—ამ თანამდებობით ისარგებლა და ამერიკულ ფირმიდან „ჩაიბარა" ცუდი ყუმბარები. ეს ამერიკული ფირმა გერმანული აღმოჩნდა და დუმბაძეს ნიკოლოზის მთავრობამ სახრჩობელა მიუსაჯა, შემთხვევით თავი გადირჩინა, კერენსკის დროს ყალბი პასპორტით ციხიდან გაიპარა, შემდეგ კიდევ მრავალი კომბინაციები გააკეთა და ეხლა ამერიკელ ფირმას „უჩივის" საკომისიო პროცენტებს ყუმბარების მიღებისათვის.

რამდენად სერიოზულია „ამერიკული ძმის" საქმიანობა, ამას გვიმტკიცებს კ. წერეთელი. რომელიც იმავე წერილში სწერს: „ვშიშობ, რომ გადამეტებულ იმედებს ევროპაზე გადამეტებული იმედები ამერიკაზე არ დაემატოს".

საუბედუროდ დუმბაძის „ანეკდოტი" საქართველოში ზოგიერთებს მართალი ამბავი ჰგონიათ—ქართველ ხალხს კი ეს საკმაო ძვირად უჯდის!

აი, ამ ვასო დუმბაძემ რამოდენიმე ათასი დოლარი მართლაც გამოუგზავნა ნოე რამიშვილს. უნდა ითქვას, რომ რამიშვილი მთელ ემიგრაციაში ყველაზე უფრო „ჭკვიანი" გამოდგა და თუ კი ფული სადმე იყნოსა მას ვერავინ გამოაპარებს. მან კარგად იცის, რომ ვისაც ფული ხელში აქვს, გაჭირვებული ემიგრაციის ფაქტიური „ბელადიც" სწორედ ის არის. მას ჰყავს საკუთარი „ფინანსთა მინისტრი" კოწია კანდელაკი, რომლის საშუალებითაც ის აწარმოებს ამ დიდ „ფინანსიურ ოპერაციებს". ამრიგად ემიგრაცია და მასთან ერთად ნოე ჟორდანია მიჰყვება ნოე რამიშვილის კომბინაციებს. გაიგოს ყველამ, რომ დღეს აქტიურ პოლიტიკას ქმნის, ნოე რამიშვილი, რომელსაც ყველა საკითხებში და პრაქტიკულ საქმიანობაში მხარს უჭერს და ეთანხმება ნოე ჟორდანია. მე ვფიქრობ, რომ ასევე იყო საქართველოშიაც „დემოკრატიული" მთავრობის დროს და აქაც ნოე ჟორდანია დამოუკიდებელი ლიდერი კი არ ყოფილა, არამედ ნოე რამიშვილის განზრახვების ამყოლი.

აქ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ რამეს: ნოე რამიშვილი თავის ტაქტიკურ წერილებში, თავის დირექტივებში, რომლებსაც ის აძლევს ქარცივაძეს, სწერს:

„თუ ბოლშევიზმის დაცემა შინაგან კრიზისმა გამოიწვია, დაუყოვნებლივ უნდა დაეპატრონოთ სახელმწიფო ძალაუფლებას. ბოლშევიკები შევიპყროთ და აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა...

უნდა მივიღოთ ყოველნაირი ზომა, განსაკუთრებით თბილისში, რომ გადატრიალება და ბოლშევიზმის დაცემის დროს ძალაუფლებას დაეპატრონოს დემოკრატია და არა [illegible] მომხრენი"...

რამიშვილი სწერს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ბოლშევიკების ჩამოგდების შემდეგ.

მას რომ დიდი სურვილი აქვს ჩვენი ჩამოგდებისა, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ ეს თავისი სურვილები თავის ოცნებაში მან უკვე ფაქტათ აქცია და მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, თუ რა უნდა გააკეთონ აქ ჩვენი ჩამოგდების შემდეგ. მის წერილში პირდაპირ სასაცილო ადგილიც არის:

„როცა ბოლშევიკები დარწმუნდებიან, რომ მათი დაღუპვა აუცილებელი შეიქმნა, შეიძლება მოლაპარაკება დაიწყონ. თქვენი პასუხი უნდა იყოს შემდეგი: გაიყვანეთ თქვენი ლაშქარი და მიმართეთ ეროვნულ მთავრობას პარიზში".

ეს მეტად დამახასიათებელია. ისინი ხომ პოლიტიკური მოღვაწენი არიან, მოითხოვენ, რომ საქართველო მათ გაჰყვეს და აი ვისაც სურს მათი გაყოლა, დაუფიქრდეს, თუ რა გონებით დაავადებული ხალხი მოუწოდებს მათ.

აი, კიდევ მეორე ადგილი, სადაც რამიშვილი სწერს:

„ბოლშევიკური რეჟიმის დამხობისთანავე უნდა შეადგინოთ დროებითი მმართველობა ჩვენი პარტიისა, სოციალ-ფედერალისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლებთაგან"...

„დროებითმა მმართველობამ, რომლის თავმჯდომარე აუცილებლად ჩვენი პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს, უნდა განაცხადოს თავიდანვე, რომ ერის წარმომადგენელია—უცხოეთში გახიზნული, ნოე ჟორდანიას მთავრობა და რომ დროებითი მმართველობა მაშინვე გადადგება, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდება ეს მთავრობა ან მისი რომელიმე წევრი".

აქ მე მინდა გიამბოთ ორი ფაქტი, რომელსაც ადგილი ქონდა პარიზში. პირველი იყო 1924 წ. აჯანყების შემდეგ:—ჟორდანია ინახულა თქვენთვის ცნობილმა ნიკოლოზ დიმიტრის ძე სოკოლოვმა, ყოფილმა ბოლშევიკმა. მე არ ვიცი ნიკო ელიავამ იცის, თუ არა ამის შესახებ რაიმე, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვეცადეთ პარიზში გაგვეგებინებია ემიგრაციისათვის სოკოლოვის მოლაპარაკების შესახებ ნოე ჟორდანიასთან. მე არ ვიცი, რა ლაპარაკი ქონდა სოკოლოვს ჟორდანიასთან, მაგრამ ვიცი, რომ ამ მოლაპარაკების შემდეგ, სოკოლოვი მოვიდა პარიზის საბჭოთა საელჩოში ამხ. შლიაპნიკოვთან, რომელიც იმ დროს ამხ. კრასინის მოადგილე იყო და განაცხადა, რომ ჟორდანიამ მას შემდეგი უთხრა: „ჩვენ მოვილაპარაკეთ თქვენ წინადადებაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების შესახებ და აი, გადმოგცემთ ჩვენს აზრს:

1) ჩვენ თანახმა ვართ ვიცნოთ საბჭოთა სისტემა, როგორც პრინციპიალურად, ისე პრაქტიკულად.

2) საჭიროდ ვცნობთ და მზათ ვართ ეხლავე ხელშეკრულება დავსდოთ რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან იმის შესახებ, რომ ჩვენ მზათ ვართ დავაყენოთ რუსეთის წითელი ჯარი იმ რაოდენობით და იმ პუნქტებში, რამდენსაც და სადაც მოითხოვს საბჭოთა მთავრობა,

3) მოვითხოვთ, რომ არჩევნები საბჭოებში მოხდეს დემოკრატიული წესით,

4) მოვითხოვთ, რომ საბჭოთა საქართველო იყოს ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო,

5) მოვითხოვთ, რომ შეთანხმებისთანავე მთავრობის თავმჯდომარის ადგილი დაეთმოს მენშევიკურ პარტიის წარმომადგენელს.

ამ პირობების გამოცემის შემდეგ, თუ ბოლშევიკებს მართლა სურთ ჩვენთან შერიგება, დანარჩენი მოლაპარაკება შეგვიძლიან ვაწარმოვოთ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელთან"-ო.

ეს ამბავი ამხ. შლიაპნიკოვმა დეპეშით გვაცნობა პარიზიდან; რა თქმა უნდა ჟორდანიას „ნოტამ" გულიანათ გაგვაცინა და ჩვენ სათანადო პასუხი გავეცით: ნოე ჟორდანიას, ისევე, როგორც ყოველ მოქალაქეს შეუძლიან მოვიდეს ჩვენს საელჩოში და აღძრას ესა თუ ის შუამდგომლობა, და თუ დაბრუნება სურს—მიიღოს ამის ნებართვა. მოლაპარაკება კი მასთან, როგორც პარტიის, ან მით უმეტეს „მთავრობის თავმჯდომარესთან", ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია! საზოგადოთ, როგორც პარტიის წარმომადგენელს ჩვენ არავის არ დაუწყებთ ლაპარაკს, საქართველოში არის ერთი ხელისუფლება,—საბჭოთა ხელისუფლება, და ჩვენ არავისთან არაფერი არ გვაქვს გასაყოფი.

მეორე მაგალითი ასეთივე კურიოზული ხასიათისაა: 24 წლის აჯანყების დროს, საქართველოში გამოიცა პროკლამაცია „აჯანყებულთა დროებითი მთავრობის" სახელით; ეს პროკლამაცია, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ ტელეგრაფის საშუალებით გაიგეს პარიზში. იქ მყოფი ნაციონალ - დემოკრატები ამ გარემოებამ განსაკუთრებით გაახარა: როგორც იქნა მოიშორეთ ჟორდანია და რამიშვილი—ფიქრობდენ ალბათ ისინი და ეს ცნობა მაშინვე აფრინეს გაზეთებში. ლელი ჯაფარიძე აქ არის და მან ეს ამბავი ალბად კარგად უნდა იცოდეს, ნოე ჟორდანიამ საშინლად გაჯავრებულმა მაშინვე მოიწვია სპეციალისტ-იურისტების თათბირი, პროფ. ზურაბ ავალიშვილის და გ. გვაზავას სახით და შეეკითხა მათ, თუ რა მდგომარეობაში აყენებს ამ „დროებითი მთავრობის" შექმნა „დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ საქართველოს ერთად ერთ კანონიერ, ჟორდანიას მთავრობას". იურისტებმა დიდი თათბირის შემდეგ გამოიტანეს დასკვნა, რომ ორი მთავრობის არსებობა ერთ და იმავე მიზნებისათვის შეუძლებელია და ურჩიეს, რომ „თუ თქვენ სცნობთ კანონიერათ აჯანყებას, ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ გადადგეთ და აღიაროთ „დროებითი მთავრობა" სრული კანონიერება, ხოლო თქვენ კი მისი წარმომადგენლობა დროებით იკისრეთ ევროპაში". ეს დასკვნა ჟორდანიას, რასაკვირველია, არ მოსწონდა და მაინც განუცხადებია, რომ „ერთად ერთი კანონიერი მთავრობა მხოლოდ მისი მთავრობაა და მას ვერავინ ვერ გადააყენებს". ეს ამბავი მიამბო მე პარიზში თვით ამ თათბირზე მონაწილე პირმა. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ჟორდანიამ აჯობა აქაურ „დროებით მთავრობას", რომელმაც მხოლოდ 6 საათი გასძლო მეთაურობას; ჟორდანია კი უკვე მეათე წელია, რაც „მთავრობს" და მასზედ უფრო ხანგრძლივი „მთავრობა" დღეს არც ერთს ევროპის სახელმწიფოს არ ჰყავს!..

ამ ორ ფაქტში დამახასიათებელია მხოლოდ ის, რომ ჟორდანია და რამიშვილი წავლენ ყოველგვარ კომპრომისზე, **ოღონდ ნუ წაართმევთ მათ მინისტრობას**; აკი სწერს ეხლა რამიშვილი საქართველოში, რომ თუ ვინიცობაა ბოლშევიკები ჩამოაგდონ, არამც და არამც 24 წლის ამბები არ გაიმეორონ და მთავრობა არ შეადგინონ, არამედ მოაწყონ დროებითი მმართველობა, რომელმაც აუცილებლად მაშინვე უნდა გამოაცხადოს, რომ „კანონიერია" მხოლოდ პარიზში მყოფი ჟორდანიას „მთავრობა", რომელსაც ჩააბარებენ სავარძელს როგორც კი ის საქართველოში ჩამობრძანდება! რას ნიშნავს ეს? სისულელეს, თუ სასაცილო კომედიას, თქვენ თვითონ განსაჯეთ!

რით აიხსნება, თუ არ ადამიანის გაბოროტებული სიჩრჩეტით, რომ ნოე რამიშვილი უკვე მეშვიდე წელია საზღვარ-გარეთ ყოველ პარტიულ და უპარტიო კრებებზე ამტკიცებს, რომ ბოლშევიკების განადგურება სულ დიდი 3—4 თვის საქმეაო. ნუ თუ ამის მტკიცება ან მას არ მოსწყინდა, ან მის მსმენელებს? რით აიხსნება, თუ არა ადამიანის სულიერი გახრწნით ის ფაქტი, რომ ამდენი ხანია ეს ხალხი, ყოველ კრებაზედ თავიანთ თავს „აზნაურ კიკნაველიძეებს" არ იყოს, „მინისტრებს" უწოდებენ და თავიანთ „თანამდებობებს" გააფთრებით ჩასჭიდებიან.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ნოე რამიშვილს და ჟორდანიას საქართველოში მინისტრობა ვერასოდეს ვეღარ ეღირსებათ; თუნდაც აღსრულდეს ჩვენი მოსისხლე მტრების სურვილები და საბჭოთა ხელისუფლება კიდევ დაემხოს, მას ყოველ შემთხვევაში მოჰყვება უსაშინლესი რეაქცია არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიაც, ნიშნავს, თუ არა რუსეთში რეაქციის დაბრუნება, საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და ნაციონალურ დამონებას და ფიზიკურ განადგურებას. მე მგონია ამის მტკიცება თქვენს წინაშე სრულიად ზედმეტია.

პარიზში მყოფი ვაჟბატონი „მინისტრები" კი, იმდენად გატაცებულნი არიან ბურჟუაზიული ქვეყნების დახმარების იდეით, რომ მართლაც სჯერათ, რომ თუ იმათ გააუქმეს ჟორდანიას მთავრობა, ამით ქართველ ხალხს, რაღაც უბედურება მოელის; მაგრამ კაკი წერეთელი მაინც თავისას არ იშლის და მოითხოვს, რომ „მთავრობა" გაუქმდეს. ამ შემთხვევაში წერეთელი უფრო სინდისიერი გამოდგა, ვინემ დანარჩენი მისი ამხანაგები.

აქ სთქვეს ამნისტიისა და რეპრესიების შესახებ.

საზოგადოთ უნდა გითხრათ, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებას პოლიტიკურ ამნისტია არ სჩვევია; არა იმიტომ, რომ ჩვენ კაცი-ჭამია ხალხი ვართ და არ შეგვიძლია დამშვიდებული დავიძინოთ, თუ ჩეკის კამერები სავსე არ არის, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამნისტიით საქმე არ წყდება. აქ, მოფერებით, საკითხის მოგვარება შეუძლებელია!

მე უნდა მოგახსენოთ, თუ რატომ და რისთვის ვაწარმოებთ ჩვენ ასეთ პოლიტიკას აშკარაა და ამას არ ვმალავთ, რომ საქართველოში ანტი-საბჭოთა პარტიებს ჩვენ არ ვეფერებით!

ანტი-საბჭოთა ელემენტები და განსაკუთრებით მენშევიკები არ სტოვებენ თავიანთ მუშაობას. ისინი აბამენ ზოგიერთ სოფლელებს საშინელი პროვოკაციის ქსელში, ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს ჩვენს შესახებ. ეს ხალხი იმდენად გაბოროტებულია ჩვენს წინააღმდეგ, რომ ამ გაბოროტებაში თვით ჩვენს უდიდეს მიღწევებს სახალხო მეურნეობის და კულტურის მშენებლობის საქმეშიც კი, უარყოფს მოვლენების ნათლადვე.

და ბოლოს, რაც მთავარია დღევანდელ მომენტში, ანტი-საბჭოთა ელემენტები და განსაკუთრებით **მენშევიკები, ეწევიან სამხედრო შპიონაჟს ბურჟუაზიულ ქვეყნების შტაბების სასარგებლოთ!** ამ დღეებში დასრულებულმა ქართველი მენშევიკების პროცესმა ხარკოვში უკანასკნელი ფარდა ახადა ამ ხალხის გამყიდველ-მოღალატურ მუშაობას და, ნუ თუ თქვენ შესაძლებლად სცნობთ ასეთ პირობებში ჩვენ ზომები არ მივიღოთ, რომ ბოლო არ მოვუღოთ ამ ხალხის „მოღვაწეობას"?

ამნისტია შეიძლება ისეთი მოწინააღმდეგის მიმართ, რომელიც პირობას მოგვცემს, რომ ყოველ შემთხვევაში ამნისტიის შემდეგ მაინც იგი არ აწარმოებს აღმაშფოთებელ და პროვოკაციულ მუშაობას ჩვენს წინააღმდეგ! აქვე მე მოგახსენებთ ერთი გარემოების შესახებ: **მენშევიკების საზღვარ-გარეთელი ბიურო ნებას აძლევს ყოველ დაპატიმრებულ პარტიის წევრს, დასწეროს ყოველგვარი „მონანიებითი" ხასიათის წერილი, ოღონდ საპატიმროდან გამოძვრეს და თავისი პროვოკაციული მუშაობა განაგრძოს—ასეთი სადირექტივო დოკუმენტები ჩვენს ხელთ არის და ნურას უკაცრავათ, თუ ამ სატუსაღოში „მონანიებულ" ხალხს, ჩვენ აღარ ვენდოთ!**

სულ სხვა საქმეა, თუ ლაპარაკი იქნება ისეთი პირის ამნისტიის, რომელიც არალეგალურად მუშაობს დღეს, ან იმალება და, ასეთ პირობებში რწმუნდება თავის მუშაობის მავნებლობაში,—თუ ასეთი პირების შესახებ შუამდგომლობა აღძრულ იქნება, მე შემიძლია ვსთქვა, რომ ასეთ პირს, უკეთუ მან პირობა მოგვცა რომ ჩვენს წინააღმდეგ აღარ იმუშავებს,—ჩვენ ხელს აღარ ვახლებთ.

მე ვფიქრობ, მოქალაქენო, რომ სხვა პოლიტიკის წარმოება ჩვენს პირობებში შეუძლებელია; აი რატომ მე გელაპარაკეთ იმ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს მდგომარეობა ფრიად რთულია! ტრაბახი იქნება ვსთქვა, რომ ჩვენ არავითარი საშიშროება არ მოგველის. რა თქმა უნდა ის ძალა, რომელიც აღმართულია ჩვენს წინააღმდეგ, სერიოზული ძალაა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩება, ვინაიდან ჩვენ ვართ წარმომადგენელნი იმ პროგრესიული კლასის, რომელიც წინ მიდის და რომელსაც უეჭველია ეკუთვნის კაცობრიობის ხვალინდელი დღე. გარდა ამისა, ჩვენ ვართ ის ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც იცავს პოლიტიკურად აღზრდილი კლასიური ჯარი და არა მექანიკურ დისციპლინით შეკრული ბრბო. ჩვენ გვყავს ისეთი ძლიერი მოკავშირე, როგორიც არის მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული უსათუოდ ჩვენ გამოვალთ! მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საშიში ჩვენ აღარაფერი გვქონდეს, ან სუსტი მოწინააღმდეგე გვყავდეს, პირიქით, წინ მრავალი სიძნელე მოგველის და ამ რთულ მდგომარეობაში, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს თავს უფლება მივცეთ ლმობიერათ მოვეპყრათ ყველა იმ პირთ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს, მეტადრე იმათ, ვინც ფიქრობს, ჩვენი შეიარაღებული ძალების დაშლას. მე ვაცხადებ კატეგორიულად ასეთების საყურადღებოთ, რომ მათ ჩვენ სასტიკათ მოვეპყრობით!

ყველას საყურადღებოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება არავითარ ლმობიერებას არ გამოიჩენს მათ მიმართ, ვინც სცდილობს დაარღვიოს ჩვენი შეიარაღებული ძალა.

ხოლო ყველას, ვინც პატიოსნად მოდის ჩვენთან და გულწრფელად სურს მუშაობა საქართველოს ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში, ჩვენ მზათ ვართ ხელი გაუწოდოთ. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი გაუადვილოთ მოსვლის პირობები იმათ, ვინც ვერ ბედავს და ყოყმანშია: ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი გამოვიყვანოთ არალეგალურ მდგომარეობიდან ყველა ისინი, ვისაც გულწრფელად აღარ სურს იქ ყოფნა და, თუ არ გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიან. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ლმობიერება გამოვიჩინოთ იმ ხალხის მიმართ, ვინც განადგურებას გვპირდება—ყოვლად შეუძლებელია!

ასეთი ელემენტებისადმი ჩვენი მოთხოვნილება დიდი არ არის, ერთ რამეს მოვითხოვთ მხოლოდ: ხელს ნუ გვიშლით, გულში რაც გინდათ იყავით, მხოლოდ გულახდილად ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებით ნუ აქცევით!

არავინ არ თხოულობს თქვენგან გაბოლშევიკებას. ეს, თუ შეიძლება ითქვას, დღევანდელ პირობებში პროგრამის მაქსიმუმია. ვიმეორებ, ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ, რომ ხელს ნუ გვიშლიან.

---

*) 5 აგვისტოს, ხელოვნების სასახლეში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მაუდის ფაბრიკაში

ქუთაისი, 12 აგვისტო. ქუთაისის სახელმწიფო მაუდის ფაბრიკაში გაუმჯობესდა მაუდის გამომუშავება. გარდა ამისა, მაუდის თვითღირებულება შემცირებულია 17 პროც-დან 20 პროც-დე.

ფაბრიკა ყოველდღიურად ამზადებს 450 მეტრ მაუდს, ე. ი. მთელი 100 პროცენტით ასრულებს საწარმოო გეგმას.

ფაბრიკაში დარჩენილი 30000 მეტრი მაუდი, მასზე ფასის დაკლების გამო თითქმის მთლიანად გასაღებულია. (ადს)

სატელეფონო კავშირი

ქუთაისი, 12 აგვისტო. ბათომსა და ნატანებს შუა დასრულდა სატელეფონო ხაზის გაყვანა. ამ დღეებში გაიხსნება სატელეფონო კავშირი ქუთაისსა და ბათომს შორის, ამჟამად სწარმოებს ხაზის გაყვანა ქუთაის - ცხუნკურსა, ზემო-სიმონეთ—სვირისა და ქუთაის-მუხიანპატრიკეთს შორის.

გლეხობა ხელს უწყობს მუშაობას: ეზიდებიან სატელეფონო ბოძებს და იძლევიან მუშა ხელს უფასო სამუშაოსათვის. (ადს)

გურიის პროლეტარიატის პროტესტი

ოზურგეთი, 11 აგვისტო. მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელიც შესდგა აბრეშუმის სახვევ ქარხანაში, ქალაქის ყველა წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებმა გამოიტანეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს საკოს და ვანცეტის შესახებ გამოტანილ განაჩენის გაუქმებას (ადს)

ინგლისის პიონერები ბათომში

ბათომი, 11 აგვისტო. ათ აგვისტოს, ბათომში ჩასვლიდან მეორე დღეს, ინგლისის პიონერებმა დაათვალიერეს უპატრონო ბავშვთა კოლექტორი მახინჯაურში. კოლექტორის დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პიონერებზე.

„ჩვენში—ლონდონში—ყველა ბავშვები სუსტი არიან, აქ კი ყველა ჯანმრთელებია და თვითონ ამუშავებენ თავიანთ ბოსტანსა და ჩაის პლანტაციებს", აცხადებენ პიონერები. (ადს).

ახალი კულტურული ნაკვეთები

ოზურგეთი, 11 აგვისტო. ტყის მომწყობიგებელმა კომისიამ გამოჰყო 1.000 დესეტინა მიწა გურიის სატყეოს ჩილოქის, გურიანთის და გომის აგარაკებში ძვირფასი ჯიშის—ტუნგის, ყარაგაჩის და სხვ. ტყის გასაშენებლად. ახალი ხეებით გაშენდება სახაზინო ტყეების გაჩეხილი ადგილები. ძვირფასი ჯიშის ხეებ. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში დასარგავათ. გლეხებს მიეცემა უფასოთ. (ადს)

საქმეები ტყის გაჩეხვისა და გაფუჭების შესახებ

ახალციხე, 11 აგვისტო. თემაღმასკომები შეუდგნენ საქმეების გარჩევას ტყის ჩაჩეხვის და გაფუჭების შესახებ. ასეთი საქმეების განხილვა თემაღმასკომებს უხდებათ პირველად.

23 აგვისტოს მოწვეულია თემაღმასკომების თავმჯდომარეების სპეციალური თათბირი ამ საკითხის შესახებ. (ადს)

მღვდელი — მევახშე

ახალციხე, 11 აგვისტო. აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიის მიერ განხილულია მღვდელ აზნაუროვის საქმე, რომელსაც ბრალდება მევახშეობა. აზნაუროვი აძლევდა მოქალაქეებს სესხათ ფულს დიდი სარგებლის ქვეშ. წარდგენილი ბრალდება დამტკიცდა. აზნაუროვს მიუსაჯეს ორი თვის ციხე. (ადს)

საფოსტო კავშირი

ახალციხე, 11 აგვისტო. საფოსტო კავშირი მაზრაში მოწესრიგებულია. დაწესებულია წერილების დამტარებლობის მტკიცე მარშრუტი. რომლის მიხედვით წერილების დამტარებლებმა უნდა დაიარონ მაზრის ყველა სოფლები კვირაში ორჯერ.

კორესპონდენციების ჩაბარება მილიციის საშუალებით ამიერიდან არ იწარმოებს. (ადს)

გაფლანგვა

ოზურგეთი, 11 აგვისტო. დააპატიმრეს მოიჯარადრე მახარაძე, რომელიც აძლევდა საზოგადოება „აბრეშუმს" სააშენებლო მასალას, და ინსტრუქტორი ძოძიგური. ორივეს ბრალდება დიდი თანხის გაფლანგვა. გამოძიება სწარმოებს. (ადს)

წერილებიდან

საწირის თემი, ქუთაისის მაზრა

210 კაცმა შეისწავლა წერა-კითხვა

საწირის თემი დაშორებულია ქალ. ქუთაისს 25 ვერსის მანძილზე. აქ არის ქოხ - სამკითხველო, სამი 7 წლ. სასწავლებელი. 1 ოთხწლედი და სხ. მიმდინარე სამოსწავლო წელში აქ გახსნილი იყო 9 პირველ საფეხურის ლიკვ-სკოლა და ერთიც მცირე მცოდნეთა ჯგუფი. წერა - კითხვა შეისწავლა 210 კაცმა. თემ-აღმასკომი მიმდინარე წელში დიდ აღმშენებლობითი მუშაობს აწარმოებს. მალე დამთავრებული იქნება ხრესილის რაიმილიციის ბინა, შენდება ხრესილის უბნის სამმართველოს ბინა, საწირის 7 წლედის 8 ოთახიანი ქვის შენობა, მიმდინარეობს გზების და ხიდების შეკეთება და სხ.

ირემიანი.

საგარეჯო, გარე - კახეთი

ასეთი სასადილო უნდა დაიხუროს

ჩვენს სოფელში იყო წითელი სასადილო, რომელიც გადაეცა არტელს. სასადილოში ისეთი უსუფთაობაა, რომ კაცს არ შეესვლება ამ სიცხიან დღეში გარეთ ჩამოკიდებენ ხორცს. დაეხვევა ბუზი და ისეთი სუნი ასდის, რომ საჭმელი კი არა ახლოც ვერ გაივლი. სჯობია დაიხუროს ასეთი სასადილო.

ელდა.

ს. მარანა, სენაკის მაზრა

აფთიაქში უწესრიგობაა

მარნის თემის აფთიაქში სწავლობს ორი მოწაფე. ესენი მუშაობენ თავიანთ ნებაზე, არ ყავთ მათ მეთვალყურე, ვინ იცის როგორ და რა რიგად ამზადებენ წამლებს. ერთ დღეს წამალს ამზადებდა მოწაფე ასათიანის ქალი, რომელმაც წამალში შაქრის სიროპის მაგიერ გაურია გარჩიის სპირტი, რომლითაც ადამიანი ჩქარა იწამლება. აფთიაქში დადგა გლახა სუნი. ამ დროს შემოვიდა ექიმი, რომელმაც ეს წამალი გადაღვარა და აფთიაქის გამგეს არევაზოვს უთხრა ყურადღება მიექციოს მოწაფეებს. მიუხედავად ექიმის გაფრთხილებისა, არევაზოვი მაინც არ აქცევს ყურადღებას მოწაფეებს.

ჯანმრთელობის განყოფილებამ ამას ბოლო უნდა მოუღოს.

ბაღლინჯო.

ბაღდათის თემი, ქუთ. მაზრა

გეგმიანი მუშაობა

ბაღდათის თემ-საბჭოში 103 წევრია. მრავალი რამ გაკეთდა ამ თემში საბჭოს ახალი შემადგენლობის დროს. 3 აგვისტოს გახსნილ იქნა როკითის ხიდზე მიმოსვლა. ხიდი დაჯდა 1.100 მანეთი. ნაწილი ამ თანხის გაღებულ იქნა თვითდაბეგვრის სახით, ნაწილი კი მთავრობამ დაეხმარა. ხიდს აქვს 27 საჟენი სიგრძე დაკიდებული კატატებით, რომელზედაც შეიძლება 800 ფუთი ტვირთის გადატანა. ამავე თემში მიმდინარეობს დიმი - როკითის სარწყავ არხის გაყვანა 20 ვერსის სიგრძით, რომელზედაც კეთდება ელექტრონის სადგური 60 ცხენის ძალით. არხი დამთავრებულ იქნება. ოქტომბრის 10 წლის თავზედ.

დაწყებულია სახალხო სახლის შენობის აგება. ჯდება 11.000 მან. დაწყებულია დიდველის ბონდის ხიდი. თემებში კეთდება გზები.

სენაკის მაზრა

გაუმჯობესოთ ტელეფონის მუშაობა

ჩვენი მაზრა ტელეფონის ქსელით მოფენილია. ყველა თემ-აღმასკომებს და სხვა დაწესებულებებს აქვთ კავშირი ტელეფონით სამაზრო ორგანოებთან, მაგრამ რათ გინდათ, რკინის ნერვები უნდა გქონდეთ, რომ ტელეფონით ვინმეს ელაპარაკოთ. ხან ხაზია გაფუჭებული, ხან არაფერი არ ისმის, ხან შემაერთებელ სადგურებს საათობით უნდა ეხვეწო და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტელეფონის სნეულების განკურნება შესაძლებელია, თუ ამ დარგის მომუშავენი მეტ მუყაითობას გამოიჩენენ.

ზეთლემელი.

სიღნაღის მაზრა, სოფ. კაკაბეთი

კულაკებს ჩამოერთვათ, ღარიბებს მიეცა

დაიწყო მიწის კანონის გატარება. კულაკი გლეხობა ამას ეწინააღმდეგება, ღარიბმა და საშუალო გლეხობამ მაინც თავისი გაიტანა. მუშაობს სამი მიწის მზომელი უსახლ-კარო გლეხებს კომისიამ გადასცა კულაკებისაგან ჩამორთმეული ადგილები. ახლად დასახლდა წყაროთხევის უბანში 40 გლეხი. აშენებენ სახლებს. საქმე ის არის, რომ სახლები კეთდება სრულიად უგეგმოდ, არ არის დაგეგმილი ქუჩები, არც წყალთან არის მოსახლეობა მიახლოვებული.

გ. თამაზაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **საბავშო ბაგა**. ყარაიაზში ახლო ხანში მოეწყობა საბავშო ბაგა.

— **ელსადგური**. კულაში დამთავრდა ელსადგურის აგება.

— **სახანძრო პუნქტი**. ლანჩხუთში გაიხსნა სახანძრო პუნქტი.

— **სასაკლაო**. დაბა ტყიბულში დამთავრდა სასაკლაოს მოწყობა.

— **შვიდწლედი**. სოფელ საწირეში (ცხინვალის მაზრა) გლეხები შეუდგნენ შენობის აგებას შვიდწლედისათვის.

— **ხიდები**. ხრესილის თემში მიმდინარე წელს დასრულდება 3 ახალი ხიდის აგება.

— **მდინარის ნაპირების გამაგრება**. სოფ. ახალდაბის გლეხებმა გადასწყვიტეს შავა სოფელში არსებულ მდინარეს გაუმაგრონ ნაპირები.

წერილები

საჭიროა გეგმიანი მუშაობა

სოფელში დღეს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს. ეკონომიურ მოღონიერებასთან ერთად აღმშენებლობის საქმეც წინ მიდის. კეთდება ახალი სკოლის შენობები, სახალხო სახლები, კლუბები, საექიმო პუნქტები და სხვა. ყოველი სოფელი ცდილობს არ ჩამორჩეს ამ მხრით დანარჩენ სოფლებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ თემში ეს საქმე ვერ არის მოწესრიგებული. ზოგან თემაღმასკომი ცდილობს თავი გამოიჩინოს და ისეთ დიდ საქმეს კიდებს ხელს, რომელსაც ვერ შოერევა. შეაგროვებს რამოდენიმე თანხას, დაიწყებს უზარ-მაზარ შენობას, ჩაუყრის საფუძველს და უსახსრობის გამო შემდეგ საქმეს მიატოვებს.

სად უნდა იშოვოს აღმასკომმა შენობის დასამთავრებელი თანხა. მთავრობას შეძლება არ აქვს, რომ ყოველ თემებს და სოფლებს მისცეს ფული შენობის ასაშენებლად. სხვა გზა არ არის. აღმასკომი იძულებულია სოფელს გააწეროს ფული. ხანდახან ცალკე მოსახლეს იმდენი ხვდება გადასახადათ, რაც მას უძნელდება. ეს ბადებს უკმაყოფილებას სოფელში. გლეხი დიდი ყურადღებით ეპყრობა აღმშენებლობას, თავის წვლილს დიდი სიამოვნებით იღებს ისეთი შენობების ასაგებათ, რომელსაც ის შესძლებს. გლეხი თვითონ აყენებს საკითხს სკოლების მოწყობის და სხ. წამოწყებების სასარგებლოდ. მაგრამ ისეთი შენობების დაწყება, რომელიც დიდ გადასახადებს მოითხოვს, არ არის მიზანშეწონილი, ეს გულს უტეხს გლეხს აღმშენებლობაზე. სამაზრო აღმასკომმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. ნამეტანი ერთგული თემაღმასკომები და მათი თავმჯდომარეები ცოტა დასწიონ უკან, რომ მიწაზე დაიხედონ და სოფლის მდგომარეობას ანგარიში გაუწიონ.

კ—ია.

წითელ - ქალაქი, გორის მაზრა

წითელ - არმიელები გლეხებთან

ამას წინეთ წითელ-ქალაქში გვეწვია ქ. გორიდან მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ათასეულის ნაწილი. მწყობრათ და სიმღერით სოფელში მოსულ წ-არმიელებს მიეგება გლეხობა. სოფლის შუა მოედანზე თავი მოიყარა უამრავ გლეხობამ ახლო - მახლო სოფლებიდან და უბნებიდან იწყებ დენა ქალმა და კაცმა. სულ ერთი საათის განმავლობაში მოედანი აივსო დამსწრე საზოგადოებით.

ამხ. წ-არმიელებმა მოაწყვეს შუა მოედანზე სხვადასხვა სამხედრო ვარჯიშობა. ნაწილი ორად გაიყო და გამართა საჩვენებელი ბრძოლა, შეტაკებაზე გადასვლა, აამუშავეს ტყვიის მფრქვეველებიც. ხალხი დიდი ინტერესით უცქეროდა მათ მოქმედებას. ნაჩვენები იყო აგრეთვე ცხენზე ვარჯიში, სირბილი, ახტომ - ჩახტომა.

ბოლოს გაიხსნა საჯარო მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს ამხანაგებმა, საერთაშორისო მდგომარეობაზე და თავდაცვის შესახებ. დასასრულს საღამოთი გაიმართა უფასო წარმოდგენა ადგილობრივ სახალხო სახლში: დარბაზი გაიტენა საზოგადოებით. ასეთი რამ ჯერ არ ახსოვს წითელ ქალაქს.

ვაშა ჩვენს ძლევამოსილ წითელ-არმიას.

ჭინჭრაქი.

ლეჩხუმი

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღწერა

1927—28 წლის ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადისათვის მზადება დაიწყო გაზაფხულიდან. მიღებულ იქნა ზომები, რომ სწორად ყოფილიყო გამორკვეული დასაბეგრ ობიექტების რაოდენობა, რომ მომავალი გადასახადის სიმძიმე თავს დასწოლოდა შეძლებულ მოსახლეობას, ამიტომ შერჩეულ იქნა აღმრიცხველთა კადრი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სოფლობრივ აღრიცხვის ჩატარება. მიუხედავად ამისა, რომ მინდვრის მუშაობა ძალიან გაცხოველებული იყო, გლეხობა მაინც აღრიცხვაზე თავის დროზე ცხადდებოდა. აღრიცხვაზე გამოცხადდა 80 პროც. გლეხობისა, რადგან ყველას აინტერესებდა საგადასახადო საქმე.

დასაბეგრი ობიექტები წარსულთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, მაგალითად: სახნავ მიწების სივრცე გაიზარდა 24 პროც.-ით, ვენახის სივრცე 30 პროც. და სხვ. ცხადია, ეს შედეგია ღარიბ და საშუალო გლეხების აქტიური მონაწილეობის სააღრიცხვო მუშაობაში.

ვ. ფრუიძე.

ლეჩხუმის მაზრაღმასკომის საყურადღებოდ

ლეჩხუმის მაზრა საზოგადოთ მიუვალი ქვეყანაა. განსაკუთრებით მიუვალია და კულტურულ ცენტრებს დაშორებული გეჯი მდინარეებით ერთის მხრივ და უზარმაზარი მთებით მეორეს მხრივ ზუბის თემი, რომელიც ხანდახან მთელი წლით მოწყვეტილია ცენტრს. ამიტომ საჭიროა აქ ისეთი დაწესებულებათა გახსნა, როგორიცაა: საექიმო პუნქტი, აფთიაქი, შვიდწლედი და სხვა. წინად სამაზრაღმასკომი შეპირებული იყო, გლეხობამ კი ამ დაპირების იმედით, საკუთარი შრომითა და თვითდაბეგვრის საშუალებით სათანადო შენობები ყველა ააგო და მოამზადა. ჯერ-ჯერობით ყველა ესენი ცარიელია.

აღმასკომის ვალია ხელი შეუწყოს და ყოველმხრივ დაეხმაროს მშრომელთა თვითმოქმედებას.

ადგილობრივი.

სამტრედია

ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ?

(დასავლეთ საქართველოს პროკურორის საყურადღებოთ) (სამტრედიიდან)

ამ ორი თვის უკან ბოროტგამზრახველებმა მორგებული გასაღებით გახსნეს სამტრედიის „ეპო"-ს № 2 მაღაზია, საიდანაც გაიტაცეს 2.000 მანეთის სხვა და სხვა საქონელი. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც მაღაზია უნდა აწერილიყო. გამგეობამ მიიღო ზომები ბოროტ-გამზრახველების აღმოსაჩენად, კიდეც დააპატიმრეს მაღაზიის ნოქარი, მაგრამ ორი დღის შემდეგ გაუშვეს. საინტერესოა ამ საქმის გამორკვევა რადა იმ დროს მოხდა ბოროტმოქმედება, როცა უნდა აწერილიყო, — მეორე ნუ თუ ასე უნდა დაიკარგოს ხალხის ქონება და არ იქნას ზომები მიღებული საქონელის მოსანახავად. დასავლეთ-საქართველოს პროკურატურას მართებს ყურადღება მიაქციოს ამას.

ერთი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი კედლის გაზეთი

გამოვიდა სად. თბილისის მოძრაობის დარგის კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი"-ს მე-21 ნომერი. ხსენებულ გაზეთის შინაარსი წინანდელთან შედარებით ბევრად გაუმჯობესდა. გაზეთი უმთავრესად აშუქებს წარმოების და მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებს, როგორიც არის: ლოთობა, 2 პროც. კავშირის საწევრო ფულის დროზე გადაუხდელობა, ზოგიერთების საქმისადმი გულგრილობა, დაუდევრობა და სხ.

მუშკორები აშუქებენ რაციონალიზაციის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. წარმატებით ჩატარდა თავდაცვა-ავიაქიმის კამპანიაც. მოისუსტებს პარტიული ცხოვრების განყოფილება.

ადმინისტრაცია სათანადო ყურადღებას აქცევს კედლის გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს და ყოველგვარ ნაკლულოვანებებს ასწორებს.

აღსანიშნავია ერთი ნაკლი, სახელდობრ ის, რომ არ არის ჩამოყალიბებული მუშკორთა წრე, რომლის შექმნაც აუცილებელი საჭიროა. გაზეთს 1.000-მდე მკითხველი ჰყავს. ყოველდღე 100-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე კითხულობს მას.

წინად გაზეთში თანამშრომლობდა 13 15 კაცი, ამ ჟამად მის ირგვლივ შემოკრებილია 40 კაცი.

ი. ჯ—ლი.

სპეც-ტანსაცმელით უკმაყოფილო არიან

ლითონ-ტრესტის მუშებმა და ხელოსნებმა მიიღეს სპეცტანსაცმელი, მზად შეკერილი შარვალი და ხალათი. ზოგიერთებს მართალაც შარვალი და ხალათი გამოადგათ, მაგრამ ზოგიერთებს არ მოუვიდათ ტანზე სიპატარავის გამო, ზოგს კი ისე დიდი მოუვიდა, რომ გადაკეთება დასჭირდათ, რამაც ორმაგი ხარჯი გამოიწვია. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ კეთილ ინებებით ტრესტის მმართველობას და ან ნაჭრად მიეცათ თვითეულ მუშისათვის, რომ თითონ როგორც უნდოდათ, ისე შეეკერათ, ან და მოეწვიათ შემკერავები ქარხნებში, ისინი ზომას აიღებდნენ მუშის ტანზე და შეკერავდნენ, რის შემდეგ უკმაყოფილებას აღარ ექნებოდა ადგილი. ეხლა კი ტანისამოსიც მიიღეს და უკმაყოფილონიც დარჩნენ.

ტანსაცმელები ფერითაც არ არის შესაფერი —ზეინკლებისათვის ლურჯი ფერისაა, ჩამომსხმელთათვის კი მუქი ყვითელი. მართლაც მოუფერებელი ფერია. ზოგიერთი ამხანაგები ამბობენ—ამას ძმაო, ვერ ჩავიცვამ, აბა, ამ ფერის ტანისამოსი როგორ ვატარო, ამას გავყიდი და ან ლურჯს ვიყიდი და ან შავსო.

კარგი იქნება, რომ მუშების გემოვნებასაც ანგარიში გაუწიოს ადმინისტრაციამ, რითაც არაფერს დაკარგავს.

ზაქრო ნავთლუღელი.

რატომ დაითხოვეს

(წერილი ფოთიდან)

ქ. ფოთში საზ. „საქართველოს მარგანეც"-ზე მომუშავე სატრანსპორტო კავშირის მუშები იყოფიან კატეგორიებად თავიანთი სპეციალობის მიხედვით. თვით მწარმოებელმა გამოჰყო მუშა-სპეცების ასეთი ჯგუფი. რომელნიც უმეტესად მუშებს შეადგენდნენ და აქვთ საკმაო ცოდნა-გამოცდილება ამ დარგში, რომ უბედურ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონოდა, ახალგაზრდა მუშების მიერ, ეს მუშა-სპეცები დანიშნულ იქნა გემზე მომუშავეთ ე. წ. „ლიბიოტჩიკებად", რომლებსაც რიგითის მუშებზე ხელფასიც ცოტაოდ მეტი ეძლეოდათ.

ამ ერთი თვის უკან ადგ. სატრანსპორტო კავშირის ბიურომ ამ სპეც. მუშათა კადრიდან დაითხოვა 11 კაცი. საკითხავია—რატომ დაითხოვეს ეს ძველი მუშები. არავითარი მიზეზი არ წამოუყენებია გამგეობას ამის შესახებ, რომელიც სდუმს და ყურადღებას არ აქცევს დათხოვნილ ამხანაგებს. ამ საქმეში ჩაერია ადგ. პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. კოკოსაძე, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. მუშებმა საქმის გადაცემა მოითხოვეს ადგ. სახალხო სასამართლოზე, რაზედაც უარით უპასუხეს. პროფკავშირის თავმჯდომარემ ამხ. კოკოსაძემ უმიზეზოდ სცნო მუშების დათხოვნა და მუშებს პირდაპირ უთხრა: „თქვენ მართალი ხართ"-ო. მაგრამ ჯერჯერობით ამ მუშების ალაგას სხვა მუშაობს. ეს უფლება ჰქონდა გამგეობას მუშების უმიზეზოდ დათხოვნის, სადაც მეორე დღესვე სხვები მიიღეს.

საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და უმიზეზოდ დათხოვნილი მუშები დაუბრუნდეს თავიანთ სამუშაოს.

საქმის მცოდნე.

საყურადღებო წვრილმანი

ყურადღება მიაქციეთ

მეცხრე უბნის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში არის მხოლოდ ერთი წყლის ონკანი. მცხოვრებლებს შინაური ცხოველები წყალის სასმელად წყალსადენზე მიყავთ. გამვლელი მეურმეებიც აქ ისვენებენ. დილა-საღამობით მენახირეც წყალსადენთან აგროვებს ნახირს. ამის გამო სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია. მცხოვრებთა მიერ მარტის თვეში გაგზავნილი განცხადება მეცხრე უბნის კომისარიატში, სანიტარულ ექიმის გამოგზავნის შესახებ, უპასუხოდ არის დატოვებული.

ვინ შეიწუხებს თავს ამ უბნისათვის.

სევერიან კობიძე.

კბილის ექიმი არ გვყავს

(ქ. ჭიათურა)

ჭიათურის საავადმყოფოს მუშაობა კარგად არის დაყენებული. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი მაინც არის.

არის მხოლოდ ერთი კბილის ექიმი ქალი, რომელიც ყველა მუშების მოთხოვნილებას ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს.

ამის გამო ხშირია მუშა-მოსამსახურეებში საყვედური. ეს საკითხიც უნდა მოაგვაროს საავადმყოფოს გამგემ.

უფილენი.

გაგვიდიდით შვებულება

მთავარ სახელოსნოებში 50 პროცენტზე მეტს ეძლევათ ერთი თვის შვებულება ზოგიერთ ცეხში, შავი მუშებიც სარგებლობენ ერთი თვის შვებულებით. სამჭედლო ცეხის შავი მუშები კი, რომლებიც მუშაობენ მეურმებად და სამუშაოც მძიმე, ღებულობენ მხოლოდ ორი კვირის შვებულებას, საუბნო კომიტეტმა და შრომის ინსპექტორმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ, და სამჭედლო ცეხის მუშებსაც გაუდიდონ შვებულება ერთი თვით.

იქაური.

პატრონი არ ჩანს

მთავარ სახელოსნოების სამჭედლო საამქროებს აქვს დიდძალი ფოლადი და რკინა. რომელიც გარედ ყრია. აღნიშნული მასალა წვიმაში ჟანგდება და ფუჭდება. პატრონი კი არ ჩანს. სამმართველომ და საუბნო კომიტეტმა ამას უნდა მიაქციონ ყურადღება.

იქაური.

„სოვეტსკებით" უკმაყოფილო სახლის პატრონი

პირველ ვერცხლის ჩიხში № 29 სახლი ეკუთვნის ძმათა ქურდაშვილებს. ქურდაშვილებმა მათ სახლში მცხოვრებ საბჭოთა მოსამსახურე ივანე სულთანიშვილს რამდენიმე ხნის წინად დაუნგრიეს სამზარეულო. ამ ბოლო დროს ბალკონის სახურავიდან კრამიტები აყარეს და ისედაც დაძველებულს და დამპალ ბალკონს წვიმა-ავდარში სრული დალპობა და დაქცევა მოელის.

ასე ავიწროებენ სახლის პატრონები საბჭოთა მოსამსახურეებს.

მუშა ნიკო ას—ძი

მუშათა ქრონიკა

— **იურიდიული დახმარება**. საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიულ ბიურომ მიმდინარე წლის ივლისის თვის განმავლობაში იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 1.525 კავშირის წევრს.

— **ტყიბულის მაღაროებში**. ტყიბულის მაღაროებში კულტმუშაობის გაძლიერების მიზნით სამთამადნო კავშირის ც. გ. სამთოტრესტიდან გამოითხოვა ერთდროული ფულადი დახმარება.

— **კავშირიდან გამორიცხვა**. ყოფილი ა. კ. საგეგმო კომიტეტის ადგილკომის ტეხნიკური მდივანი მოქ. მესხი, როგორც სახაზინო ფულის გამფლანგველი საბჭოთა მუშაკების კავშ. ც. გ. მიერ გამორიცხულ იქნა კავშირის წევრთა რიგებიდან.

— **სამტრედიის უბკავშირში**. სამტრედიის რკ. გზის საუბნო კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა საგზაო კომიტეტის წინაშე, რათა სამტრედიის ამაღლებული ტიპის სკოლა დამტკიცებულ იქნას მუშფაკად.

— **500 მანეთი**. ქ. ჭიათურაში ფიზკულტურისათვის სავარჯიშო „პლაც"-ის და „ტირის"-ს მოსაწყობად სამთამადნო კავშირის ც. გ. გაიღო 500 მან.

— **შუამდგომლობა**. სამთამადნო კავშირის ც. გ. აღძრა შუამდგომლობა ს. პ. კ. ს. წინაშე, რათა საჩიხის (ქუთაისი) და მოწამეთის მიდამოებში თეთრი ქვის დამმზადებელი მუშები მიაკუთვნონ სამთამადნო კავშირს.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად**. თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები"-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად საფოსტო და სავაჭრო მუშაკების კავშირის სენაკის სამაზრო განყოფილებამ გადმოუგზავნა საქართველოს პროფსაბჭოს 200 მან.

— **გორი**. გორის შრომის ინსპექტორის თანამდებობაზე შრომის სახ. კომისარიატის მიერ წამოყენებული იქნა ამხ. ძიძაბაძე.

— **მუშათა კონფერენცია**. სამთამადნო კავშ. ც. გ. განზრახვა აქვს მოიწვიოს ტყიბულში სამთამადნო მუშაკთა კონფერენცია ა. წლის 20 აგვისტოსათვის.

— **ჭიათურა**. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშ. შორაპნის სამაზრო ადგილკომი ქ. ჭიათურიდან გადატანილია ქ. ზესტაფონში.

— **საკონტროლო კომისიების დაარსება**. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო საქართველოს ხუთ მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან საკონტროლო კომისიების დაარსება.

დაევალა ს. პ. კ. ს. სატარიფო საეკონომიო განყოფილებას შეადგინოს წარმოება-დაწესებულებათა სია, სადაც დაარსებულ უნდა იქნას საკონტროლო კომისია.

თბილისის საბჭოს მუშაობა

ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველთათვის

11 აგვისტოდან თბილისის სხვადასხვა წარმოება - დაწესებულებებში და ფაბრიკა - ქარხნებში დაიწყო თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებების კამპანია. წარმოება - დაწესებულებებში იმართება ამომრჩევლების საერთო კრებები, სადაც ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოდიან საბჭოში გაგზავნილი დელეგატები.

საანგარიშო მოხსენებები უკვე ჩატარდა ს. მ. უ. ს. საპონ - ზეთის ქარხანაში, ტრამვაის მუშებში, ამხ. სტალინის სახელობის სახელოსნოებში, საქონლის სადგურის მუშებში, რესპ. მთ. საავადმყოფოს მუშა - მოსამსახურეებში, საქ. სახელ. საპაიო ვაჭრობის მუშა - მოსამსახურეებში და სხვაგან.

ახალი დირექტივები

გუშინ, საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს საჩარხო, თვლების და საინსტრუმენტო ცეხების მუშების მრავალრიცხოვან საერთო კრებაზე საანგარიშო მოხსენებებით გამოვიდენ თბილისის აღმასკომის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ, ამავე ცეხების მიერ თბილისის აღმასკომის წევრებათ არჩეული **ტორიკაშვილი** და **მრაჩევი**.

საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა კრებამ მოიწონა და საბჭოში გაგზავნილ დელეგატებს მისცა შემდეგი ახალი დავალებანი:

საჭიროა დიდუბის და ჩერქეზიშვილის ქუჩების უფრო ხშირი მორწყვა და ამ ქუჩების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება; საჭიროა, რომ ქალაქის განაპირა უბნებში აეკრძალოს კერძო ვაჭრებს შეისყიდონ სოფლიდან მომავალ გლეხებისგან სასოფლო ნაწარმოება; საჭიროა ჩერქეზიშვილის და კლარა ცეტკინის ქუჩების შეკეთება, ვინაიდან წვიმების დროს შეუძლებელი ხდება ამ ქუჩებზე მოძრაობა.

სკოლებში საჭიროა საექიმო ზედამხედველობის გაძლიერება, სასკოლო ინვენტარის მომატება, უფრო მეტი განათება და ზოგიერთ ნესტიან შენობების გამოცვლა.

კრება ავალებს აღმასკომს ახლო მომავალში ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე ააგოს „ცხრათა" ძეგლი.

რა დაავალეს თავიანთ დელეგატებს

საქ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო საზ-ბის ცენტრალურ სამმართველოს ბინაზე თავი მოიყარეს საზოგადოების მუშა - მოსამსახურეებმა. კრებას მოუხედავათ შვებულებებისა, დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 60 პროცენტამდე.

საანგარიშო მოხსენებით გამოდის ამხ. ვ. არეშიძე. იგი აღნიშნავს, რომ გასული პერიოდის განმავლობაში აღმასკომის მიერ შეკეთებულ იქნა მრავალი ქუჩები, როგორც ქალაქის ცენტრში, ისე განაპირა უბნებში, საგრძნობლათ გაუმჯობესდა ტრამვაის მეურნეობა, მიღებულ იქნა ზომები ქალაქის უზრუნველსაყოფად პურით და სხვ. პროდუქტებით და სხვ.

ამომრჩევლების მიერ ხელახლა მიცემულ დირექტივებს შორის აღსანიშნავია:

— დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები, რომ სახლის პატრონებმა დაიწყონ დაზიანებული სახლების შეკეთება, ხოლო ვინც ამას არ ასრულებს, მათ ჩამოერთმევათ სახლები; მიღებულ იქნეს ზომები ბინების გამქირავებელ სპეკულიანტების წინააღმდეგ; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განაპირა უბნების კეთილმოწყობას და სხვ.

კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში მოწონებულია თბ. საბჭოს და აღმასკომის მუშაობა და გამოთქმულია რწმენა, რომ სათანადო ყურადღება მიექცევა მომავალში კრების მიერ შემჩნეულ დეფექტების გამოსწორებას.

საპონ - ზეთის ქარხანაში

ქარხნის მუშებს თავი მოუყრიათ ქარხანასთან არსებულ დიდ დარბაზში და მოელიან დელეგატს.

— დღეს ჩვენმა დელეგატმა ანგარიში უნდა ჩაგვაბაროს!

— რა გაგიკეთებიათ, ან რას აკეთებთ?

აი კითხვები, რომლითაც შეხვდენ მუშები ქარხნიდან საბჭოში გაგზავნილ ამხ. **გრიგორიანს**, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა ყველა ის მიღწევები, რომელიც ახასიათებს ქალაქის საბჭოს მუშაობას გასული სამი თვის განმავლობაში. ორატორმა აღნიშნა, რომ დაწყებულია რამდენიმე ახალი მუშათა სახლების აგება, აშენებენ მუშათა უბნებში აბანოებს, მომავალ წელში საბინაო აღმშენებლობისათვის გადადებულია 2.700.000 მან. და სხვ.

მოხსენების შემდეგ დელეგატს მუშებმა მისცეს ახალი დირექტივები და მოუწონეს ჩატარებული მუშაობა.

რკინისგზელების კრება

გუშინ ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. თბილისის აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აღმასკომის წევრი ამხ. **ზოსიმე კალანდია**, რომელმაც ფართოთ დაახასიათა აღმასკომის მუშაობა ყოველ დარგში.

მოხსენების დასრულების შემდეგ დაიწყო შეკითხვები. მომხსენებელს ეკითხებოდნენ:

— როდის აშენდება კრემატორიუმი.

— რატომ მარტო თავისუფლების მოედნიდან დაუკლეს ტრამვაის ბილეთების ფასი და კარლ-მარქსის მოედნიდან კი ისევ ძველი ფასია დატოვებული.

— რატომ არ უმატებენ სასწრაფო დახმარების ეტლებს.

— როდის აშენდება ზოოლოგიური ბაღი.

— როდის გაიყვანენ თბილის-კოჯორის ტრამვაის გზას.

— რა გააკეთა აღმასკომმა თავდაცვის საქმეში.

— ეხმარება თუ არა ქალაქი მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც თავისი ხარჯით აშენებენ სახლებს და სხვა.

მიღებულ რეზოლუციაში აღმასკომის მუშაობას კრება სცნობს ნაყოფიერათ და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში აღმასკომის ნაყოფიერება გაასკეცდება და ახლო მომავალში თბილისი იქნება საბჭოთა კავშირის ერთი სამაგალითო მუშათა ქალაქთაგანი.

აღნიშნეს მიღწევები

საფეიქრო სინდიკატის, „ტექსტილტორგის", ა.-კ. საბამბო კომიტეტის, „არმენტორგის" და თამბაქოს ტრესტის კანტორების მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებულ კრებაზე მოხსენებით გამოდის თბ. საბჭოს წევრი ამხ. **მატევოსოვი**.

— ბიუროკრატიზმთან ბრძოლა უნდა გაძლიერდეს ზოგიერთ ქუჩებზე ჯერ კიდევ არაა გაყვანილი ზაჰესის სინათლე, ყურადღება უნდა მიექცეს განაპირა ქუჩებში წყალსადენების გაყვანას, — ასეთი დავალებები მისცა საერთო კრებამ საბჭოში დელეგატათ გაგზავნილ ამხანაგს.

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „კრება აღნიშნავს, რომ თბილისის აღმასკომმა წელს გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე გასული წლების პირველ კვარტალებში. რაც უნდა ჩაითვალოს საბჭოში გაგზავნილ დელეგატების დამსახურებათ".

1926—27 წ. პურეულის ბალანსი

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სხდომამ დაამტკიცა სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 1926-27 წლის პურეულის ბალანსი. პურეულის ბალანსის გამოანგარიშება სისტემატიურად სწარმოებს 1924-25 წლიდან, რასაც ყოველ წლიურად ამტკიცებს ეკონომიურ საბჭო. პურეულობათა რიცხვში შედის ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია; ფეტვი; ჭვავი; ღომი და ასლი. ბალანსში არ შედის ცერცვოვანი კულტურები — ლობიო, მუხუდო და ბრინჯი.

ჩვენი პურეული ბალანსი უკანასკნელ წლებში შემდეგ სურათს გვაძლევს:

მოსავალი (ათას ფუთობით) 1924-26 წ. — 37.519.3, 1925-26 წ.—44063,1; 1926-27—45.301.9; მარაგი წლ. დასაწყისში (ათ. ფ.) 1924 25 წ. 578.8. 1925-26 წ. — 528.6 1926-27—წ. — 1210.8, შემოტანა (ათ. ფ.) 1924-25 წ.—7811,6; 1925-26 წ. — 9431.9; 1926-27 წ.—3246.4, სულ შემოსავალი (ათ. ფ.) უდრის—1924-25 წ. 45909,7; 1925-26 წ.—54023,6; 1926 27 წ. 54759.1.

გასავალი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: მოსახლეობის გამოსაკვებათ (ათ. ფ.) 1924-25 წ. — 35060,6; 1925-26 წ. 41381,2; 1926-27 წ. 42695, 3, აქედან სოფლის 24-25 წ. 28839.1; 1925-26 წ.—34871,5; 26-27 წ.—35879,5 და ქალაქის — 24-25 წ. 6221.5; 25-26 წ. — 6509,7; 26-27 — 6815,8.

საქონლისა და ფრინველების გამოსაკვებათ (ათ. ფ.) 1926-27 წ. საჭიროა — 6675,5 აქედან სოფლის — 5752,3 და ქალაქის 923,2.

სათესლეთ — 1926-27 წ. — 3970,6; მრეწველობის მოხმარება 26-27 წ. 275,7; მარაგი წლის ბოლოს 1098,4; გატანილია (ათ ფ.) 24-25 წ.—648,6; 25-26 წ. 112,5 და 26-27 წ.—43,6.

სულ გასავალი — 24-25 წ.—45909,7; 25-26 წ.—54023,6 და 26-27 წ. 54759,1.

მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოს პურეულობის ბალანსი დეფიციტიანია. ყოველწლიურად საჭიროა 6-8 მილიონი ფ. პურის შემოტანა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

აჭარის-წყლის ჰიდრო-სადგური

მდ. აჭარის - წყალის გადაყვანა გვირაბში წარმატებით დასრულდა. 12 აგვისტოს ღამით დიდი წვიმების გამო გვირაბმა ერთი წამის განმავლობაში შესძლო 110 კუბიკური მეტრი წყალის გატარება. გვირაბი იმგვარი კონსტრუქციის და ზომისაა, რომ თავისუფლად შეუძლია უფრო მეტი წყალის გატარება. ძლიერი წყალდიდობის დროს გვირაბი შესძლებს ერთი წამის განმავლობაში გაატაროს 1.500 კუბ. მეტრი წყალი.

თავდება მუშაობა წყალგამყვანის გასაკეთებლად; ახლო ხანში დაიწყება კალაპოტის საბოლოოდ ამოშრობა.

ამ. - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, აჭარის - წყალის ჰიდროელექტრო სადგურის მთავარმა ინჟინერმა ამხ. **მაშევსკიმ** მდინარის გვირაბში გადაყვანის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მთებთან და წყალთან შეუდრეკელი ბრძოლით ჩვენ შევძელით დაგვეძლია, როგორც ერთი, ისე მეორე მდინარე მორჩილებით შეება ღელეში და იძულებულია ეხლა ახალ პირობებში იმუშაოს. გვირაბში მდინარის გადაყვანა აღსანიშნავია იმ მხრივ, რომ შესრულებულია ყველაზე უფრო რთული და ნაგეგმარზე მეტი სამუშაო. შრომის ნაყოფიერება და შემდეგი მუშაობის ტემპი ეხლა უფრო ჩქარი ნაბიჯით წაიწევს წინ. შეიძლება ითქვას, რომ მდინარის გვირაბში გადაყვანით სადგურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

ჩვენ ქედის მეორე მხარეზე გადავედით, მდინარე დავიმორჩილეთ, ღელეში გვყავს, მაგრამ ყოველივე ამას უმსხვერპლოთ ვერ გავაკეთეთ".

კვირას, აჭარისტანის მშრომელი მასსა დღესასწაულობს მდინარეზე გამარჯვებას და იგონებს გვირაბის მშენებელთ, ტრაგიკულად დაღუპულ ინჟენერ **კალაშნიკოვს**, ინჟ. **სტალნოვს** და მუშებს: — **ბურმისტენკოს** და **პოლიანსკის**, რომელთა საქმე ჩვენ ეხლა ბოლომდი მიგვყავს.

ეკონომიურ საბჭოში

ლითონტრესტის რეორგანიზაცია

ეკონომიურმა საბჭომ გამოჰყო კომისია, ამხ. გოგიას (თავმჯდომარე), დათუნაშვილისა (ან სარაჯიშვილის), ხვედელიძის, გოზალოვის და ა. კაკაბაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს პროექტი ს. მ. უ. ს. ლითონტრესტის რეორგანიზაციის შესახებ.

რიონჰესის საამშენებლო კომიტეტის რწმუნებულის დანიშვნა ქუთაისში

რიონჰესის საამშენებლო კომიტეტის რწმუნებულათ ქ. ქუთაისში დაინიშნა ამხ. კ. სულავა, რომელიც იმავე დროს შეყვანილი იქნა წევრათ აღნიშნულ კომიტეტში.

წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაიონების გამომკვლევი კომისია

ეკონომიურმა საბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ს. ჟულელის (თავმჯდომარე) ძამანაშვილის, ინჟ. მამრაძის, ნ. კალატოზოვის და ი. ქელიძის შემადგენლობით გამოარკვიოს საქართველოს ს. ს. რ-ის ზოგიერთ რაიონის მოსახლეობისათვის წყალდიდობისაგან (ა. წ. აგვისტოში) მიყენებული ზარალის რაოდენობა. გარდა ამისა კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენი საჭირო ღონისძიებათა პროექტი.

გლეხის სახლი ქ. ცხინვალში

ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ქ. ცხინვალში გლეხის სახლის დასამთავრებლად სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ის განკარგულებაში გადაეცეს 60.000 მან.

მეურნეობის აღდგენა

ეკონომიურ საბჭომ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის 1927 წ. ივნისის თვის კონიუნქტურასთან დაკავშირებული შემდეგი ღონისძიებანი:

1. ვინაიდან აბრეშუმის კამპანია შარშანდელთან შედარებით წრეულს მცირე მოსავალს იძლევა ამ დროს, როდესაც გაცილებით მეტი თესლი იქნა დარიგებული და ამასთან დაკავშირებით დამზადების გეგმა ვერ შესრულდება, დაევალოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს შეისწავლოს აბრეშუმის კამპანიის ჩატარების პირობები და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს უმაღ. ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ერთი თვისა.

2. ვინაიდან სიმინდის დიდი ნაკლებობა შემჩნეულია ზოგიერთ რაიონებში, რაც ფასების დიდ ზრდას იწვევს, დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიიღოს შესაფერისი ზომები დაინტერესებულ უწყებებთან ერთად სიმინდის შემოტანის გაძლიერებისათვის და შესაფერისი მოხსენება წარუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ერთი კვირისა.

ვაჭრობა უცხოეთთან

შეთანხმება შვეციის ფირმასთან

ს. მ. უ. საბჭოში მიღებული ცნობით, საკავშირო ს. მ. უ. ს. მიერ დადებულია შეთანხმება შვეციის სავაჭრო საზოგადოება ASEA-სთან საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობათა უბაჟოთ შემოზიდვის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად შვედური საზოგადოება მოვალეა შემოიტანოს საბჭოთა ტრესტებისათვის, სინდიკატებისათვის და სხვა საამშენებლო ორგანიზაციებისათვის საჭირო ელექტრო მანქანები, მოტორები; დინამოები; ტრანსფორმატორები და ყველა საჭირო აპარატურა, თუ მას საამისო შეკვეთებს მისცემენ ეს ორგანიზაციები.

შეთანხმების ძალით საზოგადოება „ასეა"-მ ყველა შემოტანილ მოწყობილობებზე უნდა დააწესოს ფასი არა უმეტეს სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის მიერ დაწესებული ფასებისა და გაყიდულ საქონლის საფასურად არ უნდა გაიტანოს კავშირიდან ვალიუტა. ამგვარად აღნიშნული შეთანხმებით, ჩვენ ვღებულობთ ვალიუტის გაზიდვის მაქსიმალურ შემცირებას და ლიცენზიების აღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ყველა იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც განზრახვა ექნებათ შეუკვეთონ საზღვარგარედ სხვა და სხვა ელექტრომოწყობილობანი, ან მანქანები; უნდა მიმართონ სათანადო სპეციფიკაციის წარდგენით საკავშირო ს. მ. უ. ს. მთავარ ელექტრო სამმართველოს.

სესხი

ურთიერთ-დამხმარე სალაროებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა „ვსეკობანკის" მიერ წარმოდგენილი პირობები ურთიერთ დამხმარე სალაროებზე სესხის გაცემის შესახებ მიუღებლად ჩასთვალა.

ს. პ. კ. საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა შეისწავლოს საკითხი, თუ რომელ ბანკს უკეთესად შეუძლია მისცეს კრედიტი ურთიერთ დამხმარე სალაროებს და აგრეთვე შეინახოს საკავშირო თანხები.

საჭიროდ იქნა ცნობილი მოსმენილი იქნეს ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობის შესახებ, რის შემდეგ დაისმება ურთიერთ დამხმარე სალაროებისათვის სესხის მიცემის საკითხები.

საქართველოს ცაკში

— **ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა**. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების წინაშე, რათა დამსახურებული საზოგადო მოღ. ექ. პოლიკარპე ჩხიკვიშვილის ქვრივს ანასტასია **ჩხიკვიშვილისას** დაენიშნოს გაძლიერებული პენსია.

— **კოოპერატივში წევრებად ჩაწერა და დახმარების აღმოჩენა**. დუშეთის მაზრაში მომქმედმა გლეხკომებმა წევრებად ჩასწერა კოოპერატივში 425 ღარიბი გლეხი და თავის საშუალებიდან ამათთვის შეიტანა კოოპერატივის სალაროში ჯერ-ჯერობით 850 მან., ამას გარდა ინვალიდებს, ქვრივებს, ობლებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს გლეხკომებმა დასახმარებლად დაურიგეს 992 მ. და 73 კაპ.

— **ხარჯთაღრიცხვის შედგენა**. საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველ. განყოფილებამ 1927 1928 საბიუჯეტო წლისთვის შედგინა საჭირო ხარჯთაღრიცხვა და გადასცა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს განსახილველად.

— **შეღავათები**. საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ საკითხი აღძრა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, რათა სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებში აღრიცხული—პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდებს ტრამვაიზე მოგზაურობის დროს მიეცეს შეღავათები.

სამხრეთ ოსეთის ცაკში

ცაკის მე-11-ე სესია

სამხრეთ - ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეთერთმეტე სესია მოწვეულია 15 აგვისტოსათვის. სესიის დღის წესრიგში დასმულია: 1) ც. ალმ. კომ-ს ანგარიში (მომხსენებელი ამხ. ა. ჯიოევი), 2) კორნისის აღმასკომის მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ვ. ცხოვრებოვი), 3) სამხ. ოსეთის ჯანსაღკომის მოხს.(მომხს. ამხ.კუმარიტოვი) სამხ. ოს. გან სახკომის მოხსენება (მომხ. ამხ. პლიევი) 5) მრეწ-ბის პერსპექტივების შესახებ (მომხსენებელი ამხ. გ. გაგლოევი) და 6) მიმდინარე საკითხები. სესია მოწვეულია სოფ. კორნისში.

1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა ფინსახკომის რწმუნებულის მიერ წარდგენილი პროექტი 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა, რომლითაც გათვალისწინებულია; შემოსავალი.—130.464 მან. გასავალი 2.052.635 მან., დეფიციტი — 1.922.171 მან. სამხრეთ-ოსეთის ცაკი შუამდგომლობს საქართველოს ცაკის წინაშე, რათა უკანასკნელმა დაფაროს [illegible] დეფიციტი საქართველოს რესპუბლიკის სახსრებიდან.

მზადება ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისთვის

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად სამხრეთ-ოსეთის ცაკმა გამოჰყო სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ხ. გადიევი, წევრები ამხ. ი. ააბაევი, ა. პლიევი, ნ. შავლახოვი; ნ. ტომაევისა, და ვალიევი და ს. კოზიევი.

ადგილობრივი ბიუჯეტი

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების 1926—27 წლის ადგილობრივი ბიუჯეტები.

ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო თანხა უდრის 44.545.084 მანეთს, დოტაცია კი—6.638.800 მანეთს. ცალკე მაზრებიდან ყველაზე მეტი თანხა — 26.445.198 მანეთი მოდის თბილისის მაზრაზე; ამ მაზრისათვის გათვალისწინებული დოტაცია კი უდრის 837.192 მანეთს.

ავტონომიურ ერთეულებს შორის ადგილობრივი ბიუჯეტები განაწილებულია შემდეგნაირად: აჭარისტანი — 2.288.657 მანეთი, დოტაცია — 319.013 მანეთი, აფხაზეთი — 2.513. 387 მანეთი, დოტაცია — 432.556 მანეთი და სამხრეთ - ოსეთი — 371.841 მანეთი, დოტაცია—272.811 მანეთი.

„უდაბნო"

მეცხვარეობის ამხ-ბა

საგარეჯოს მონასტერს (საგარეჯოს თემში) აკრავს უდაბური მიდამო 20 ქცევის რაოდენობით. ეს უზარმაზარი არე დღემდე სრულიათ უსარგებლოთ იყო, ვინაიდან არავითარი მარცვლეული იქ მოსავალს არ იძლევა და მხოლოდ წვიმიან წლებში ხერხდება ცოტაოდენი თივის მოთიბვა.

სახ. მამულების ტრესტი დაინტერესდა ამ რაიონით და გადასწყვიტა გამოეკვლია მისი ვარგისობა. ამ მიზნით ტრესტმა გაგზავნა „უდაბნო"-ში სხვადასხვა კომისიები. ნიადაგის და ბოტანიკური გამოკვლევები ჩაატარეს დოცენტმა გედევანიშვილმა და ტროიცკიმ. გეოლოგიური გამოკვლევა არტეზიანური წყლების ამოსაყვანათ აწარმოვა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ: პროფესორი გეოლოგი ჯანელიძე, ინჟინერი ქურდიანი და ინჟენერი დიასამიძე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი თუშური ცხვარის ღირსება უკანასკნელ ხანებში დაეცა მაშინ, როდესაც სხვაგან ცხვრის ჯიშები იმდენათ გაუმჯობესდა, რომ გარდა კარგი ხარისხის მატყლისა თვით ცხვარი იძლევა 7—8 ფუთ ხორცს, ჩვენი თუშური ცხვარი იშვიათად იწონის 30 გირვანქაზე მეტს. თუშური ცხვრის მატყლი სქელია და ამის გამო გამოუსადეგარია ჩვენი საფეიქრო მრეწველობისათვის, რომელსაც ესაჭიროება წმინდა მატყლი.

ამის გამო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თუშური ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება. სახ. მამულების ტრესტმა გაითვალისწინა ეს გარემოებები და გადასწყვიტა „უდაბნო" გამოიყენოს ამ მიზნისთვის. ამავე საქმით დაინტერესდა მოსკოვის მეცხვარეთა საზოგადოება „ოვცევოდი", რომელიც პირობით შეეკრა საქ. სახ. მამულის ტრესტს და შეერთებული ძალით გადასწყვიტა მოეწყოს „უდაბნო"-ს მეცხვარეობის სახელმწიფო მეურნეობა. „ოვცევოდ"-ს ამ საქმის მოსაწყობათ გადაცემული აქვს ტრესტისათვის 320.000 მან. შეძენილი უნდა იქნეს 10.000 სული ცხვარი. აქ იწარმოებს თუშური ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება. ცხვრის ჯიშების შერჩევა და მეცნიერულ გამოკვლევების წარმოება დაევალა პროფესორ ჯანდიერს. შერეული იქნება თუშური და „მერინოს"-ს ჯიშები. ამჟამად „უდაბნო"-ში სწარმოებს წინასწარი მუშაობა 1 ოქტომბრისთვის მზათ იქნება ცხვრის სადგომები, თანამშრომლების საცხოვრებელი ბინები და შეყიდული იქნება ცხვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობა.

ახალი წყალსადენი

თბილისის მცხოვრებლებისათვის ხილი წყაროს წყლების მიწოდების მიზნით და მოსახლეობის ზრდის გამო ქალაქის წყაროს წყლით უზრუნველსაყოფად, თბილისის აღმასკომმა გასულ წელს გადასწყვიტა გამოიყვანოს ახალი წყალსადენი. ახალი წყაროების გამოყვანისათვის გამოკვლევების მოსახდენად და წინასწარი მუშაობის საწარმოებლად, აღმასკომმა შარშანვე გადასდო 200.000 მანეთი. გამოკვლეული და შესწავლილი იქნა ბულაჩაურის და ნატახტარის წყაროები.

ჩატარებულ გამოკვლევათა მიხედვით უპირატესობა ეძლევა ნატახტარის წყაროებს, რომელთა ღირსება და წყლის მარაგი ბევრათ სჯარბობს ბულაჩაურის წყაროებს. ამავე დროს ნატახტარის წყაროების გამოყვანა თითქმის სამი მილიონი მანეთით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბულაჩაურისა. ნატახტარის წყაროები დღეღამეში ქალაქს მიაწოდებენ 10 მილიონ ვედრო წყალს, ეს რაოდენობა, გამოკვლევების მიხედვით, თუ მოიმატებს: თორემ არ მოიკლებს.

მომავალ წლისათვის დამთავრდება წყალსადენის გამოყვანის პროექტის შედგენა, ხოლო მასშემდეგ შესაძლებელი გახდება მშენებლობის დაწყება. თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა ახალი წყალსადენის გამოყვანისათვის მომავალ წლის ბიუჯეტში შეიტანოს ერთი მილიონი მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხები გაღებული იქნას შემდეგი წლების განმავლობაში. წყალსადენის გამოყვანის დამთავრება განზრახულია 1930 წლისთვის. წინასწარი ხარჯთაღრიცხვით ნატახტარის წყაროების გამოყვანა დაჯდება ოთხი მილიონი მანეთი.

კანალიზაციის მოწყობა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ოქტომბრიდან შემოიღოს საკანალიზაციო გამოსაღები, რომელიც მთლიანად მოხმარდება გარე უბნებში კანალიზაციის გაყვანას. კანალიზაციას მოკლებულია თბილისის შემდეგი უბნები: ვერის, დიდუბის, კუკიის და მე-10 უბანი. ამ უბნებში, მოხდენილ გამოკვლევათა მიხედვით, კანალიზაციის უქონლობის გამო ყველაზე უფრო იკიდებს ფეხს გადამდები სენები. თბილისის აღმასკომი, გარე უბნებში კანალიზაციის გასაყვანად, თავის მხრივ გადადებს საგრძნობ თანხას. მუშაობა კანალიზაციის მოსაწყობად გარე უბნებში დაიწყება მომავალ წლიდან.

საკანალიზაციო გამოსაღები შემოღებული იქნება მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის.

ქრონიკა

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი მოწვეული იქნეს სექტემბრის მეორე ნახევარში.

ინჟ. ა. კაციტაძის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უფროსი ინჟ. ა. გ. კაციტაძე.

ამხ. რუდი თბილისში

დღეს დილის 9 საათზე ბორჯომის მატარებლით თბილისში ჩამოვიდა გზათა კომისარიატის კოლეგიის წევრი და რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს უფროსი ამხ. **რუდი**.

ამხ. რუდისთან ერთად დაბრუნდებიან ა-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ჩხეიძე და გზების გამგეობის წევრი ინჟ. გ. ბერიძე.

950.000 ფ. პური

ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით აგვისტოში ამიე-კავკასიაში შემოტანილია 950.000 ფუთი პური.

საერთაშორისო კოოპ. ალიანსის კონგრესზე

16 ოქტომბერს სტოკჰოლმში იხსნება საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების ალიანსის მორიგი კონგრესი.

საქართველოს კოოპერაციის მხრივ კონგრესს დაესწრებიან ამხ. **მალაქია ტოროშელიძე** (ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე), ივ. ცავარელი (ცეკავშირის გამგეობის წევრი) და კირილე კაკაბაძე („სოფლის კავშირ"-ის გამგეობის თავმჯდომარე).

მასიური ექსკურსია

13—15 აგვისტოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობს მუშა-მოსამსახურეთა მასიურ ექსკურსიას სომხეთში—ალავერდის ქარხნების და სევანის ტბის დასათვალიერებლად.

ორშაბათი დასასვენებელი დღეა

შრომის კომისარიატის განმარტებით ორშაბათი, 15 აგვისტო დასასვენებელი დღეა.

ტყავის ქარხანა

ფოთის ტყავის ქარხნის დირექციამ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან გამოითხოვა 10.000 მანეთი ქარხნის გასაფართოებლად და ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად.

არხის გაუქმება

დიდუბეში გერმანელთა ახალშენმა რამდენიმე წლის წინად გამოიყვანა არხი მტკვარიდან. ეს არხი იწყება ღრმა ღელეს ზემოთ. დიდი ხანია განზრახული იყო ამ არხის გაუქმება, ვინაიდან სანიტარიის მხრივ მას დიდი მავნებლობა მოაქვს ქალაქისათვის, განსაკუთრებით ამ უბნისათვის. უკანასკნელ მიზეზის გამო თბილისის აღმასკომმა დაადგინა გააუქმოს ეს არხი. პირველ რიგში გაუქმებული იქნება არხის შტო მუშტაიდში.

სახლი სტუდენტებისა და მუშფაკელებისათვის

თბილისის აღმასკომმა დაადგინა ვაკეში ააგოს დიდი სახლი ღარიბ სტუდენტებისა და მუშფაკელებისათვის საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად. სახლი აგებული იქნება უნივერსიტეტის პირდაპირ. სახლი იქნება სამ სართულიანი, თითო სართულში 16 ოთახით. თითო ოთახში იცხოვრებს ორი სტუდენტი. სახლთან მოწყობილი იქნება კლუბი, სამკითხველო და ბაღი. სახლის ასაგებად გადადებულია 119.665 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **საზოგადო სამუშაო**. კომუნალურ მეურნეობას დაევალა უმუშევრებისათვის მოაწყოს საზოგადო სამუშაოები. ამ მიზნით გადადებულია 40.000 მან.

◆ **ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო-აპარატების** დასადგმათ ბაღებსა და მთავარ ქუჩებში გადადებულია 5000 მან.

◆ **კეთილმოწყობის განყოფილებას წინადადება** მიეცა მიიღოს თავის გამგებლობაში ქალაქის ფარგლებში არსებული ყველა ბაღი.

◆ **ჯარისკაცთა ბაზარი აღმასკომის დადგენილებით** გადატანილი იქნება ამერიკულ ბაზრის ადგილზე, ხოლო ამერიკული ბაზარი ნუნუფაროვის ბაზარში.

◆ სავალდებულო [illegible] დარღვევისათვის უკანასკნელ [illegible] თვის განმავლობაში დაჯარიმებული არიან 24.890 მა[illegible]

სახალხო განათლება

◆ **ოთხწლედის ასაგებად** განათლების კომისარიატის ცნობით სოფ. სვირის მცხოვრებლებმა თავიანთ შორის შეუგროვებიათ რვა ათასი მანეთი 4 წლედი სკოლისათვის შენობის ასაგებად.

◆ **სკოლების შეკეთება**. განათლების კომისარიატში მიღებული ცნობებით მთელ საქართველოში დასრულდა სკოლების შეკეთება.

◆ **კოოპერატიული კურსები**. მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება კოოპერატიული კურსები.

◆ **საბუღალტრო კურსები**. განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გააფართოვოს საბუღალტრო კურსები.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **შრომის კამერები**. ქალაქის რაიონებში მოეწყო შრომის ინსპექტორების კამერები, რაიონში არსებულ წარმოებებში შრომის პირობების დაცვის გასაადვილებლად.

◆ **მცირეწლოვან მოჯამაგირეთა მუშაობის** პირობების გასაუმჯობესებლად მაზრებში დაიგზავნენ შრომის ინსპექტორები.

ჯანსახკომში

◆ **სამალიარიო სადგური**. ოქტომბრის ათი წლის თავზე ჯანსახკომი ბორჩალოში ხსნის სამალიარიო სადგურს.

◆ **ნერვო-ფსიქიატრიული რაზმი**. ჯანსახკომმა ოზურგეთის მაზრაში მიავლინა ნერვო-ფსიქიატრიული საექიმო რაზმი.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

გუშინ საღამოს ტყის შესახვევი № 1-ში მოხდა შემდეგი უბედური შემთხვევა: სახლის პატრონი პეტრე რატმანი და მისი შვილი იოსები საკუჭნაოში აწყობდენ რკინეულობას. მუშაობის დროს უეცრად იატაკი ჩაინგრა, და ქვეშ მოიტანა მამა-შვილი. ორთავე მსუბუქათ დაშავდენ.

ხულიგან ქალების დაპატიმრება

გუშინ, აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ხულიგნობისათვის დააპატიმრა შვიდი ქალი.

ანნა ჯარბუნოვა; ვართანუშა ყარაიანი; ნინა გოხაძე; ევგენია ჩულაკოვა—მალაევა; მარუსია ყირგიზოვა; მართა პაპიაშვილი და ალექსანდრა ვოლკოვა.

ჩულაკოვა-მალაევას მიმდინარე წელში აქვს ხულიგნობის ცხრა რეგისტრაცია. იგი დაპატიმრებულია ორი თვით. დანარჩენები კი 15 დღით.

* * *

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 11 აგვისტოს დიდი ვანქის ქუჩა № 6 სტეფანე არუთინოვეს ბინიდან მოპარეს 500 მანეთის ნივთები.

◆ **ცეცხლი**. 11 აგვისტოს გოშშორის ქუჩა № 25 მიკიჩ კუპლიანცის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

◆ **ალბულაღის რაიონში** ივანე და ვასილ ბულიკოვებმა სათიბში ცელებით მოჰკლეს თეოფილე ამირანდიის ცხენი. ღირებული 200 მანეთად.

◆ **შეპყრობა**. ათ აგვისტოს მარტყოფის სამილიციო რაიონში ქურდობისათვის შეიპყრეს გაიოზ სახლთხუციშვილი და ვანო ჯერონაშვილი.

◆ **ქურდობა**. ათ აგვისტოს პანასკეჩის ქ. № 36 გაქურდეს არუსიაკა ადამოვას ბინა.

◆ **ამავე დღეს** პლეხანოვის გამზირი № 23 გაქურდეს გრიგოლ გაბუნიას ბინა.

ბავშვის დაკარგვა. სადგურ იანეთ-იდან 2 აგვისტოს თბილისისაკენ წავიდა ლეო ვიქტორის ძე ჯვარშეიშვილი; მოწაფე 15 წლისა, ტანად საშუალო, გამხდარი, შავგრემანი; ტანზე აცვია თეთრი ხალათი, ფეხზე თეთრი ბუცები, თავშიშველი; თმა გვერდზედ გადაყოფილი; დღემდის არ დაბრუნებულა სახლში. სთხოვენ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, აცნობოს ადგ. თბილისის საბარგო სალაროში ვიქტორ ჯვარშეიშვილს.

სასამართლო

სასამართლოს სესიის მუშაობა

თელავის მაზრიდან დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიის პროკურორი ამხ. **ქავთარაძე**. მან ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

თბილისიდან წაღებულ და ადგილობრივად მიღებულ საქმეებიდან თითქმის ნახევარზე მეტი შეეხება მკვლელობას და ხელის შეწყობას მკვლელობისათვის.

საქმის გადადებას ან დამატებითი გამოსაძიებლად გაგზავნას ადგილი არ ჰქონია. საქმის დროინათ გარჩევაში სასამართლოს დიდათ შეუწყო ხელი ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

გარჩეულ საქმეებიდან ბოროტმოქმედებათა ხასიათი შემდეგნაირია: მცირე პროცენტი იყო სქესობრივი დანაშაული, შემდეგ თანამდებობრივი დანაშაული, ხელისუფლების გადამეტება და ხელისუფლების ბოროტათ გამოყენება, ხოლო დანარჩენი სხვა ხასიათის ბოროტმოქმედებანი, როგორიც არის ქურდობა და სხვა.

საქმეების უმრავლესობა განხილულია ადგილობრივად, სახელდობრ: ახმეტაში, შილდაში, ყვარელში და კოლოთში.

სასამართლოს სხდომებს აუარებელი გლეხობა ესწრებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს, სხდომების გახსნა ცის ქვეშ უხდებოდა, რადგან დამსწრეთ ვერც ბინა ვერ იტევდა.

სესიის და საერთოდ სასამართლოს ავტორიტეტი გლეხობის თვალში ფრიად მაღალია.

გაფლანგვა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით, დასრულდა **ლევან რევიას** საქმის გარჩევა.

რევია ირიცხებოდა სად. **ნავთლუღის** საბარგო სადგურის მოლარეთ. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მიყო სახაზინო ქონების გაფლანგვას. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად რევია არდგენდა ყალბ საბუთებს. რევიზიით ბოროტმოქმედების კვალი დადასტურდა. გამოირკვა, რომ რევიას მიუთვისებია 2,864 მან.

რევია პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლომ რევია დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი და პატიმრების ჩათვლით.

მფლანგველები საგზაო-სატრანსპორტო კოოპერაციაში

მიხეილ კანანოვი მსახურობდა ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელ კოოპერატივში. გ. წ მარტიდან იგი დაინიშნა მეოთხე მაღაზიის გამგეთ.

გ. წ. დეკემბერში მოხდენილ იქნა მაღაზიის დეტალური რევიზია, რევიზიით გამოირკვა, რომ კანანოვი „კომბინაციებს" ეწეოდა. კანანოვი დაითხოვეს სამსახურიდან და მისცეს პასუხისგებაში.

გამოირკვა, რომ კანანოვი ზედმეტ ფასებში ჰყიდდა კოოპერატიულ საქონელს და განსხვავებას ითვისებდა. გარდა ამისა, „ზაკტპო"-ს სახელით მას სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებიდან გამოჰქონდა საქონელი—ჰყიდდა და ფულებს ისაკუთრებდა. მანვე გაჰყიდა საქონლის შესახვევი ქაღალდი და სხვა.

კახახოვს გვერდს უმშვენებდა და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობდა ამავე მაღაზიის თანამშრომელი ამაიაკ ფიჩიკინი. ეს უკანასკნელიც იმგვარივე ოინებითა და ხრიკებით „მუშაობდა", როგორც კანანოვი. ამ კამპანიაში შედიოდა აგრეთვე ერვანდ მირაქოვი (მაღაზიის თანამშრომელი).

„მეგობრები" ბოროტმოქმედებს კვალის დასაფარავად ადგენდენ ყალბ საბუთებს. დადასტურდა, რომ ასეთ ბოროტმოქმედებას „კოოპერატორები" დიდი ხნიდან ეწეოდნენ.

ექსპერტების დასკვნით, კანანოვს მითვისებული აქვს 815 მანეთი, ფიჩიკინს კი—1153 მანეთი.

ამჟამად ფიჩიკინი, კანანოვი და მირაქოვი მიცემული არიან პასუხისგებაში და ახლო მომავალში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ოჯახური დრამა

გიორგი დურგლიშვილი თავდავიწყებით ეარშიყებოდა ახალგაზრდა **მარიამ ირემაშვილს**, რომლის მშობლები გიორგის სიძეავით ხვდებოდნენ და თავს ევლებოდნენ. მშობლები თითებზე ითვლიდენ დღეებს, როდის ეღირსებოდენ ქალიშვილის „გაბედნიერებას". მარიამს დურგლიშვილი არ უყვარდა და უარი უთხრა მას ცოლად გაყოლაზე. მშობლებმა წინადადება მისცეს ქალს გაჰყოლოდა გიორგის, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლიდან გაძევებით ემუქრებოდნენ.

მარიამი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. დაფაცურდენ ქალის მშობლები, მოაწყვეს ქორწილი, ლხინიც დიდი გადიხადეს.

დაქორწინების შემდეგ დურგლიშვილი სამუშაოდ სხვაგან წავიდა. ის დიდი ალერსით ეთხოვება თავის ცოლს და აღუთქვამს წერილების ხშირ-ხშირად წერას. დაპირება პირნათლად შეასრულა. მარიამი ღებულობს წერილს ქმარიდან. გულისფანცქალით გახსნა მან წერილი და წაიკითხა, მაგრამ რა წაიკითხა? წერილს არ აკლდა არც ერთი საგინებელი სიტყვა.

— „მე არ შემიძლია შენთან ცხოვრება;—სწერდა დურგლიშვილი. ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა. შენისთანებთან მე საერთო არაფერი მაქვს". ცოლიცა და მშობლებიც საშინლად შეშფოთდენ. ამ დროს მარიამი ფეხმძიმედ იყო.

ირემაშვილის ქალმა სამშობიარო ხარჯები სასამართლოში უჩივლა ყოფილ ქმარს.

სასამართლომ ირემაშვილის ძიება დააკმაყოფილა.

ბოლოს მოხდა „სასწაული": ცოლ-ქმარი შერიგდენ; მაგრამ მათ შორის ჩხუბი და დავიდარაბა გრძელდებოდა. საქმე იქამდე მივიდა; რომ ქმარი სცემდა ცოლს. ამ ამბის მოწამე იყო ქალის ძმა **პ. ირემაშვილი**, რომელმაც გადასწყვიტა მოეკლა ოჯახის შეურაცხმყოფელი სიძე. ამ უკანასკნელს ეს აზრი კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა სიძემ კვლავ მიატოვა მისი და.

პეტრე ირემაშვილი საჯაროდ ამბობდა:

— „დურგლიშვილმა ოჯახი აგვიოხრა, ჩემი და [illegible] და კაცი არ ვიქნები, თუ არ მოვკალიო".

ერთ დღეს ირემაშვილი ჩაუსაფრდა სახლში მიმავალ დურგლიშვილს და დანა ჩასცა მკერდში. დურგლიშვილი ემუდარებოდა მას არ მოეკლა იგი და სიტყვას იძლეოდა, რომ მომავალში მის დას შეურიგდებოდა. ირემაშვილმა ყოფილ სიძის სიტყვას ანგარიში არ გაუწია და 5 ჭრილობის მიყენებით მოჰკლა იგი, ირემაშვილი დააპატიმრეს.

საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს.

ქ.

მტრედების გამოფენა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის საზაფხულო კლუბში გაიხსნა ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის მიერ მოწყობილი მტრედების პირველი გამოფენა.

გამოფენა შესდგება: მოყვარულთა მტრედებისა საფოსტო მტრედებისა, სამხ. მტრედებისა და მტრედების ანატომიის განყ-ბებისაგან. წარმოდგენილია აგრეთვე ექსპონატები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მტრედების მოვლა და გაწვრთნა.

გამოფენაში, გარდა სამხედრო ნაწილებისა, მონაწილეობას იღებენ კერძო მოყვარული მტრედები.

ჯერ-ჯერობით უკეთ არის წარმოდგენილი სამხედრო მტრედების განყოფილება.

გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით წითელ არმიელები. გამოფენა გაგრძელდება 14 აგვისტომდე. ამ დღეს მოხდება მტრედების შეჯიბრი. 15 აგვისტოს შეჯიბრში მონაწილეთ დაურიგდებათ ჯილდოები.

რკინის გზეზე

ელექტრო - მოწყობილებათა მიღება

რკინის გზის ელსადგურებისათვის თბილისში მიღებულია ცვალებადი დენის გენერატორი.

გენერატორთან ერთად მიღებულია ელექტრო მოტორები და სხვა ხელსაწყოები თბილისის კვანძის ელექტროფიკაციისათვის.

ეს ხელსაწყოები დაკვეთილი იყო საზღვარგარეთ გზათა კომისარიატის მიერ.

სამუშაო დროს შემცირება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის და ა.-კ. საგზაო კომიტეტის შორის მიღწეულ შეთანხმების თანახმად, რვა საათის სამუშაო დრო შემცირებულია ექვს საათამდე შემდეგი პროფესიის მუშებისათვის: გვირაბის თაღების და გვირაბში მომუშავე შემკეთებელ მუშებისა და ნადის თავებისათვის.

მეწყერი

12 აგვისტოს ხარაგოულ - მარელისის შუა, ა.-კ. რკ. გზ. მე-193 კილომეტრზე ადგილი ქონდა მეწყერს. ლიანდაგზე ჩამოწვა მიწის ზვავი.

შეუდგენ ხაზის გაწმენდას, რასაც დასჭირდა სამ საათის განუწყვეტელი მუშაობა.

გზაში გაჩერდენ მთელი რიგი მატარებლები. ამჟამად მოძრაობა აღდგენილია.

ხელოვნება

მომავალი სათეატრო სეზონი

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მომავალი სათეატრო სეზონის შესახებ ესაუბრა ხელოვნების საქმეთა მთავარ მმართველობის თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ჯაფარიძეს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

ოპერის სეზონი

ახალი ოპერები

ხელოვნების საქმეთა მთავარმმართველობის პროექტით, ოპერის მომავალ სეზონის რეპერტუარში შეტანილია როგორც ახალი კლასიკური ოპერები, ისე რევოლიუციონური ხასიათის ოპერები, როგორიცაა „არწივების ჯანყი", „ანდრე შენიე" და სხვა.

ქართულ ორიგინალურ ოპერებიდან მომავალ სეზონში პირველად წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის „ლატავრა", დ. არაყიშვილის „ცხოვრება სიხარულისა"; მელიტონ-უხუცესის: „ქეთევანი"; ვიქ. დოლიძის: „ცისანა". განმეორებული იქნება: „აბესალომ და ეთერი", „დაისი„ და „თამარ ცბიერი".

დასში მომავალ სეზონში მოწვეულია **სადოვინსკაია, (დრამატ. სოპრანო); მარკოვა (ლირიული სოპრანო): დანციანი და პანტეევა.**

ვაჟები: ტენორები—**აგრონოვსკი; ქუმსიაშვილი; კრუზი და კულაგინ.**

ბარიტონები: **ინაშვილი; ქარცივაძე;** ბასი **მესხიაევი და ლუმენცოვი.** მთავარ რეჟისორად: **გრეჩინოვი;** ცალკე დადგმებისათვის მოწვეულნი არიან: რეჟისორი **კ. მარჯანიშვილი; ახმეტელი და ა. წუწუნავა.**

მარჯანიშვილს მინდობილი აქვს ოპერა „ამირანი"-ს დადგმა და „ქეთო და კოტე"-ს დადგმა ახალი მიზან-სცენებით. მასვე მინდობილი აქვს „კარმენ"-ის დადგმა. კარმენისათვის იხატება ახალი დეკორაციები და იკერება ახალი კოსტიუმები.

ბალეტის რეჟისორად მოწვეულია **ლუკინი,** რომელიც დადგამს „კარმენსიტას" და „დონ-კიხოტს". ბალეტმეისტერათ **არბატოვი.** გასულ წელს ბალეტის მსახიობთა გარდა მომავალ სეზონში მოწვეული იქნებიან მოსკოვის და ლენინგრადის ცნობილი პრიმა-ბალერინები.

დირიჟორებად ამავე სეზონში მიწვეულნი არიან: **ი. ფალიაშვილი და მელიქ-ფაშაევი.**

დასში აგრეთვე პრაქტიკული მუშაობისათვის მოწვეულნი არიან კონსერვატორიის კურსდამთავრებულნი. ერთი წარმოდგენა წავა ახალგაზრდა მომღერლის ცირილილაძის სადებიუტოთ.

ხელოვნების საქმეთა მთავარმმართველობას განზრახვა აქვს მომავალ სეზონიდან ოპერის თეატრთან მოაწყოს გუნდისათვის სტუდია, რომელშიაც მიღებულნი იქნებიან ახალგაზრდა ძალები გუნდის შესავსებათ.

აგრეთვე განზრახულია ოპერის თეატრთან მოეწყოს საოპერო სტუდია.

ოპერის სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს.

აკადემიური დრამა

აკადემიური დრამის მომავალი სეზონისათვის მოსამზადებელი მუშაობა წელს მიმდინარეობს ბორჯომში აკადემიური დრამის მთავარ რეჟისორის **ალ. ახმეტელის** ხელმძღვანელობით. შარშან დადგმულ წარმოდგენების გარდა, მომავალ სეზონში პირველად წარმოდგენილი იქნება „მეფე ლირი"; „კარმენსიტა" და შალვა დადიანის ახალი პიესა „გაიმასქნება" შინაარსი აღებულია მიხ. ჯავახიშვილის რომანიდან: „კვაჭი კვაჭანტირაძე". ამ პიესაში პირველად ქართულ სცენაზე გამოყენებული იქნება ქართული ნიღაბები, აღებული ძველი ზღაპრებიდან და თქმულებებიდან.

„კარმენსიტა"-სათვის დეკორაციები დახატული იქნება მხატვარ იაკულოვის მიერ.

შუა სეზონში წარმოდგენილი იქნება რევოლიუციონური შინაარსის ახალი პიესები.

მხატვარ გამრეკელის გარდა მოწვეულია მხატვარი **პელონკინი.**

სეზონში უკლებლივ იმუშავებს შარშანდელი დასი, რომელშიაც მომავალ სეზონში აგრეთვე იმუშავებს მსახიობი ქალი ნინა მესხიშვილი, რომელიც „კარმენსიტაში" შეასრულებს მთავარ როლს.

რუსთაველის თეატრთან მომავალი სეზონიდან მოეწყობა დრამატიული სახელოსნო ახალი მსახიობების და რეჟისორების მოსამზადებლად. აგრეთვე მოეწყობა დრამატურგების და რეჟისორების სახელოსნო, სადაც რეჟისორები და დრამატურგები იმუშავებენ კონტაქტში.

განზრახულია და მოლაპარაკება სწარმოებს, რათა აკადემიურმა დრამამ კვირაში ერთხელ სისტემატიურად გამართოს წარმოდგენები მუშათა აუდიტორიაში—ნაძალადევში.

განზრახულია აგრეთვე მომავალ სეზონიდან თბილისში ქართული სატირის თეატრის დაარსება. სათანადო მუშაობა უკვე დაწყებულია.

სხვათა შორის ხელოვნების საქმეთა მთავარ მმართველობასთან დაარსდა საკონცერტო ბიურო, რომლის მიზანია უხელმძღვანელოს თბილისში კამერულ კონცერტებს; მოიწვიონ უცხოელი მუსიკოსები საგასტროლოდ და სხ.

რუსული დრამა

მომავალ სეზონში იმუშავებს ყოფ. სახალხო სახლში პესიმიტის ხელმძღვანელობით.

სომხური დრამა

რუსთაველის თეატრში რეჟისორ ბურჯალოვის ხელმძღვანელობით.

ამავე თეატრში კვირაში თითო წარმოდგენას დადგამს **თურქული დრამა.**

ლურჯ - ხალათელთა კოლექტივის „მაღაროელის" გასტროლები

კიდევ ერთი სასიამოვნო მოვლენა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში — თბილისში მთელ რიგ გასტროლებზე ჩამოვიდა ჭიათურის მუშათა ცენტრ. კლუბთან არსებული ლურჯ-ხალათელთა კოლექტივი „მაღაროელი" თავის ხელმძღვანელ — დამაარსებელ **იანგო აპტალიდის** ხელმძღვანელობით.

კოლექტივი, რომელიც შესდგება მტვირთავ და მაღაროს მუშებისაგან, დიდი წარმატებით ატარებს თავის წარმოდგენებს და მისი გამოსვლები ძალიან მოსწონს ჩვენს მუშათა აუდიტორიას.

მიუხედავათ იმისა, რომ კოლექტივში არ არიან პროფესიონალი მსახიობნი, ისინი მაინც თავის მომზადებით და საქმისადმი სერიოზულ მოპყრობით დახელოვნებულ თეატრალების შთაბეჭდილებას სტოვებენ.

კოლექტივის რეპერტუარს განსაკუთრებით თანამედროვე სატირა შეადგენს, ყველა ნომრები მუსიკალურ ილიუსტრაციით არის დამუშავებული მათ სასცენო ანსამბლს ძალიან ხელს უწყობენ განსაკუთრებულ კარგი ხმის მქონე ახალგაზრდები (ხმები დამუშავებულია ლოტბარ კავსაძის მიერ).

პროგრამის საუკეთესო ნომრებია: „ჩისტკა", „წერტილი", „გამფლანგველი" და სხვა; ყველა ამ ნომრებში კარგი თამაშით და სიმღერით აღსანიშნავია ნიჭიერი ახალგაზრდები: **ი. ვაშაძე, ე. ფერაძე და გრ. შატბერაშვილი.**

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ პროფკავშირთა კულტ-მუშაობის დარგში პროვინციამ წინ გაუსწრო ცენტრს.

ს. ბ.

მუშათა ცენტრალური კლუბი

ვინაიდან მუშათა ცენტრალური კლუბი ამჟამად ითვლება მეტალისტთა და სურსათ-გემოვნების კავშირების კლუბად და ამ ორი კავშირის შეუთანხმებელი მუშაობის გამო საკლუბო მუშაობა მოისუსტებს, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მუშაობის გაცხოველების მიზნით საჭიროდ სცნო აღნიშნული კლუბის სურსათ-გემოვნების კავშირისათვის გადაცემა; ეს უკანასკნელი ვალდებულია სამსახური გაუწიოს მეტალისტთა კავშირის წევრებს საერთო წესით შეღავათიან ფასებში 50 პროცენტის დაკლებით.

მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას, რომელსაც დაევალა ხელმძღვანელობა გაუწიოს ბიბლიოთეკის მუშაობას.

მიმდინარე წლის ოქტომბრამდე მუშათა ცენტრალურ კლუბს ყოველთვიურად დოტაციის სახით მიეცემა 1.000 მან.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სამხატვრო კურსები.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება სამხატვრო კურსები.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ქეთო და კოტე".

◆ **საოჯახო საღამო.** მუშათა ცენტრალურ კლუბში დღეს გემოკვების კავშირის წევრთათვის გაიმართება საოჯახო საღამო.

◆ **კონცერტი.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ **თეატრალური მუზეუმი.** ახლო ხანში თბილისში შეუდგებიან თეატრალურ მუზეუმის მოწყობას. მუზეუმის მოწყობა ხელოვნების განყოფილებამ მიანდო შალვა დადიანს.

◆ **ბათომის ქართული თეატრის რეჟისორად** წელს მიწვეულია აკაკი ფალავა, ხოლო მორიგ რეჟისორად **ნიკ. გოძიაშვილი.**

დღეს კინოებში

— **დარბაზში**—„ბოროტმოქმედების დალი".
— **მინიონში**—„კონფლიქტი"
— **ეთერში**—„შეიხი".
— **აპოლოში**—„ქალი კუნძულიდან".

მეცნიერება და ტექნიკა

მთვარეზე გაფრენის ახალი პროექტი

მთვარეზე გაფრენის საკითხით უკანასკნელ ხანებში ბევრი კონსტრუქტორი და გამომგონებელია დაინტერესებული. მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა ცდა ამერიკელ პროფ. **გოდდარდის,** რომელიც წინადადებას იძლეოდა, რომ მთვარეზე გაფრენა მომხდარიყო რეაქტიურ პრინციპზე აგებულ აპარატით, ე. ი. ისეთი აპარატით, რომელსაც წინ წაიყვანდა უკანა ნაწილში მოთავსებულ ნივთიერებათა აფეთქება, ფრანგმა ინჟინერებმა შეიმუშავეს სულ სხვა ტიპის მთვარეზე გასაფრენი აპარატი. პროექტი არსებითად შემდეგში მდგომარეობს: მიწის ნაკვეთზე, რომლის ზედაპირი განსაზღვრული კუთხის ქვეშ იმყოფება ჰორიზონტის მიმართ, აწყობენ წრისებურ გვირაბს, დიამეტრით—20 კილომეტრამდე. ამ გვირაბის შიგნით ათავსებენ უზარმაზარ ყუმბარას, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ პნევმატიური ფოსტის მსგავსი მოწყობილობით: მძლავრი საჰაერო საქაჩავებით ჰაერი იდენება გვირაბში ყუმბარის უკან; საქაჩავების მეორე წყების საშუალებით კი სწარმოებს ჰაერის გამოქაჩვა გვირაბიდან (ყუმბარის წინ მდებარე არედან). რამოდენიმე სრული წრეს გავლის შემდეგ გვირაბში, ყუმბარა იწყებს მოძრაობას ისეთი სისწრაფით, რომელიც სავსებით საკმაოა დედამიწის მიმზიდველობის დასაძლევათ და მთვარემდი მისაღწევათ. ამ დროს ყუმბარა გადაჰყავთ გვირაბის დამატებითი შტოზე, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ გვირაბიდან გამოსვლის შემდეგ ყუმბარა მთვარის მიმართულებით მიექანება. გამომგონებლები ამავე დროს სარგებლობენ რეაქტიური პრინციპითაც. მთვარესთან მიახლოების დროს სამყაროს მოგზაურები ისე აწესრიგებენ ასაფეთქებელ ნივთიერებათა აფეთქებას, რომ ყუმბარა ხომალდი ასწერს მრუდა ხაზს მთვარის გარშემო და გამობრუნდება დედამიწისაკენ. რათა დედამიწაზე დაშვება მოხდეს შესაფერი სიფრთხილით, ხომალდი მომარაგებული იქნება სათანადო მოწყობილობით.

პლანეტებს შორის მოგზაურობის იდეით გატაცებული ხალხის აზრით, ზემოთ-აღწერილი პროექტი „ყველაზე უფრო პრაქტიკული და რეალურია დღემდე შემუშავებულ მსგავს პროექტებს შორის".

ნარევი

ეიფელის კოშკი

პარიზის არქიტექტორები საგონებელში არიან ჩავარდნილი ეიფელის კოშკის სამწუხარო მდგომარეობის გამო.

კოშკის თავისებური კონსტრუქციისა და სიდიდის გამო, საღებავი, რომლითაც არის შეღებილი კოშკი, ძლიერ ჩქარა განიცდის ატმოსფერული პირობების განმანადგურებელ შედეგებს: სკდება, ხმება და იშლება, რის გამო კოშკის ლითონის ნაწილები იჟანგება.

საჭირო ხდება კოშკის ხშირად შეღებვა მიუხედავად იმისა, რომ მას ოთხ ფენათ ღებავენ განსაკუთრებული (ე. წ. პულვერიზაციის) წესით, რომელიც ადიდებს საღებავის გამძლეობას. წარსულ წელს ჩატარებული რემონტიც, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდენ, უშედეგო აღმოჩნდა.

თუ რა ფული ჯდება პარიზის ამ შვენების შესაფერად „მორთვა" სჩანს იქიდან, რომ ეიფელის კოშკის ხელახლად შესაღებავად საჭიროა 30.000 კილო საღებავი და 40.000 სამუშაო საათი.

ამის გამო, როგორც პარიზის პრესა იუწყება, განზრახულია გამოცხადდეს კონკურსი სპეციალური თვისების საღებავის და შეღებვის განსაკუთრებული წესის გამოგონებაზე იმ მიზნით, რომ შემცირებული იქნეს კოშკის შეღებვის ხარჯები.

ვეზუვი

ამ რამდენიმე ხნის წინათ იტალიის სამეცნიერო დაწესებულებებმა მოახდინეს ვეზუვის კრატერის გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ღვარეფის დაგროვების გამო, ვულკანის ფსკერი ოცი უკანასკნელი წლის განმავლობაში 153 მეტრით ამაღლდა.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 13 აგვისტო

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მელიორაცია ამიერ - კავკასიაში — სომხურ ენაზე (7—7—20).

საერთაშორისო მდგომარეობა — რუსულ ენაზე (7—20—7—40).

კოოპერაცია, როგორც გზა სოციალიზმისაკენ — რუსულ ენაზე (7—40—8).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8—8—20).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—20—11).

ბიბლიოგრაფია

ვიქტორ თევზაია

ვაჭრობის ძირითადი საკითხი

სამრეწველო ეკონომიური (კომერციული) განათლების დამხმარე კომიტეტის გამოცემა.—გვ. 82. ფასი 95 კაპ.

სარეცენზიო წიგნაკის ავტორს, მიზნათ დაუსახავს მიეცა ქართველი მკითხველისთვის მოკლე სახელმძღვანელო ვაჭრობის ეკონომიკისა. მიტომ გამოუშვია მას, როგორც თვითონ ლაპარაკობს ცალკე წიგნად იმ ლექციების მოკლე შინაარსი, რომელსაც ის „ცეკავშირთან" არსებულ კოოპერატიულ კურსებზე კითხულობდა. წიგნის პირველ თავებში განიხილავს აღებ-მიცემობის წარმოშობას და კაპიტალის თანამედროვე ფორმებს, ხოლო შემდეგ არკვევს ვაჭრობის ცნებას.

იხილავს რა საერთოდ ვაჭრობას და მის სხვადასხვა ფორმებს, ავტორი ცდილობს გზადაგზა გაარკვიოს ვაჭრობის მდგომარეობა ჩვენში და ვაჭრობის ცალკე სახეთა ზოგიერთი თავისებურებანი საბჭოთა კავშირში. ავტორი ეხება არა მარტო თვით ვაჭრობას და მის ეკონომიურ მნიშვნელობას, არამედ ვაჭრობის დამხმარე საშუალებებსაც, როგორიცაა ბირჟა, ტრანსპორტი, სავაჭრო კრედიტი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა ვერ შეასრულა წიგნაკის წინასიტყვაობაში მოცემული დაპირება, რომ არ შეეხებოდა უფლებრივ ხასიათის მოვლენებს, რადგან ის მისი აზრით სავაჭრო სამართლის დარგს მიეკუთვნება. უფლებრივი ხასიათის მოვლენებს უნდა ითქვას, რომ პირიქით საკმაო ადგილი უჭირავს სავაჭრო გაერთიანებათა, სავაჭრო პერსონალის და დამხმარე საშუალებათა გაშუქებისას.

ვიქტორ თევზაიას წიგნაკი ნაწილობრივ გაუწევს დახმარებას განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას ვაჭრობის ძირითადი საკითხების შესწავლაში, თუმცა მასში სულ მცირედის გამოკლებით არაა მოცემული იმაზე ფართე და საინტერესო მასალა, ვინემ ქართულ ენაზე უკვე არსებულ ს. ჯაფარიძის „სავაჭრო სამართალში".

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ თევზაიამ თავის წიგნაკში ვერ მოგვცა (თუ არ მოგვცა) მრავალ მეტად მნიშვნელოვან საკითხთა გარკვევა და მათი უმრავლესობა ან სხვათა შორის მოიხსენია, ან და სავსებით გვერდ შევლილი დასტოვა. უმთავრესი ნაკლი, რაც ახლავს ამ წიგნს, ეს ის არის, რომ მასში მოცემულია მეტწილად კაპიტალისტურ საზოგადოებაში ვაჭრობის როლის და მნიშვნელობის აღნიშვნა. ხაზგასასმელია, რომ ავტორი არსად არ უპირდაპირებს კერძო და სახელმწიფოებრივ ვაჭრობას, არ აძლევს მკითხველს წარმოდგენას საბჭოთა სახელმწიფოში არსებულ ბრძოლაზე კაპიტალისტურსა და სოციალისტურ ელემენტებს შორის საერთოდ მთელ სახალხო მეურნეობაში და კერძოთ ვაჭრობაში. მარტო იმის აღნიშვნა, რომ კერძო ვაჭრობის ძირითადი მოტივი მოგების მიღებაა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კი, მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილება—არაა სრულებით საკმაო. ვერ დავკმაყოფილდებით აგრეთვე იმითაც, რომ მოცემული იყოს რამოდენიმე მშრალი ციფრი კერძო, სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ვაჭრობის შეფარდების შესახებ. არამედ საჭიროა ამ მოვლენის სათანადოთ შეფასება და მოსწავლისთვის გარკვეული წარმოდგენის მიცემა, თუ რა ღონისძიებებით სწარმოებს ბრძოლა კერძო ვაჭრობის წინააღმდეგ, რისთვის არის საშიში კერძო კაპიტალის გაძლიერება ვაჭრობაში, რაა იმისი მიზეზი, რომ სოციალისტური ელემენტები ბევრად უფრო ძლიერია მრეწველობაში, ვინემ ვაჭრობაში, და რა როლს თამაშობს გეგმიანობა ვაჭრობის სფეროში და სხვა.

ავტორი იხილავს ფასებს, იძლევა მის მარქსისტულ განმარტებას, ფასის და ღირებულების მიმართებას, ფასის დაწესებას საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ უყურადღებოთ სტოვებს ე. წ. „მაკრატლის" პრობლემას, რომელიც დღემდეც ვერ აგვიცილებია, არ არკვევს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასების ურთიერთ დამოკიდებულებას და იმ ფაქტორებს, რომელნიც იწვევენ მათ საგრძნობ რყევას.

ავტორი ძლიერ მოკლეთ ჩერდება საგარეო და საშინაო ვაჭრობის დაპირდაპირებაზე და რაც მთავარია, სავსებით უყურადღებოთ აქვს დატოვებული საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ის არ ურკვევს მკითხველს, თუ რა აზრი აქვს ჩვენში საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, რისთვის და როდის იქნა ის შემოღებული, საჭიროა თუ არა მისი შენარჩუნება და რა განსხვავებაა საერთოდ სოციალისტური და კაპიტალისტურ პროტექციონიზმს შორის.

ყველა ზემოჩამოთვლილ საკითხის გვერდის ავლა დიდათ ამცირებს თევზაიას შრომის მნიშვნელობას, ის არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მოსწავლეთათვის ვაჭრობის ეკონომიკის შესასწავლად.

მარქსისტი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს.

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია: ჩვენი გაზეთის 12 აგვისტოს ნომერში, გამოცხადებულ მანტიორებსა და მკერავ ქალებს მოთხოვნილების თანახმად სექციას მოაწყდა მრავალი უმუშევარი, რომელთაგან სამუშაოზე იგზავნებიან: მარიამ ბებურიშვილისა, სოფიო ახალკაციშვილი, სოფიო ანზამფარაშვილი, დარია ბაგრატიონი, ლიდია ბერნშტეინი, ალექსანდრა იგნატიევა; მარიამ იაშვილი; ქეთო კაჭკაჭიშვილი; მარიამ პიატკოვა; ივანე პიეოვაროვი, ლიდია ბალიანი; ბენიამინ ბეგლარიანი; არფენიკ აკოპოვა, ანნა აკოპიანი; აიკანუშ ყარამანიანი; სოფიო კერვალიძე; ვარვარა ლომიძე; ნინო ნაცვლიშვილი; თამარ ნაზაროვა; აძავეტ ბაგინოვა, ოლღა ნასიძე; ეკატერინე აკოპოვა; არაძ კირაკოსოვი, რიმა ბაბიანცი; ოლღა ბაღდავაძე; ოლღა კიკვაძე; მარიამ კემულარია; სოფიო ბარბაქაძე: ანნა კონიაშვილი; ლიუბა ლომსაძე; ანნა მაჩაბელი; დარია ნესტერენკო. მარო მეტრეველი, ეფრემ ნიკოლაიშვილი; შუშანა ნიაზოვა, სატენიკ ქაშაკაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: მარიამ პიატაკოვა.

მედმუშაკთა სექცია. გალაქტიონ ცაგარეიშვილს, ალექსანდრე სიკორსკის, მიხეილ ჯიშკარიანს და ანნა იარალოვას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 63

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების მე-7 მუხ. განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული ინსტრუქცია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობისათვის.

ინსტრუქცია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ.

ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის რწმუნებულთა და ბიუროს ფუნქციები:

ა. საბჭოთა აღმშენებლობის დარგში

1. მონაწილეობის მიღება საარჩევნო კამპანიის განხორციელებისათვის ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოებში და წინასწარ საარჩევნო კრებებში, აგრეთვე სათანადო ორგანოებისათვის ხელის შეწყობა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საჭირო ლიტერატურის გამოცემისათვის.

2. ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი მასების ჩაბმა თემებისა და ქალაქების საბჭოებში და აგრეთვე საბჭოთა ყრილობებსა და მათ აღმასრულებელ ორგანოებში.

3. შემუშავება მასალებისა თემისა და სოფლის ეროვნულ საბჭოთა გამოყოფის საკითხის შესახებ.

4. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ სხვადასხვა საკითხების დამუშავება და შეტანა როგორც საბჭოთა ყრილობაში, ისე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმსა და პრეზიდიუმში.

5. ხელის შეწყობა იუსტიციის ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის რევოლიუციონური კანონიერების პოპულიარიზაციისათვის და ისეთ სასამართლო დაწესებულებათა ქსელის პროექტის შემუშავება, სადაც შემოღებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა ენები.

6. მონაწილეობის მიღება ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (რემედასი, ავიო-ქიმი, წითელი ჯვარი და სხვ).. ჩაბმისათვის წარმოებულ მუშაობაში.

7. მონაწილეობის მიღება საბჭოთა აპარატის გამოკვლევაში იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად შეუძლიან მას მომსახურეობა გაუწიოს ეროვნულ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე.

8. სათანადო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად თემისა, სოფლისა და ქალაქის საბჭოებისა და მათი ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, მათ მიერ ეროვნულ უმცირესობათა შორის წარმოებულ მუშაობაში და ამ მუშაობის გამოკვლევა.

ბ. ეკონომიურ დარგში

9. ხელისშეწყობა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსათვის ისეთ სოციალ - ეკონომიურ და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე მასალის შეგროვებასა და დამუშავებაში, რაც კი ეროვნულ უმცირესობათ შეეხება.

10. მონაწილეობის მიღება საგეგმო ორგანოების მუშაობაში,—ისეთ სამეურნეო ხასიათის საკითხებზე გეგმებისა და პროექტების შემუშავებისათვის,—ეროვნულ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო თავისებურობის მიხედვით, — რაც-კი ამ უმცირესობათა ინტერესებს შეეხება.

11. შემუშავება საკითხებისა ეროვნულ უმცირესობათა ღარიბეს ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და ამ უმცირესობათა პროლეტარული ნაწილის მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში ჩაბმის შესახებ.

12. ხელისშეწყობა კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც საჭიროა, რათა ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობა ჩაებას ყველა სახის კოოპერაციაში, და აგრეთვე ხელისშეწყობა, რათა კოოპერაცია ამ მოსახლეობას მომსახურეობას უწევდეს მის ენაზე.

13. მონაწილეობის მიღება იმ საკითხების შემუშავებაში, რაც-კი ეროვნულ უმცირესობათა კოოპერატიულ შენაერთებსა და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებ შორის კრედიტებს განაწილებას შეეხება.

14. ხელისშეწყობა საბჭოთა ყველა ორგანოსათვის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც საჭიროა ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

15. მონაწილეობის მიღება საადგილ-მამულო ორგანოების მუშაობაში აგრარული თვალსაზრისით ზედმეტად მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან ეროვნულ უმცირესობათა გლეხობის გადასახლებისათვის, ებრაელი მოსახლეობის მიწის მუშაობაში ჩაბმისათვის, ეროვნულ უმცირესობათა სოფლებში მიწადმოწყობისა და მელიორაციის განხორციელებისათვის და ამ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე აგრო - პროპაგანდის წარმოებისათვის.

16. ხელისშეწყობა ეროვნული უმცირესობათა ჩაბმისათვის სოფლად საურთიერთო დახმარების სასოფლო ამხანაგობაში, ხოლო ქალაქად საურთიერთო დახმარების საზოგადოებებში.

გ. კულტურულ - ჰუმანიტარულ დარგში

17. ხელისშეწყობა განათლების ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის წარმოების საქმეში.

18. მონაწილეობის მიღება ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის განხორციელებისათვის საჭირო გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვების შემუშავებაში.

19. ხელისშეწყობა ისეთ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რითაც ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი უზრუნველყოფილ იქნებიან გაწყობილობით, სადგომებით და მომუშავებით.

20. შემუშავება, სათანადო ორგანოებთან ერთად, საკითხებისა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების შესახებ.

21. ხელისშეწყობა ჯანმრთელობის ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა მიერ დასახლებულ ადგილებში სამკურნალო ქსელის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, სასანიტარო - საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაცია ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, ღონისძიებათა. განხორციელება ეროვნულ უმცირესობათა სანიტარულ გაჯანსაღებისათვის და აგრეთვე ხელისშეწყობა საბავშო ბაგათა ორგანიზაციისათვის.

ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსი და რწმუნებულთა უფლება - მოვალეობანი

22. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსა და რწმუნებულებს დაეკისრება:

ა) მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით აღმასკომის პრეზიდიუმისა და აღმასკომის განყოფილებათა სხდომებზე იმ საკითხის გამო, რაც ეროვნულ უმცირესობათ შეეხება;

ბ) მოიწვიონ აღმასკომებისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ნებართვით იმ საბჭოებში მომუშავეთა თათბირები და კონფერენციები. სადაც წარმოდგენილ არიან ეროვნული უმცირესობანი, და აგრეთვე მოიწვიონ ეროვნულ უმცირესობათა მშრომელების თათბირები და კონფერენციები;

გ) მოისმინონ სათანადო ორგანოების მოხსენება ეროვნულ უმცირესობათა თვის მომსახურეობისათვის გაწევის საკითხების შესახებ.

დ) გამოიკვლიონ დამოუკიდებლად ან სათანადო ორგანოებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა;

ე) იკისრონ ინიციატივა ისეთ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რაც ხელს უწყობს ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ვ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში იქ, სადაც ეროვნული უმცირესობა მოსახლეობს;

ზ) მეთვალყურეობა გაუწიონ სათანადო ორგანოების მიერ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ მომქმედ კანონების შესრულებას;

თ) აღძრან სათანადო ორგანოს მეშვეობით საკითხი იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რაც ამა თუ იმ ეროვნების ინტერესებს ეწინააღმდეგება;

ი) მონაწილეობა მიიღონ სათანადო ხმის უფლებით ბიუჯეტის იმ ნაწილის შემუშავებაში, რაც ეროვნულ უმცირესობათ შეეხება;

კ) იკისრონ ინიციატივა დაინტერესებულ ორგანოებთან შეერთებულ სხდომების მოსაწვევად - ეროვნულ უმცირესობათათვის მომსახურეობის გაწევის საკითხების განსახილველად;

ლ) მიიღონ და განიხილონ საჩივრები ადგილობრივი ორგანოების ისეთ უკანონო მოქმედებაზე, რითაც დარღვეულია ეროვნულ უმცირესობის ინტერესები, და გადასცენ ეს საჩივრები ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიას სათანადო წარმართვისათვის.

მ) შეადგინონ სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით თავიანთი მუშაობის გეგმა და კალენდარი, რასაც დაამტკიცებს ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია.

23. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიურო და რწმუნებულები ყველა მასალას, ოქმებს, ანგარიშებს და, აგრეთვე, გამოკვლევის აქტებს პერიოდულად ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიას წარუდგენენ.

24. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსა და რწმუნებულთა და აღმასკომების განყოფილებათა, აგრეთვე სხვა ორგანოებ შორის მომხდარ გაუგებრობას და შეუთანხმებლობას გადასწყვეტს სათანადო აღმასკომის პრეზიდიუმი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.
თბილისი - სასახლე.

იურიდიული დახმარება

აკაკი [illegible]ს

პასუხი

შრომის უნარ მოკლებულ პენსიონერებს, თუ ისინი [illegible] არიან, რომ შესაძლებელია მათი გამო[illegible] [illegible] სალარო ვალდებულია გაგზავნოს [illegible] კურორტზე საექიმოდ.

[illegible] წლის [illegible] კონსტანტინე ბაქბაძეს

პასუხი

მიმართეთ ადგილობრივ აღმასკომის განათლების განყოფილებას.

კავშირის წევრს (წიგნ. № 17.948) **ალ. ჯ.-ძეს.**

პასუხი

ინვალიდთა არტელები, თუ კი ისინი კოოპერატიულ მიზნებს ემსახურებიან და აქვთ სათანადო წესდება, შედიან კოოპერატიულ ქსელში.

რაც შეეხება სესხის აღებას და სხვადასხვა მათთვის დახმარებების გაცემას ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ თქვენ როგორი წესდება გაქვთ და სარგებლობთ თუ არა იურიდიული პირის უფლებებით.

ცვალებად ნაწილის წითელარმიელს **კ. ღვალაძეს**

პასუხი

მიმართეთ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატს სათანადო განცხადებით, სათანადო საბუთების წარდგენით თქვენი ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადნენ თათბირზე 13 აგვისტოს, დილის ცხრა საათზე; ამხ. ყურულაშვილის კაბინეტში.

ბახტაძე; ხოფერია; გარიბოვი; დეკანოზიშვილი და სააკოვი;

საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, 13 აგვისტოს, დილის ათ საათისათვის მოწვეული არიან თათბირზე შემდეგი ამხანაგები:

ასრიბეკოვი; მარიამ ორახელაშვილი; ელენტი გობეჩია და აბაშიძე.

სოფლის მოძრავი და სტაციონალური სკოლების ხელმძღვანელთა გადასამზადებელ კურსებზე ადგილებიდან გამოგზავნილი ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში. 19 აგვისტოსათვის. მეცადინეობა დაიწყება მ. წ. 20 აგვისტოს.

ოჯახისა და მშობლებისათვის ძვირფას და დაუვიწყარ

ნინო აპოლონ მიქელაძის ასული
ჯორჯიკიასი

გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავად პანაშვიდი გადახდილი იქნა 7 აგვისტოს, ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. 1—1 3558

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები თინა და დათიკო, კოპლატაძენი, მამიდები—ნესტა, საშა, თამარა და ვერიჩქა თავისი ქმრით დათიკო ჯაშით, ბიძაშვილი კესარია კოპლატაძე და ბებიები: ბაბინე კოპლატაძე და ფედოსია თორაძისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აგარაკ ბახმაროზე გარდაიცვალა მათთვის ყველაზე უსაყვარლესი და დაუვიწყარი

კუკური

დასაფლავება კვირას, 14 აგვისტოს, ნაშუადღევის ოთხ საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან—გოგოლის ქ. № 40. (ე)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გიორგი, შვილები რეზიკო და სოსიკო ქადაგიშვილები, მამა სვიმონი, დები ნინო და ელენე და ძმა ნიკოლოზ ილაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის 12 აგვისტოს დილით გარდაიცვალა მათი საყვარელი და მარად ჟამს მოსაგონებელი

მარიამ (მარო) სვიმონის ასული
ილაშვილი-ქადაგიშვილისა

გამოსვენება მოხდება კვირას, 14 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ამაღლების ქ. № 9. დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 1—1 3560

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
(ყოფ. ბაღი „სტელლა")
აღმასკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქ. 13

დღეს, 13 აგვისტოს პირველი შრომის კოლექტივის
ქართული სიმფონიური მუსიკის საღამო
დ. ი. არაყიშვილის ნაწარმ., ავტორის ხელმძღვ. სახ. ოპ. მსახიობ. მ. ექსანიშვილის და ა. ხოფერიას მონაწილ.
დაწვრილებითი პროგრამა აფიშებში. დასაწყისი საღ. 9 საათ.
ცუდი ამინდის გამო საღამო არ გადაიდება. ბაღში მოედანზე—კ ი ნ ო. საღამოსათ აღებული ბილეთები გამოდგება კინოსათვისაც. შემოღ. სტუდენტ. და მოწ. ბილეთ.
ანონსი: კვირას, 14 და ოთხშაბათს, 17 აგვისტოს ო რ ი დ ი დ ი სიმფონიური კონცერტი 1-ლი შრომის კოლექტივისა, ცნობილი დირიჟ., დამს. მსახ. მ. ი. ჩერნიახოვსკის გასტროლებისათვის. შესრულებ. იქნება ნაწარმოები. რომელიც ჯერ არ შესრულებულა თბილისში. ქ. 3555

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—1

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
0—9 ნ. 1388

რუდოლფ ვალენტინო მხატვრულ შედევრში
„შეიხი" ყველგან კოლოსალური წარმატება
უკანასკნელი მე-5 და მე-6 სერიები
ამერიკულ კინო-რომანის
„ბოროტმოქმედების დალი"
ამერიკის პოპულიარული მსახიობი—ქალი
მეი მურეი მხატვრულ სურათში
„კუნძულელი ქალი"
ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს არ იხდის ბაღში შესასვლელ ფასს

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

საქართველოს კინო-მრეწველობის „სახკინმრეწვის"

ბალანსი 1926 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

1. სალარო და სახელდ. ანგ. ბანკში	12.791—85
2. ობლიგაციები და აქციები	21.530—58
3. გამზადებული ნაწარმოები	1.267.192—34
4. დაუმთავრებელი ნაწარმოები	170.834—52
5. მასალები	99.110—00
6. ნაგებობა	41 538—90
7. ინვენტარი	207.873—97
8. დაუმთავრებელი ნაგებობანი	1.886—63
9. ვალდებული ქვე-მყოფი პირები	20.541—82
10. თამასუქები პორთფელში	141.889—73
11. დახურდავებული თამასუქები	65.000—00
12. დებიტორები	
1. სხვადასხვა პირები და დაწეს.	218.930—87
2. მუშა-მოსამსახურ.	4.132—02
3. გარდამავალი თანხ.	5.743—67
4. საეჭვო დებიტორები	5.933—70
13. ანგ-ში განყოფილებებთან	377.113—44
13. მომავალი წლის ხარჯები	44.428—68
15. გაუნაღდებელი აქციები	119.303—42
	2.825 776—14

პასივი

1. კაპიტალი	
1. სააქციო კაპიტალი	600.000—00
2. სათადარიგო კაპიტალი	63.396—82
3. საამორტიზაციო	45.411—78
2. მუშა-მოსამსახურ. მდგომარ. გას. ფ.	10.823—11
3. კინო ნეგოტივების თვითღირებულების დასაზრეტი ფონდი	468.316—48
4. საეჭვო ვალების დასაფ. ფონდი	5.933—70
5. სესხი	242.500—00
6. სპეციალური და სახელდახელო	188.055—65
7. დასახურდ. თამასუქები	65.000—00
8. გაცემული თამასუქ.	308.125—20
9. ანგარიშ ქვეშ მყოფი პირ.	88—28
10. კრედიტორები	
1. სხვადასხვა პირ.	344.028—03
2. მუშა მოსამს.	1.514—67
3. გარდამავალი თანხ.	10438—24
11. შინაგანი ანგარიშები	362.991—79
12. წმინდა მოგება 1 | 10—27 წლ.	109.152—39
	2.825.776—14

ბალანს გარეშე ანგ.

კომინტერნი კინო-სურ.	98.331—38
ფოტო რეკლ.	11.567—80
	109.899—18

გამგეობის თავმჯდომარე: **არუსტანოვი**
გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე: **გ. გოგიტიძე**
მთავარი ბუღალტერი: **რ. ლვამიჩავა**

წაგებ-მოგების ანგარიში

1. მიმდინარე ხარჯები	900.501—11
2. გადარიცხული საეჭვო ვალ. ფონ.	13 057—51
3. გაცემული პროცენტ.	54.061—49
4. სცენარები	14.701—31
5. სურათების ამორტიზაცია	188.058—91
6 ქონების ამორტიზაცია	63.818—14
7. წმინდა მოგება 1 | 10—1926 წლ.	109.152—39
	1.343.350—86

1. შემოსავალი ფოტო-სურათ. და ფოტო მას. გაყ.	113.352—03
2. კინო-თეატრები	553.232—33
3. სურათების ქირა	555.365—59
4. სურათების გაყიდვა	11.429—22
5. სხვადასხვა შემოსავალი	106673—49
6. მიღებული საეჭვო ვალი	3298—20
	1.343.350—86

მოგების განაწილება:

ამ საანგარიშო წლის მოგებიდან	109.152—39
10 პროც. შემოსავლ. კვალობაზე გადასახ. გამოკლებით	10.915—23
დარჩენილი ნაშთი	98.237 16

ნაწილდობა:

20 პროც. სათადარიგო კაპიტალი	19.647—43
10 „ მოსამს. მდგომ. გასაუმჯ. ფონდი	9.823—72
69 3/4 პროც. აქციონერებ. დივიდ.	68.520—42
25 პროც. საპრ. საჩუქრის ფული	245—59
	98.237—16

ნ. 1564

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 28).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოს დასახელება	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედებ. რაიონი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
803	5 აგვისტო	ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველო	ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი № 20	ბორჯ. მინერ. წყლებ. ჩამ. ხელმძ. და მათი რეალიზაც.	საქართვ. ფარგლებ.	42845695სპეც თანხა	მე-5
804	„	გევორკიანი ერვანტი.	ქ. თბილისი საბაჟოს ქ.	ხორბლეულით ვაჭრობა	თბილისი	4550მ.	მე-4
805	6 „	ლაღიძე მიტროფანე ერმალოს-ძე	ქ. თბილისი წულუკიძის ქ.	კვასის დამზადება	„	1344 მ.50 კ.	„
806	„	ფრანკე ემილ კარლოს-ძე	ქ. თბილისი პლეხანოვის ქ.	სავაჭრო და სამრეწ. კანტ.	„	12000 მ.	მე-5
807	4 „	ოზურგეთის სამაზრო გლეხკომი	ქ. ოზურგეთი	სასადილო	ოზურგეთი	—	„
808	„	სააქციო საზ-ბა საქართველოს ჩაი	„	ჩაის დამზადება	„	—	„
809	„	სურმავა რაჟდენ ანტონის-ძე	დ. საჩხერე	ბუფეტი	დ. საჩხერე	200 მ.	„
810	6 „	ხატინოვი მიხეილ გიორგის-ძე	ქ. თბილისი კახეთის ქ.	ღვინის სარდაფი	თბილისი	800 მ.	„
811	„	გომერ გომერი სოკრატის-ძე და რიჩი მიქელ მანზუვეტის-ძე.	კომინტერნის ქ.	შემთხვევითი საგნებით ვაჭრობა	„	1000 მ.	„
812	„	ციხითათრიშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე	ქ. თბილ. დიდი ვანქის ქ.	სასადილო	„	1000 მ.	„
813	„	ელიაზიშვილი პავლე ივანეს-ძე	ს. მცხეთა	„	ს. მცხეთა	50 მ.	„
814	„	ტანაკანოვ აღაბეკ ტანაკანის-ძე	მუხრანის ბაზ.	ხორბლით ვაჭრობა	თბილისი	300 მ.	„
815	„	ჯანდაგაშვილი სოლომონ ევსტაფის-ძე	მჭედლების ქ.	ხილეულით ვაჭრობა	„	500 მ.	„
816	5 „	ხერუმოვი სარქისა გაბრიელის-ძე	ს. მცხეთა	სასადილო	ს. მცხეთა	300 მ.	„
817	8 „	შახბაგოვი არამი, ხანგულოვი მიხეილი და აღამირზოვი ქრისტეფორე	ქ. თბილისი სიონის ქ.	ძაფით და გალანტ. ვაჭრ.	თბილისი	9000 მ.	„
818	„	ასლანიანცი ოსიპ არაქელას-ძე და ტერ-სარქისიანც მელქონი კარაპეტას-ძე	„	საგალანტერიო	„	10000 მ.	„
819	„	ძმები ექსუზიანცები და მორდი	„	„	„	6000 მ.	„
820	„	ჯანყულაშვილი სოლომონ დავითის-ძე	ბაზრის ქ.	ხორცით ვაჭრობა	„	—	„
821	„	აპრიკოვი გიორგი და სერგო გრიგორისძეები	ბნელი რიგი	ჭურჭლეულით	„	5000 მ.	„
822	9 „	ამბარცუმიანც ბაღდასარ და მიკირტიჩ ავანგულას-ძეები	სიონის ქ.	საგალნტერიო	„	8000 მ.	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**
სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **კ. ორჯონიკიძე**

ნ. 1565.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის
ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების
მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:
1) განათლების მოწმობა არა ნაკლებ 7 წლედისა.
2) წლოვანობის მოწმობა, (მიიღება არა ნაკლებ 17 წ.)
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.
მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.
კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—9 ნ. 3478

ქ. თბ. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოთ

პენსია-დახმარებათა მიღების დროს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიგების მოსპობის მიზნით, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის დადგენილებით, გარდა ამჟამად არსებულ სადგურის, ორთაჭალის და ვერის დახმარებათა გასაცემ პუნქტებისა

დაარსებულ იქნა ცენტრალური პუნქტი

რომელიც მოთავსებულია ვოლოდარის (ყოფ. მადათოვის) ქუჩა № 3.

ყველა დასახელებულ პუნქტებში ა. წ. 16 აგვისტოდან

პენსია დახმარებათა გაცემა

(გარდა დასამარხ დახმარებისა, რომელიც დაზღვეულს მიმართვის დღესვე მიეცემა) **იწარმოებს ერთი დღის გასვლის შემდეგ** დღიდან საბუთების წარდგენისა, დილის 10 საათიდან—4 ნახ. საათამდე.

სრ. საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტი

2—1 ნ. 1566

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)
შაბათს 13 აგვისტოს
დიდი კონცერტი
მონაწილეობენ: სპრიშევსკაია, სანდრო დოლონაძე, ლადო კავსაძე, თარხან მოურავი, მრავალი, ჭუმბურიძე და ცნობილი პიანისტი დონატო
დასაწყისი 9 საათზე გამგეობა ნ. 1567.

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს 13 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლად გაიყიდება: ხალიჩები, ფარდაგები, გარდერობები, პირისსაბანი, კომოდები, სარკეები, ფართლეულობა, და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1562

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სახ. სასამართლ. აღმასრულებელი პოტემკოვსკი

აცხადებს. რომ 16 აგვისტოს, შუადღის 2 საათზე პირველ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არშაკ გიორგისძე ავეტისოვის შენობას, რომელიც იმყოფება ქ. თბილისის მეშვიდე სამილიციო უბანში, კიკეთის ქუჩაზე № 29 | 21 და რომელიც შეიცავს 4 ოთახს სარდაფებით, 2 ფარდულით და საკუჩნაოებით; შენობა შეფასებულია 700 მან. თუ ეს საჯარო ვაჭრობა არ შედგა სამოქ. პროც. კოდ. 316 მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო, ხელმეორე საჯარო ვაჭრობა გაიმართება 23 აგვისტოს, შუადღის 12 საათ; ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც შეძლეულ იქნება პირველად. ვაჭრობა მოხდება ამ შენობის ადგილას და იწარმოებს სამოქ. პროცეს. კოდექსის მე-301, 311, 312, 313, 314, და 316 მუხლებში აღნიშნული მოთხოვნილებათა დაცვით. 3557

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8 —18

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი გიორგი გიორგის-ძე ჯაბაურის სახელზე ჩ. გ. 3555

დაკარგა სრულიად საქართველოს მეტალისტთა პკავშირის წიგნაკი № 1345159 სოფელ ხევის რვაწლიანი შრომის სკოლის მოწმობა № 149 პოლიკარპე ალექსანდრეს-ძე შაქარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3559

დაკარგაის მეტრიკული ამონაწერი № 1118 გრიგოლი მალაქიასძე სვანის სახელზე, ჩ. გ. 3556

დაკარგა მოწმობა გაცემული საქართვ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბირჟასთან არსებული უმუშევარ მცირეწლოვანთა სახლიდან გიორგი არტემისძე [illegible]ის სახელზე ჩ. გ. 3150

დაკარგა გადასატანი მოწმობა № 193, რომლითაც გაიგზავნა ქ. თბილისიდან ბაქოში „საქართველოს ღვინო"-ს სახელზე 13.015 გრადუსი პურის სპირტი, ჩ. გ. 3467

დაკარგა პარტიის საკანდიდატო მანდატი № 21237 სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 614, 660 რკ. გზ. კავშირის წიგნაკი № 3050 წლიური ბილეთი № 211622, პირადობის მოწმობა ივანე მერაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3561

ალმასკომის სტამბა. კამოს ქ. 68.